PRIME Time

N48 (298) ორშაბათი
8 დეკემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

როდის იგეგმება გიგა ბოკერიას დაპატიმრება?

EXCLUSIVE

ცუთი საქმე, რომელზეც პასუხს მოსთხოვენ უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს

„მალე ნახავთ, როგორ ანაწილებდა ბოკერია მილიონებს“...

რის სათქმელად ემზადება ემზარ კვიციანი?

„ვინ არის ის „პირველი პირი“, ვინც მეგის ქარდავას არდვლიანის ლიკვიდაცია შეუკვეთა“

სკანდალური წერილი ციხიდან

ვინ შეუგზავნა კვიციანის დისშვილს ქილერი და როგორ დასაჯეს ის დავალების შეუსრულებლობისთვის

EXCLUSIVE

ნოდარ ჯავახიშვილი:
„პირველი, რასაც გავაკეთებ, ტენდერების საკითხს შევისწავლი ძირფესვიანად და შევქმნი მოქნილ, დახვეწილ სისტემას, რომ ამ მექანიზმმა გამართულად იმუშაოს“

EXCLUSIVE

ეკონომიკურ გუნდს პარლამენტში დაიბარებენ

დავით ონოფრიშვილი:
„ყველამ რომ თქვას, ლარის კურსი მე არ მეხებაო, სწორი არ იქნება“

EXCLUSIVE

გოგი თოფაძე:
„უკრაინა დიდი ქვეყანაა, თუ მის მართვაში ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას და წარმატებას მიაღწევენ, ნამდვილად არ მეწყინება“

EXCLUSIVE

მოსკოვი მარგველაშვილს კრემლში ეპატიჟება

EXCLUSIVE

EXCLUSIVE

ლაფანყურში მოკლული სალამ ზაურბეკოვის „ჩიპი“ ნაპოვნია

რა „ანდერძი“ დატოვა ჩეჩენმა მებრძოლმა?

„თუ დადგინდება, რომ ამ ყველაფერში დამნაშავე სააკაშვილია, ის პასუხს აგებს ყველაფერზე, სადაც არ უნდა იმოძრაოს ევროპის მასშტაბით. მასაც ჰყავს შვილები...“

EXCLUSIVE

რა წარსული აქვთ უკრაინის მთავრობაში დანიშნულ ქართველებს

EXCLUSIVE

„სწორედ ეს ქალბატონი იყო მერაბიშვილის მოადგილე, როდესაც „იმედში“ შევარდნენ, 7 ნოემბერს გვარბევდნენ და ა.შ. ყველა შემთხვევაში „აპრავებდა“ თავის უფროსს“

5 ლარის გამო მომვლელმა 77 წლის ქალი სიცოცხლეს გამოასალმა

EXCLUSIVE

„ისე გაითამაშა, რომ თითქოს ყაჩაღები დაესხნენ თავს. ეჭვი არც შეგვპარვია, მაგრამ მერე, განყოფილებაში რომ წაიყვანეს, გავიგეთ, რეალურად რაც მოხდა“

სტუდენტები „მოდულური სწავლების პროგრამის“ აღდგენას ითხოვენ EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლაფანყურში გარდაცვლილი სალ

მარიამ ნადირაძე

თითქოს მივიწყებულმა თემამ, რამდენიმე დღის წინ ისევ შეიძინა აქტუალობა, მას შემდეგ, რაც ომბუდსმენმა ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ანგარიში დადო. ამ ანგარიშის შესახებ დაწვრილებით დეტალებს ჩემი კოლეგა მოგახსენებთ გაზეთის ამავე ნომერში, ჩვენ კი ვსვამთ კითხვას – რატომ შეჩერდა გამოძიების პროცესი და რა უშლის ხელს ოფიციოზს, რომ ხელისუფლების ცვლამდე ერთ-ერთი საკოზირო თემა გახსნას...

საქმეს კვლავაც ის უწყება იძიებს, რომელიც 2 წლის წინათ, უფრო ზუსტად კი, სააკაშვილის მმართველობის მიწურულს, ცდილობდა, ამ საქმის გარშემო სახელისუფლებო ვარიაციების სოუსით მიეწოდებინა ამბავი ფართო საზოგადოებისთვის...

კულუარულად გვიმხელენ, რომ საქმე თითქმის დასრულებულია, თუმცა არ არსებობს პოლიტიკური ნება მისი აფიშირებისთვის, ოფიციალურად კი შეთქმულებივით დუმან.

მკითხველს წარმოვუდგენთ რესპონდენტს, რომელთანაც ჩვენი ბოლო დიალოგი ერთი წლის წინათ შედგა და რომელიც იმედოვნებდა, რომ გამოძიება ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა.

ახლა კი ეს ქალბატონი, მალქან ისრაპილოვა (სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი სალამ ზაურბეკოვის დედა) კვლავაც ავსტრიაში იმყოფება და შიშობს, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაშიც კი ვერ მიიღებს იმ კითხვებზე პასუხს, რაც უკვე ორ წელზე მეტია, აწუხებს.

მაშ ასე, იმისთვის, რომ საუბარი იქიდან გავაგრძელოთ, სადაც ერთი წლის წინათ გავჩერდი, ჩვენს მკითხველს ჯერ მისი ბოლო ინტერვიუდან ფრაგმენტებს შევთავაზებთ:

– გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ხელისუფლება მაინც შეეცდება, რომ ობიექტურად და კეთილსინდისიერად წაიყვანოს გამოძიება...

– შევიტყვეთ, რომ გამოძიება ავსტრიაშიც ტარდება. ამას ავსტრიის ხელისუფლება აკეთებს, თუ რომელიმე დაინტერესებული ჯგუფი?

– ჩვენი ხალხი ატარებს აქ გამოძიებას და არ გაჩერდებიან, სანამ ადრე თუ გვიან ყველაფერი არ გაირკვევა. ისინი იძიებენ, ვინ წაიყვანა ეს ბიჭები ავსტრიიდან. იქ, საქართველოში, რა ჯგუფი ჩამოყალიბდა. როგორ მოახერხეს გადარჩენილებმა თურქეთის გავლით ავსტრიამდე თავისუფლად ჩამოღწევა.

– ვინც ცოცხლად ჩამოღწევა მოახერხა, ამ ადამიანებს შეხვდით?

– კი, შევხვდი და ველაპარაკე კიდეც... მეუბნებიან, რომ ჩემს შვილს გაუმართლა, რომ ლაფანყურში მოკვდა. რომ ის სამოთხეში მოხვდება. მათ კი არ გაუმართლათ. არადა, ეს ხალხი ჩვეულებრივ, ნორმალურად ცხოვრობს საკუთარ მეუღლეებთან და შვილებთან ერთად...

– ფაქტებს არ ყვებიან? რამე გვარებს არ ასახელებენ, ვინც ამ საქმეში იყვნენ გარეულნი?

– ამ ადამიანების დასახელება მათ არ აწყობთ. რომ თქვან, ამის შემდეგ ნორმალურად ველარ გაგრძელებენ ცხოვრებას. ამბობენ, რომ დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ არ დახოცავდნენ. რადგან ისინი ნორმალურად გაამგზავრეს. მერე კი უთხრეს, რომ საზღვარზე რუსები ელოდებოდნენ და უნდა შეჩერებულიყვნენ. ეს ბიჭები კი არ დანებდნენ.

ყველა თავისებურად ყვება ამ ამბავს. უკვე აღარავისი მჯერა. ერთ-ერთ ადამიანს ვესაუბრე ამ ჯგუფიდან. მან მომიყვა, თითქოს ჩემს შვილს დაუტოვებია რაღაც ჩიპი თავისი თანამოაზრეებისთვის. დაუბარებია, ჩემს მშობლებს მიეცითო. ამბობენ, ამ ჩიპში მისი ანდერძი უნდა იყოსო.

– მოგცეს ეს ჩიპი?

– ჯერ არ მოუციათ... ისინი, ვინც აქ, ავსტრიაში არიან, მპირდებიან ამ ჩიპის მოძებნას, მაგრამ რატომღაც არ ჩქარობენ... ამბობენ, რომ ჩემს ბიჭს ჰყავდა ქალი, 10-12 წლით უფროსი. მასთან ერთად წასულა საქართველოში. იქ გოგონაც შესძენიათ. ამბობენ, ის ვიღაც ემირის ყოფილი ცოლია, სახელად აიშა.

„თუ დადგინდება, რომ ამ ყველაფერში დამნაშავე სააკაშვილია, ის პასუხს აგებს ყველაფერზე, სადაც არ უნდა იმოძრაოს ევროპის მასშტაბით. მასაც ჰყავს შვილები...“ - აი, ასე ამბობენ - ჩეჩნეთის გზავნილი ყოფილ პრეზიდენტს(?!)“

მალქან ისრაპილოვა

– საინტერესოა, დაკითხეს თუ არა ეს ქალი ოფიციალურმა ორგანოებმა... ფიქრობთ, რომ იმ ჯგუფში იყო ეს ქალი, როდესაც ლაფანყურში ეს სპეცოპერაცია მოხდა?

– არა. ის იქ ამ დროს არ ყოფილა. ზოგი ამბობს, რომ ის იმ დროს ფეხმძიმედ იყო. მე თვითონ ვიკვლევ ამ ამბავს. თუ ჩემს შვილს მართლა დარჩა მემკვიდრე, მინდა ეს დაზუსტებით ვიცოდე. ეს ჩემი პირადი ინტერესია.

– ბევრია ისეთი, ვინც ლაფანყურში სპეცოპერაციის დროს გადარჩა და ახლა ავსტრიაში ცხოვრობს?

– სამნი არიან... ამბობენ, თითქოს ერთი დაიკითხა მხოლოდ...

– ვარაუდობენ, რომ ამ საქმეში ჩართული იყვნენ საერთაშორისო დონის ფიგურები და საქართველოს გამოძიება არ აპირებს მათ დასახელებას...

– რა თქმა უნდა, იყვნენ... ვიღაცას, ძალიან სერიოზულს, დანამდვილებით უნდოდა, რომ ეს ბიჭები საქართველოში ჩაეყვანა და იქ ის მომხდარიყო, რაც მოხდა... მე ზუსტად ვიცი, რომ ამ ჯგუფში იყო ადამიანი, რომელსაც კავშირი ჰქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაღაც სინდიკატთან და ყველა ინფორმაციას მათ გადასცემდა. ის იქ შემთხვევით დაიღუპა. ის არ იყო არც ქართველი და არც ჩეჩენი... არ მინდა მისი ვინაობის დასახელება... ქალი ვარ და ყოველთვის შურისძიების წინააღმდეგი ვიყავი. ასეთი რამ არასდროს მანიჭებს სიამოვნებას. ეს მე შვილს ვერ დამიბრუნებს. დაე, ალაჰმა დასაჯოს ყველა, ვინც დამნაშავეა. რაც შეეხება იმას, რას ფიქრობენ ჩვენი მამაკაცები, ამის შესახებ ისინი ხმამაღლა არასდროს იტყვიან. იტყვიან, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ხვალ შურს იძიებენ.

„დაე, ალაჰმა დასაჯოს ყველა, ვინც დამნაშავეა. რაც შეეხება იმას, რას ფიქრობენ ჩვენი მამაკაცები, ამის შესახებ ისინი ხმამაღლა არასდროს იტყვიან. იტყვიან, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ხვალ შურს იძიებენ“

ერთი წლის შემდეგ მალქან ისრაპილოვა კვლავ კითხულობს – რატომ არის გაჩერებული გამოძიება და ჩვენგან შეიტყობს, რომ სახალხო დამცველმა ამ საქმეზე ანგარიში გამოაქვეყნა:

– ამ ერთი წლის განმავლობაში არავინ დაგკავშირებიათ?..

– არავინ არაფერს გვეუბნება. მხოლოდ საკუთარი წყაროებით ვცდილობთ, რამე დავადგინოთ, თუმცა, ჯერჯერობით სრული სურათი არ გვაქვს. გამოძიებამ საქართველოში, როგორც ჩანს, უკვე ყველაფერი იცის, მაგრამ არ უნდათ საქმის გახსნა. მე კი ისე მჯეროდა მათი... დღესაც მაინტერესებს, რატომ მომიკლეს შვილი, რატომ არ გამოადეპორტეს, როგორც დამპირდნენ? ვინ და რა გზებით წაიყვანა ჩემი შვილი ამ სასაკლაოზე და საერთოდ, რა თამაში იყო ეს ყველაფერი? დღეს ისიც კი აღარ ვიცი, ვის მივმართო ამ კითხვებით. მეშინია კიდეც საქართველოში ჩამოსვლის,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ამ ზაურბეკოვის „ჩიპი“ ნაპოვნია

რა „ანდერძი“ დატოვა ჩეჩენმა მებრძოლმა?

EXCLUSIVE

„ნაბეჭდი იყო რუსულად. ჩემმა შვილმა კი არცთუ კარგად იცოდა რუსული. წერილში ისეთი სიტყვები იყო და თანაც ისე გამართულად, რომ ამან დამაეჭვა სწორედ. სალამის ლექსიკონში ეს სიტყვები არასდროს შემიმჩნევია“

რადგან ვიცი, პასუხებს არავინ დამახვედრებს.

– ამ ხნის განმავლობაში თუ გქონიათ კომუნიკაცია იმ ადამიანებთან, ვინც ეს ბიჭები ავსტრიიდან საქართველოში წაიყვანა?

– ცოცხლად დარჩენილებს შარიათი ადანაშაულებს იმაში, რომ ეს ბიჭები იქ ჯერ წაიყვანეს, მერე კი მიატოვეს. თუმცა ცხადია, რომ მათ მკვლელობაში ვერ დასდებენ ბრალს. სხვათა შორის, აბუჰამზამ (ერთ-ერთმა მათგანმა) ერთხელ მეც მომიყვა, რა და როგორ მოხდა ლოპოტას ხეობაში. მითხრა, როცა საქართველოს ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად წავედით, მაშინ აგვიტეხეს სროლა. მანამდე არც კი გვიეჭვია, რომ ცეცხლს გაგვიხსნიდნენ, რადგან ჩვენთვის დერეფანი ჰქონდათ გაკეთებული.

– ქალბატონო მალქან, ჩვენი ბოლო საუბრისას თქვენ მიამბეთ ჩიპზე, რომელზეც თქვენი შვილის ანდერძი უნდა ყოფილიყო. ხომ არ მოუწოდებიათ თქვენთვის ეს ჩიპი?

– ორი წლის შემდეგ მივიღე ჩემი შვილის ჩიპი. არც კი ვიცი, შეიძლება თუ არა ამის მოყოლა... ეს მე მომაწოდა სალამის ამხანაგმა, რომელიც ასევე იყო საქართველოში, თუმცა, რამდენიმე ხნით წამოვიდა იქიდან, სანამ ეს ტრაგედია დატრიალდებოდა. მერე სირიაში იყო... მან მომაწოდა ეს „ფლეშკა“.

– რა იყო იქ?

– იყო ჩვეულებრივი წერილი, სადაც ამბობდა, რომ საქართველოში წავიდა თავისი სურვილით, არავის დაუტანებია ძალა და არავისთვის არაფერი დაგვებრალებინა – არც აბუჰამზასთვის და არც დანარჩენებისთვის.

– ეს დასკანერებული წერილი იყო? იცანით თქვენი შვილის კალიგრაფია?

– საქმეც ის არის, რომ ის არ იყო ხელით ნაწერი. იყო ჩვეულებრივ, კომპიუტერზე აკრეფილი ტექსტი. ამის გაკეთება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია...

– ანუ, არ გჯერათ, რომ ეს მართლაც თქვენს შვილს ეკუთვნის?

– არ მჯერა... თუმცა ჩამოთვლილი იყო ოჯახის წევრების სახელები. გვწერდა, – ყველანი ძალიან მიყვარხართო...

– რუსულად იყო დაბეჭდილი?

– საქმეც ეს არის, რომ ნაბეჭდი იყო რუსულად. ჩემმა შვილმა კი არცთუ კარგად იცოდა რუსული. წერილში ისეთი სიტყვები იყო და თანაც ისე გამართულად, რომ ამან დამაეჭვა სწორედ. სალამის ლექსიკონში ეს სიტყვები არასდროს შემიმჩნევია.

– თუ ეს სალამის წერილი არ არის, ვის და რისთვის უნდა დასჭირვებოდა, რომ ეს მისად გაესაღებინა?

„ორი წლის შემდეგ მივიღე ჩემი შვილის ჩიპი. არც კი ვიცი, შეიძლება თუ არა ამის მოყოლა...“

– ალბათ, იმას სჭირდებოდა, ვისაც არ უნდოდა, რომ ჩვენ ეჭვები გვქონოდა ვინმეს დანაშაულზე... იმ წერილში გამოკვეთილად იყო ნახსენები იმ ადამიანების სახელები, რომლებიც ცოცხლები დარჩნენ. წერილში ეწერა, რომ ჩვენ ეს ადამიანები არაფერში უნდა დაგვედანაშაულებინა...

– შეგიძლიათ, ეს წერილი გამოგვიგზავნოთ?

– მე ამ წერილს, სხვა მასალებთან ერთად, მათ შორის იმ ფოტოებსაც, რომელიც საქართველოში გადავიღე, ჩემს ტელეფონში ვინახავდი, რომელიც მომპარეს... ალბათ, შემთხვევითი ქურდობა იყო... ჩემი მეუღლე მეუბნებოდა, რომ ამ ყველაფრის შენახვა ჩვენთვის უსაფრთხო არ იქნებოდა. თუმცა, მე არაფრის მეშინია. როცა ეს ტელეფონი დავკარგე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შვილი დავკარგე მეორედ...

– თქვენ ამბობდით, რომ ეძებდით ერთ ქალბატონს, ემირის ყოფილ ცოლს, აიშას, რომელიც, სავარაუდოდ, ფეხმძიმედ უნდა ყოფილიყო თქვენი შვილისგან...

– ეს რეალური ამბავი აღმოჩნდა. სალამს, მისი გარდაცვალების შემდეგ, ვაჟი შეეძინა. მისი ფოტოებიც მაქვს უკვე, თუმცა ჯერ კიდევ ვერ შევძელი მისი ნახვა. დედამისიც იმალება და სახელებს იცვლის. ის სალამის გარდაცვალების შემდეგ მალევე გათხოვდა. მანამდე კი, როგორც შევიტყვე, ჩემს შვილთან, რომელზეც 10-12 წლით იყო უფროსი, ფარულად დაქორწინებულა. ერთად აპირებდნენ ავსტრიიდან წასვლას, როცა სალამი საქართველოში მოდიოდა, თუმცა მაშინ აღმოჩნდა, რომ ფეხმძიმედ იყო და დარჩენა მოუნია.

– ქალბატონო მალქან, ლაფანყურის შემთხვევიდან ორ წელიწადზე მეტი გავიდა... როგორც ამბობთ, კითხვებზე პასუხი ჯერაც არ მიგიღიათ. რას აპირებთ? რას ამბობს თქვენი ხალხი?

– ჩვენთან ამბობენ, რომ, თუ დადგინდება, რომ ამ ყველაფერში დამნაშავე საააკაშვილია, ის პასუხს აგებს ყველაფერზე, სადაც არ უნდა იმოძრაოს ევროპის მასშტაბით. მასაც ჰყავს შვილები... აი, ასე ამბობენ.

– დამნაშავე გამოძიებამ უნდა გამოავლინოს, რომელიც ჯერჯერობით დუმს...

– ისინი მარტო იმ გამოძიების იმედად არ არიან. ყველა არხებით ეძებენ პასუხებს, მათ შორის შარიათითაც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როდის იგეგმეება გიგა



„ხელისუფლებას გიგა ბოკერიას დაჭერა არ გადაუფიქრებია. ეს საკითხი დღის წესრიგში კვლავაც დგას“

მარიამ ნადირაძე

ამას წინათ უშიშროების ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას მეუღლემ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა შეტყობინება, რომელიც მან მიიღო. ამ შეტყობინების შინაარსი ასეთია: „თამარ, გაემზადოს შენი მეუღლე. უახლოეს 7-10 დღეში მიუჯდება ახალაია-მერაბიშვილი-უგულავას ტრიოს. გაემზადოს“.

ავტორი, ცხადია, უცნობია... რამდენად რეალური შეიძლება იყოს ამ უცნობი ავტორის პროგნოზი, ეს სულ სხვა თემაა...

თუმცა ბოკერიას მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დღის წესრიგში დადგომას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანები პროგნოზირებდნენ. ბოკერია კი კვლავაც განაგრძობს მშვიდად ცხოვრებას და შიგადაშიგ მკვახე პოლიტიკური განცხადებების კეთებასაც...

სხვათა შორის, თავის დროზე უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილი კანონდარღვევების შესახებ მტკიცებით ფორმაში საუბრობდა ყოფილი პრემიერი ივანიშვილიც. შესაძლოა, ბევრს დაავიწყდა და ჩვენ შევახსენებთ, რას ამბობდა ის: „მალე ნახავთ, როგორ ანაწილებდა ბოკერია მილიონებს“...

მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებიდან მალევე დაიწყო საუბრები, როგორ იხარჯებოდა უშიშროების საბჭოდან კოლოსალური თანხები ლობისტური კომპანიებისთვის, გიგა ბოკერიასთან დაკავშირებით დღემდე არაფერი შეცვლილა...

მისი დაპატიმრების შესახებ საუბრები ყველაზე მეტად მაშინ გახშირდა, როდესაც ის დაკითხვაზე დაიბარეს და მისი მეუღლე ხელისუფლებას ჯოჯოხეთის მოწყობით დაემუქრა... რთული სათქმელია, რამდენად იქონია გავლენა ამ მუქარამ გამოძიებაზე, ან მართლაც შეშინდა თუ არა ხელისუფლება... თუმცა, ფაქტია, რომ არც ამ დაკითხვის შემდეგ აღარ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები. იყო მხოლოდ ექსპერტების განცხადებები ბოკერიას შესაძლო დაკავებასთან დაკავშირებით.

რა შეიცვალა ერთი წლის შემდეგ და დგება თუ არა ამ თემის აქტუალობა ისევ დღის წესრიგში?

სანამ ამ საკითხს ჩვენს რესპონდენტებთან ერთად განვიხილავთ, მკითხველს შევახსენებთ იმ კონკრეტულ ფაქტებს, რომლის გარშემოც გამოძიებას კვლავაც ექნება კითხვები ბოკერიასთან.

ყველაზე გავრცელებული თემა უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის შესაძლო დანაშაულის შესახებ ამ საბჭოდან გაცემული თანხებია, ამის დამადასტურებელ დოკუმენტებს კი გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ზოგიერთი ინფორმაციით, საქმე ორ ათეულ მილიონამდე ლარს უნდა ეხებოდეს, რომლის არამიზნობრივ ხარჯვაზე პასუხისმგებლობას, სავარაუდოდ, ბათუ ქუთელია და დავით სიხარულიძეც უნდა ინაწილებდნენ ბოკერიასთან ერთად. ამ საქმეზე ჯერ კიდევ გასულ წელს ამბობდნენ, რომ ბოკერიაზე პროკურატურას ბრალი უკვე გამზადებული ჰქონდა. დანარჩენი კი დროის საკითხი იყო... ცნობილია რამდენიმე დეტალი გამოძიების მასალებიდან: მარტო ერთ ამერიკულ კომპანიას, Podesta Group-ს გიგა ბოკერიამ 2010 წელს 600 000 დოლარი გადაუხადა ამერიკაში მიხეილ სააკაშვილის პიარისთვის. იგივე კომპანიასთან, 2012 წელსაც გააფორმა ერთწლიანი ხელშეკრულება უშიშროების საბჭომ და ისევ 600 000 დოლარად...

2011 წლის აგვისტოში, იმ დროს, როცა ამ ქალაქს ენრიკე ეგლესიასი სტუმრობდა, უშიშროების საბჭომ ბათუმის „შერატონში“ სამდღიანი კონფერენცია გამართა, რომელსაც უშიშროების საბჭოს 12 თანამშრომელი ესწრებოდა. როგორც ირკვევა, კონფერენცია მხოლოდ ფორმალობა იყო და ის იქ რეალურად არ გამართულა.

საქმის მასალებში ეს არ ჩანს, თუმცა, თუკი პოლიტიკური ნება იქნება, არ არის გამორიცხული, რომ ბოკერიას 2008 წლის ომიც გაუხსენონ, სადაც მისი კომპეტენციის მიღმა გაცემული ბრძანებებით, როგორც ამბობენ, მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპებოდა...

მის ზურგზეა 2004 წლის თებერვალში გლდანის ეკლესიის დარბევაც და უცხოეთში დაგეგმილი სპეცოპერაციაც, ე.წ. „ორი პატრიარქი“, რომლის მიზანიც ქართულ ეკლესიაში შუღლის ჩამოგდება, სინოდის წევრთა ორად გაყოფა და საბოლოო ჯამში, ეკლესიის ორად გახლეჩა იყო...

2006 წლის 27 მარტის „ციხის ბუნტის“ ერთ-ერთ ორგანიზატორად გიგა ბოკერიას თავად მისი თანაგუნდელი, ელენე თევდორაძე ასახელებს და აზუსტებს, რომ ბრძანებებს „სპეცნაზის“ საჭიროების შესახებ, სწორედ ბოკერია გასცემდა...

სწორედ სავარაუდო დანაშაულთა ასეთი ჩამონათვალი აძლევდა, ალბათ, საფუძველს თავის დროზე ვალერი გელბახიანს, რომელიც მერაბიშვილის შემდეგ უგულავას, მერე კი ბოკერიას დაპატიმრებას პროგნოზირებდა. დღეს კი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ეს საკითხი დღესაც დღის წესრიგში დგას:

– თუ ამ ხელისუფლებას ჰქონდა ამოცანა, რომ სისტემის არქიტექტორები უნდა ჩამჯდარიყვნენ ციხეში, მაშინ მათ შორის ერთ-ერთი პირველი გიგა ბოკერია უნდა ყოფილიყო. გახსოვთ, ალბათ, თავის დროზე ხელისუფლების პირველი პირების განცხადებები იმის თაობაზე, როგორ დახარჯა გიგა ბოკერიამ ბიუჯეტის თანხები და ა.შ. ეს განცხადებები ყველა ლოგიკით, ცხადია, მის მიმართ განხორციელებული მოქმედებებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. თუ მიზეზებს დავუწყებთ ძებნას, ორი რამ გამოიკვეთება – პირველის თანახმად, ბოკერიამ, როგორც ჩანს, მიაღწია შეთანხმებას ხელისუფლებასთან „რაღაცის“ ხარჯზე, რის გამოც მის მიმართ სისხლის სამართლის დევნას არ იწყებენ, ან კიდევ არის მეორე ფაქტორიც: საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გარეშე უცხოეთიდან მოხდა ზეწოლა ისეთი, რომელსაც ხელისუფლებამ ვერ გაუძლო.

– მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლება გეგმავდა მის მიმართ სისხლის სამართლის დევნის დაწყებას და ზემოშემოთავაზებული ერთ-ერთი მიზეზით (ან ორივეთი ერთად. – მ.ნ.) გადაიფიქრა?

– არა, ხელისუფლებას გიგა ბოკერიას დაჭერა არ გადაუფიქრებია. ეს საკითხი დღის წესრიგში კვლავაც დგას, თუმცა ის ფაქტორები, რომლის შესახებაც მოგახსენეთ, დროებით აჩერებს ამ საკითხს.

– როცა ამბობთ, რომ შესაძლოა, ბოკერია ხელისუფლებასთან შეთანხმდა, გულისხმობთ, რომ ის თანამშრომლობს მასთან?

– მოდი, ასე ვთქვათ – ბოკერია ან თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, ან მისი დასავლელი ლობისტები ახდენენ ზეწოლას, რომელსაც ხელისუფლება ვერ უძლებს. თუმცა, რომელიც არ უნდა იყოს, ეს მაინც დროებითია. სამხედროებს აქვთ ასეთი გამონათქვამი – ავტომატს ხელი ისე არ უნდა გამოჰკრა, რომ ყველა ტყვია ერთჯერადად დახარჯო. შესაძლოა, ბოკერია გახდეს საარჩევნო მსხვერპლი. ასე რომ, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ბოკერიაზე სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება პოლიტტექნოლოგიის საკითხი გახდეს და საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გადავადდეს. თუმცა, რაც უნდა იყოს, ამოცანა ამოცანაა. ბოკერიას მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი კი თავის დროზე ხელისუფლების დაანონსებული ამოცანაა, რომელსაც ის აუცილებლად განახორციელებს, მაგრამ ის, როგორც ჩანს, პოლიტიკის ტექნოლოგიის ის ნაწილია, რომელიც ბოლოსთვის უნდა იქნას გამოყენებული.

– გულისხმობთ ხელისუფლების ვადის ამოწურვის მოახლოებას?

– დიახ, ბოკერიასთვის ბომბს ხელისუფლება მაშინ აამოქმედებს, როდესაც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კომპრომატების ომი დაიწყება. ეს კამპანია კი 2016 წლის იანვრიდან დაიწყება. ასე რომ, ბოკერიას თავისუფლად ყოფნისთვის 1 წელი რჩება, ვინაიდან მას ხელისუფლება ბოლო ლუკმად იტოვებს.

– ფიქრობთ, რომ ამ დროისთვის ხელისუფლება დასავლეთის ზეწოლას აღარ გაითვალისწინებს ბოკერიასთან დაკავშირებით?

– ის თავის დაანონსებულ ამოცანას მაინც განახორციელებს და საარჩევნო კოზირებში ყველაზე მთავარი კოზირი შესაძლოა, ბოკერია აღმოჩნდეს.

– სააკაშვილს წაუყენეს უკვე სამი ბრალი... თუ ბოკერიას ბოლოსთვის იტოვებენ, შეიძლება ამით მისი პოლიტიკური წონის უპირატესობა განისაზღვროს?

– არა, უბრალოდ, სააკაშვილის სახით რესურსი გახარჯულია, ბოკერია კი – შემონახული. მოდი, ამ ყველაფერს ძალიან მარტივად შევხედოთ: სააკაშვილი ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი ნაძვის ხეა, რომელიც ყველაფერს იტანს – რამდენი სათამაშოც უნდა დაკიდო, როგორც უნდა დახუნძლო, მაინც ნაძვის ხედ რჩება. რეალურად საკაშვილს ამით არაფერი აკლდება, ხელისუფლება კი მოსახლეობის მოხიბვლას ცდილობს, მეტი არაფერი.

– ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტტექნოლოგიებზე, თუმცა არსებობს სამართლებრივი ნაწილიც... გგონიათ, რომ ბოკერიას აქვს ჩადენილი დანაშაული, რომლის დადასტურებასაც მტკიცებულებების სახით ხელისუფლება შეძლებს?

– ერთი ასეთი ფაქტის შესახებ ხელისუფლებამ ერთი წლის წინათ თავად დააანონსა. ახლა ეს საკითხი თაროზეა და უკვე დატვირთვა იმას აქვს, როდის ჩამოიღებენ მას თაროდან. ასე რომ, ეს გაცხადებული ბრალდებაა, რომელსაც მსვლელობა მიეცემა მაშინ, როდესაც ხელისუფლება ამ კოზირის გათამაშებისგან მეტი სიკეთის მიღების დროს განსაზღვრავს. სამართალი პოლიტიკის სამსახურშია და ყველა პროცესი ამ ჭრილში განიხილება.

– ამ განცხადებით თქვენ ნაციონალების პოზიციას ემთხვევით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პოლიტიკურად იდევნებიან...

– ვცდილობ, ჩემს შეფასებაში აბსოლუტურად მიუკერძოებელი ვიყო და ვის პოზიციას დავემთხვევი, ამას ჩემთვის აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა.

„მალე ჩამოაბრძანებენ ადეიშვილს თბილისში, შემდეგ დაიჭერენ ბოკერიას და მიუსვამენ მერაბიშვილს. ლევან რამიშვილი რომ არის გასუსული და საერთოდ არ ჩანს, არ უნდა მოეთხოვოს პასუხი? მის მიმართაც არსებობს კითხვები, სწორედ ის იყო ამ უბედურების იდეოლოგი, რაც ქვეყანას დაატეხეს... უკვე ვიცით, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, სწორედ ის ხელმძღვანელობდა 17 მაისის აქციას. არა მხოლოდ 17 მაისის მოვლენები, მის კისერზეა უამრავი დანაშაული, თუნდაც ციხის ბუნტი. აგერ არის ელენე თევდორაძე, პირდაპირ ადებს ხელს, როგორ იძლეოდა ბრძანებებს ბოკერია... მაგას ისე არ ასცდება ვანო მერაბიშვილის გვერდით ჯდომა, როგორც ორჯერ-ორი რომ ოთხია“, – ეს განცხადება ადვოკატმა **შალვა ხაჭაპურიძემ** 2013 წლის მაისში გააკეთა. დღეს კი „პრაიმტაიმთან საუბრისას აცხადებს:

– ყოველთვის ვთვლიდი, რომ ყველაზე რთულად იმ პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგებოდა, რომლებიც ძველი რეჟიმის დროს აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ იმყოფებოდნენ. გახსოვთ, ალბათ, გივი თარგამაძის ცნობილი ფრაზა – „სულს ამოგხდ-

„გამოძიება ისეთ საქმეებზე, რიგრიც ბოკერიას საქმეა, სწორედ თებერვალ-მარტისთვის გააქტიურდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბოკერიას დაპატიმრება?

ხუთი საქმე, რომელზეც პასუხს მოსთხოვენ უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს(?!)

„ბოკერიასთვის ბომბს ხელისუფლება მაშინ აამოქმედებს, როდესაც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კომპრომატების ომი დაიწყება“

ით!“. ჩვეულებრივ შემთხვევაში ეს მუქარად დაკვალიფიცირდებოდა, მაგრამ გივი თარგამაძესთან მიმართებაში ეს ასე არ მოხდა, ვინაიდან ის დეპუტატი იყო და პოლიტიკური განცხადების ფორმატში აღიქვეს.

– თუმცა, ბოკერია, თარგამაძისგან განსხვავებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც იყო...

– გეთანხმებით... მის მიმართ გამოძიებას მართლაც ჰქონდა კითხვები უშიშროების საბჭოსთვის განკუთვნილი თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე. ეს იყო უცხოური პიარკომპანიებისთვის, ლობისტური კომპანიებისთვის გადახდილი თანხები და ა.შ. დაიბარეს კიდეც დასაკითხად. საკმაოდ სერიოზული სამხილებიც ჰქონდათ.

– რატომ აღარ მიეცა ამას მსვლელობა?

– გამოძიება რომ გაჭიანურდა, ფაქტია. ამას თავისებური გამართლებაც აქვს. რთულია, საქმეები გაგზავნო ისეთ სასამართლოში, სადაც მოკალათებულია ბევრი ისეთი მოსამართლე, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მოსამართლეებს. ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა საქმეების უმეტესი ნაწილი კი განსახილველად, რატომღაც, სწორედ ამ მოსამართლეებთან ხვდება. შედეგებიც სახეზეა – თუნდაც ბაჩანა ახალაიას მიმართ გამოტანილი შვიდი თუ რვა გამამართლებელი განაჩენი. ამიტომაც, ვფიქრობ, პროკურატურამ ამ ეტაპზე სწორი ტაქტიკა აირჩია, თუ გადაწყვიტა, რომ ასეთი საქმეები სასამართლოში მაშინ წარმართოს, როდესაც იქ სერიოზული ცვლილებები მოხდება...

– გულისხმობთ მომავალი წლის თებერვალს, როდესაც კოტე კუბლაშვილს საკონსტიტუციო ვადა დაუმთავრდება?

– რა თქმა უნდა... დარწმუნებულიო ვარ, ამ დროისთვის სასამართლოში სერიოზული ცვლილებები მოხდება... შესაბამისად, გამოძიებაც ისეთ საქმეებზე, როგორიც ბოკერიას საქმეა, სწორედ თებერვალ-მარტისთვის გააქტიურდება.

– თუმცა, არსებობს საქმეები, რომლებიც უკვე გამოიძიეს, მაგრამ ბოკერია იქ დასაკითხადაც არავის დაუბარებია... ვგულისხმობ, თუნდაც, „ციხის ბუნტის“ საქმეს. არადა, ბოკერიას თავად მისი ყოფილი თანაგუნდელი, ელენე თევდორაძე ადებდა ხელს, რომ სწორედ ის მართავდა პროცესებს... რამდენად ლეგიტიმურია ეჭვი იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ბოკერია ხელისუფლებასთან თანამშრომლობდეს?

– დღეს იმის განსაზღვრა, ვინ ვისთან თანამშრომლობს, ძალიან რთულია. ამის თქმა ერთი წლის წინათ უფრო შესაძლებელი იყო... დღეს თანამდებობებზე რჩებიან ადამიანები, რომლებიც პირადად იყვნენ ჩართულნი ნაციონალური რეჟიმის სისტემური დანაშაულების განხორციელებაში იმ დროს, როდესაც ის ადამიანები არიან ქუჩაში, ვისაც დიდი წვლილი აქვს ყოფილი ხელისუფლების გასტუმრებაში.

მაშ ასე, ვადა მოხაზულია – მომავალი წლის თებერვალ- მარტიდან 2016 წლის არჩევნებამდე... რამდენად საკმარისია ეს დრო უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნისთვის სტრატეგიის გასაძლიერებლად, ამას საგამოძიებო ორგანოების შემდგომი ქმედებები გვიჩვენებს, სადაც უკვე დიდი ხანია, აღარ მუშაობს მთავარი პროკურორის მოადგილე, რომელსაც თავის დროზე ნაციონალების მფარველობაში ადანაშაულებდნენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რის სათქმელად ემზად

ემზარ კვიციანი

სკანდალური წერილი ციხიდან: ვინ შეუგზავნა კვიციანის დისშვილს ქილერი და როგორ დასაჯეს ის დავალების შეუსრულებლობისთვის

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

ორ დღეში ამოიწურება ვადა, რასაც ემზარ კვიციანი კრიმინალური დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, ირაკლი ფირცხალავასა და სახელმწიფო კანცელარიის ყოფილ შეფს, პეტრე მამრაძეს უდებს იმისთვის, რომ მათ საჯაროდ მოიხადონ ბოდიში მის მიმართ გაკეთებულ განცხადებებზე ემზარ კვიციანის კრიმინალურ წარსულთან დაკავშირებით.

ბრალდებები კი ასე გამოიყურება, რომელიც თავის დროზე ირაკლი ფირცხალავამ ერთ-ერთ გაზეთში გააჟღერა: „ხეობაში იყვნენ გვარები, რომლებიც ამბობდნენ, რომ საერთოდ არ მიუღიათ ჰუმანიტარული დახმარება, იმიტომ რომ დაპირისპირებული ვიყავით კვიციანის გვართანო. ჰუმანიტარულ დახმარებებს ყველაფერს იღებდა ნორა კვიციანი...

თუ ეს ადამიანები მოსისხლე მტრები იყვნენ აფხაზების ან რუსების, ასე იცავდნენ ამ ხეობას, დღეს ბაჩო არღვლიანი ცხოვრობს კოდორში, თავის სახლში, ემზარ კვიციანი არღვლიანთან ერთად ჯერ სოხუმში იყო, მერე სოჭში, მოსკოვში.

ძალიან აქტიური ბიზნესპარტნიორობა ჰქონდათ ამ ოჯახსა და აფხაზებს ერთმანეთთან. ჰუმანიტარული ტვირთი გადიოდა აფხაზეთში ხეობიდან. ხე-ტყის ბიზნესი ერთად ჰქონდათ. იქიდან კონტრაბანდული სიგარეტი შემოჰქონდათ. არავითარი მოსისხლე მტრობა კვიციანებსა და აფხაზებს შორის არ ყოფილა...“

ირაკლი ფირცხალავა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ასეთ განმარტებას აკეთებს: „მე კანონიერი ქურდების ნათელ-მირონებს, ძმაკაცებს, კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანებს ბოდიშს არ ვუხდი არაფერზე არასდროს, მით უმეტეს, როდესაც მათი დანაშაულების შესახებ შესაბამისი განაჩენები არსებობს. თუ უნდათ, მათი ნებაა, შევხვდებით სასამართლოში“.

რაც შეეხება პეტრე მამრაძეს, არც ის აპირებს ბოდიშის მოხდას: „ჩემთვის ამ ე.წ. ულტიმატუმის“ შესახებ არავის შეუტყობინებია... მე მხოლოდ სიმართლეს ვამბობ, თანაც იმ სიმართლეს, რომელიც საჭიროა ჩვენი საზოგადოებისთვის, ვინაიდან ძალიან ბევრია დეზინფორმაცია. შესაბამისად, თუ ვინმე ამ სიმართლეს შეურაცხყოფად აღიქვამს, ეს იმ ადამიანების პრობლემაა. მე არასდროს ვიხდი ამის გამო ბოდიშს. რაც შეეხება სასამართლოში სარჩელის შეტანას, მე მივესალმები ყველა პრობლემის ცივილიზებულ მოგვარებას. არ ვაპირებ კვიციანივით პუტინის ჩეკისტური რუსეთისთვის თავის შეფარებას. მეც მივმართავ ადვოკატებს და ჩემს პოზიციას სასამართლოში დავიცავ“.

ერთი სიტყვით, ბოდიშის მოხდას არც ერთი არ აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოდორის თემა აქამდე არსებული ვერსიების მთელი „ბუკეტით“, სისხლის სამართლის გარდა, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განხილვის საგანიც გახდება.

„პრაიმტაიმი“, ცხადია, სასამართლომდე გაგაცნობთ კვიციანის ოჯახის პოზიციას. გთავაზობთ ინტერვიუს მის დასთან, ნორა კვიციანთან, რომელიც ირაკლი ფირცხალავას ბრალდებების ერთ-ერთი მთავარი ადრესატი გახლდათ:

– თქვენი ოპონენტები საუბრობდნენ, რომ კოდორის ხეობა თქვენი ძმის რწმუნებულობის პერიოდში კონტრაბანდული იარაღით ვაჭრობის ადგილი იყო...

– რომელი კონტრაბანდული იარაღით ვაჭრობდნენ, რომელიც 2004 წელს თავდაცვის სამინისტრომ დაარიგა ხეობაში? ან კიდევ, როცა იცოდნენ, რომ ეს იარაღი ხეობაში არსებობდა, რატომ გაგვიუქმეს ბატალიონი და შეგვატოვეს ხელში ეს იარაღი? რატომ დაგვარქვეს ბანდფორმირება? ეს ყველაფერი იმ დროს ხდებოდა, როდესაც 15 კილომეტრში რუსების საგუშაგოები იდგა და ჩვენ მათ პირისპირ განიარაღებულები უნდა დავრჩენილიყავით.

– აღარ გქონდათ იარაღი, ჩამოგართვეს?

– იარაღი გვქონდა, არ ამოუღიათ, მაგრამ ვინ გამოიყენებდა მას? უკვე ბანდფორმირება ვიქნებოდით... ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, თავიდანვე სპეციალურად გაკეთდა იმისთვის, რომ იქამდე მივსულიყავით, რა რეალობაც დღეს გვაქვს. ირაკლი ფირცხალავას სამინისტრომ მე კოდორში დამიჭირა და ციხეში ჩამსვა. ციხიდან რომ გამოვედი, კოდორი უკვე აღარ იყო. სად წაიღეს კოდორი? როცა ეს კითხვა ფირცხალავას დავუსვი, მიპასუხა, ეს შენს შვილს, ბაჩო არღვლიანს ჰკითხეო. რა შუაშია ბაჩუკი? ჩემმა შვილმა ჩააბარა ხეობა, ჩემი შვილის ხათრით ჩააბარეს, თუ რა ხდება, ვერ გავიგე! ათასობით სამხედრო იყო ხეობაში შესული, იარაღითა და აღჭურვილობით. ისინი წამოვიდნენ, დატოვეს იქ ყველაფერი და ისე ჩააბარეს ხეობა. რა შუაშია აქ ბაჩო არღვლიანი? მე ახლა ეჭვები მიჩნდება, რომ მისი ხსენებით რაღაც ახალ პროვოკაციას გეგმავენ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები. სხვა შემთხვევაში რაში უნდა დასჭირვებოდათ ჩემი შვილის ხსენება? იმიტომ ხომ არა, რასაც იქ ის რეალურად აკეთებდა?

მეგის ქარდავა

– რას აკეთებდა რეალურად?

– ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ იქ მშვიდობა დამყარებულიყო. ახალგაზრდებს ახვედრებდა ერთმანეთს. ბოლო პერიოდში თითქმის აღდგენილი იყო კომუნიკაცია. დღემდე იგივეს აკეთებს. თუ აქამდე იქ, სადაც ის ცხოვრობს, ქართულად არ ლაპარაკობენ, სწორედ მისი დამსახურებით ისმის ქართული საუბარი. მათ ჩვენ მტრებს ვეძახდით. აღმოჩნდა, რომ მტრები ისინი კი არ ყოფილან, შიგნით გვყოლია. ახლა რომ ვაკვირდები, მაშინაც არ უნდოდათ აფხაზებს, რომ ჩვენ ხეობიდან გამოვსულიყავით. არ აწყობდათ კოდორის ჩაბარება, რადგან ეს საშუალებას მისცემდა რუსეთს, შემდეგ ის პროცესები განეხორციელებინა, რაც ახლა გვაქვს სახეზე. ეს აფხაზებმა, როგორც ჩანს, თავიდანვე იცოდნენ. დღეს ჩემი ძმა იმისთვის იხდის სასჯელს, რომ თავის დროზე აფხაზეთის ანექსიას უშლიდა ხელს და მეც ამიტომ მოვიხადე ამდენი წელი...

– თუმცა, ის ბრალდებები თქვენი ოჯახის მისამართით, რაც ირაკლი ფირცხალავამ, ან პეტრე მამრაძემ გააჟღერეს, პირველად არ გაუგონია საზოგადოებას. წლების განმავლობაში გვესმოდა ბაჩო არღვლიანის სახელი მძევლების გატაცების, ან იარაღით ვაჭრობის კონტექსტში...

– ასეთი ინფორმაციები სპეციალურად გორდებოდა ჩემი შვილის და ძმის მისამართით. არც ერთი ინციდენტის დროს, რაც ხეობაში ხდებოდა, ჩემი შვილი იქ არ იმყოფებოდა. მძევლებზე რომ საუბრობენ, მაშინ ბაჩოც და ემზარიც უკრაინაში იყვნენ. ხეობაში კი იდგა შინაგანი ჯარი. ეს ჯარი იდგა მაშინაც, როდესაც მაღალი ძაბვის სადენებს ჭრიდნენ. ყველაფერი სააშკარაოზე გამომქონდა, ვინ აკეთებდა ამას და რა მიზნებით.

– ვინ აკეთებდა ამას და რა მიზნით?

– ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ხელისუფლებას იქ „სპეცნაზი“ შემოეყვანა. ამის დაშვება კი ერთადერთი მიზეზით არ შეიძლებოდა – 1995 წლის ხელშეკრულებით, ხეობაში სამთავრობო სტრუქტურები და შეიარაღებული ძალები არ შეიძლებოდა შესულიყო. მათ კი შემოჭრა უნდოდათ იმისთვის, რომ საბოლოოდ ხეობის ჩაბარება მოხერხებულიყო. ბოლოს მთელი ძალების მობილიზება მოახდინეს, აიღეს ხეობა და ბოლოს ჩააბარეს. რჩება კითხვები კიდევ რამეზე? 14 წელი ხომ ჩვენ შევინარჩუნეთ კოდორი? ხომ იყო საქართველოს იურისდიქციაში? ხომ ფინანსდებოდა პრეზიდენტის ბიუჯეტიდან თითოეული კოდორელის ზამთრის მარაგი? ავად თუ კარგად ეს ხდებოდა და ხეობა შენარჩუნდა და ამას სწორედ ჩემი ოჯახი ახერხებდა. სწორედ ამის გამო დავისაჯე მეც და ისჯება ჩემი ძმაც. ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს მაღიარეს მე პოლიტპატიმრად და მძევლად. მძევალი ვიყავი, აბა, რა ვიყავი – მეუბნებოდნენ, გაგათავისუფლებთ, თუ შენი ძმა და შვილი ჩაბარდებაო. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩემს ანგარიშზე რეალურად არც ერთი დანაშაული არ იყო? ასევე, ხდება ემზართან დაკავშირებითაც. სასამართლო იმ მასალებს დაეყრდნო, რაც ძველმა პროკურატურამ გამოიძია. ახალი გამოძიება საქმეზე ხომ არავის ჩაუტარებია? დღეს ყველამ ვიცით იმ მფრინავების ჩვენების შესახებ,

ვინ არის ის „პირველი პირი“, ვინც მეგის ქარდავას არღვლიანის ლიკვიდაცია შეუკვეთა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეგა ემზარ კვიციანი?

ნორა კვიციანი

„თუ იცოდნენ, რომ ეს იარაღი ხეობაში არსებობდა, რატომ გაგვიუქმეს ბატალიონი და შეგვატოვეს ხელში ეს იარაღი? რატომ დაგვარქვეს ბანდფორმირება?“

„14 წელი ხომ ჩვენ შევინარჩუნეთ კოდორი? ხომ იყო საქართველოს იურისდიქციაში? ხომ ფინანსდებოდა პრეზიდენტის ბიუჯეტიდან თითოეული კოდორელის ზამთრის მარაგი?“

„თუ ვინმე ამ სიმართლეს შეურაცხყოფად აღიქვამს, ეს იმ ადამიანების პრობლემაა. მე არასდროს ვიხდი ამის გამო ბოდიშს“

პეტრე მამრაძე

რომლებიც გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებას შიფრავენ, რომ მათ უნდა დაედუღებინათ ხეობაში ყველაფერი. სწორედ ამ დადუღების დროს დაიღუპა ქალი, რომელიც მთიდან მოდიოდა და ახლა მის გარდაცვალებასაც ჩემს ძმას მიაწერენ. თუმცა, მადლობა უფალს, ჩვენი სიმართლე მაინც დადგინდება, რაც არ უნდა გვებრძოლონ.

– კოდორის ჩაბარების საქმეზე პროკურატურაში გამოძიება მიდის?

– ეს გამოძიება იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ ეს საკითხი რეალურად დაინტერესებთ. თუმცა, ასობით კოდორელი წერს განცხადებას, როგორ ვითარდებოდა პროცესები ხეობაში, რა ვითარებაში შეიქმნა და დაიშალა ბატალიონი „მონადირე“. ასე რომ, თუ გამოძიებას მოუნდება, ბევრი სამხილი ექნება.

– თქვენი ვაჟის შესახებ მინდა გკითხოთ: საზოგადოება ასეა ინფორმირებული, რომ ის არის კრიმინალური ავტორიტეტი და დღესაც აფხაზეთში ცხოვრობს. ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება?

– ჩემი შვილი წლების განმავლობაში ამყარებდა ურთიერთობებს აფხაზ ხალხთან. ახლა ძალიან უნდათ, რომ მას სახელი შეულახონ, მაგრამ არ გამოუვათ ეს ამბავი. ბაჩო არღვლიანი კრიმინალური ავტორიტეტი კი არა, ვაჟკაცი, უღალატო და სამშობლოს მოყვარული ადამიანია. ათას პროვოკაციას გვიწყობდნენ წლების განმავლობაში. ჩემი შვილი უკრაინაში იყო, როდესაც ხეობაში ძმაკაცი, დათო აფრასიძე მოუკლეს. სხვათა შორის, მის სახელსაც ახსენებს ირაკლი ფირცხალავა. როცა ის საქართველოში ჩამოვიდა, გადარეული იყო, – რა ქენით, ძმა მომიკალითო?.. მერე ჩეჩნები შემოუშვეს ხეობაში. გახსოვთ, ალბათ, გაეროს ვერტმფრენი რომ ჩამოაგდეს. ესეც ჩვენთვის გამიზნული პროვოკაცია იყო, რომ როგორმე ხეობა დარტყმის ქვეშ მოქცეულიყო და საბოლოო მიზნისთვის მიეღწიათ... ამ ყველაფერს წლების განმავლობაში ვუძლებდით. მიუხედავად ყველაფრისა, 14 წელი შევინარჩუნეთ ხეობა.

– კვლავ თქვენს შვილს მივუბრუნდეთ... ის მართლა აფხაზეთში ცხოვრობს?

– ჩემი ბიჭის, ისევე როგორც ჩემი ძმის მოსაძებნად ხელისუფლებამ ჯილდოდ 100 ათასი გამოყო. ემზარი საქართველოში თავის ფეხით ჩამოვიდა, ეგონა, რომ სიმართლეს მიაღწევდა, მაგრამ მიიღო ის განაჩენი, რაც ყველასთვის ცნობილია. რატომ გიკვირთ, რომ ჩემი შვილი არ ჩამოდის? იქ მას მეგობრები ჰყავს, რომლებმაც ისიც გადაარჩინეს და მისი ცოლ-შვილიც. ჩემს შვილს დევნიდნენ და რამდენიმე ხანს ტყეში ცხოვრობდა, ბალახს ჭამდა... დიახ, აფხაზებმა გადაარჩინეს. თუმცა ეს სიკეთე მის მიერ თავის დროზე ჩადენილი სიკეთის საპასუხო იყო. თავის დროზე ეს ადამიანები ერთმანეთს მაშინ დაუკავშირდნენ, როდესაც მარუხის უღელტეხილზე დარჩენილი მიცვალებულების გადაცემაში თანამშრომლობდნენ. ბაჩოს ეს არ დაუვიწყეს.

– გამოდის, რომ თქვენს შვილს აფხაზები იფარავენ საქართველოს ხელისუფლებისგან?

– საქართველოს ხელისუფლებამ თავის დროზე მე გამომკეტა ციხეში. წარმოგიდგენიათ, რა შეეძლოთ ბაჩო არღვლიანისთვის გაეკეთებინათ, თუ მას ხელში ჩაიგდებდნენ. უკვე სამმა თუ ოთხმა ადამიანმა აღიარა, რომ მასთან მოსაკლავად შეაგზავნეს. ერთ-ერთი, უბილავა, დღესაც პატიმარია. მან წერილიც გამოგზავნა ციხიდან, სადაც აღწერს, როგორ მიიღო დავალება მეგის ქარდავასგან, მოეკლა ბაჩო არღვლიანი, რადგან მას ამას „პირველი“ ავალებდა. ეს „პირველი“ ვინ იყო, ვერ გეტყვით – სააკაშვილი თუ მერაბიშვილი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დავალების შეუსრულებლობის გამო, მას საბოლოოდ ციხეში ამოაყოფინეს თავი. იცით, რატომ უნდოდა სააკაშვილის ხელისუფლებას ბაჩოს ლიკვიდაცია? იმიტომ რომ მას არ უყვარდა სამშობლოს მოყვარე ადამიანები.

– თუმცა კოდორის ხეობა კრიმინალის ბუდედ სააკაშვილის ხელისუფლებამდე იყო მონათლული. უკვე წლებია, საუბრობდნენ, რომ იქ ხდებოდა უკანონო ხე-ტყის მოპოვება და ვაჭრობა, იარაღის კონტრაბანდა, მძევლების გატაცება, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლების გატაცებაც, მკვლელობები და ა.შ. ასეთი ინფორმაცია ხეობის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა.

– ის ადამიანები, ვინც ამ ინფორმაციებს ავრცელებდნენ მიზანმიმართულად, შევარდნაძის ხელისუფლებაშიც იყვნენ. ყველაფერი ეს მტკნარი სიცრუეა და ჩემს ოჯახს ამ დანაშაულებთან არავითარი კავშირი არ აქვს. ხომ ხედავთ, ღმერთმა არ გაგვწირა. გავუძელით „დადუღებასაც“, ციხესაც, დევნილობასაც, ქილერების შეგზავნასაც. როცა ჩემი ძმა ციხიდან გამოვა, თითოეულ დეტალზე დაწვრილებით ისაუბრებს.

– როდისთვის ელოდებით მის განთავისუფლებას?

– როგორც კი სააპელაციო სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას...

– ფიქრობთ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია? რამე შეიცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შემდეგ?

– უბრალოდ, იმედი გვაქვს, რომ ასე მოხდება. პირველ სასამართლოზე 2006 წელს შედგენილი საქმის მასალებით იმსჯელეს... თუ ჩვენი იმედები ახლაც გაცრუვდება, თუ ემზარს არ გამოუშვებენ, ვერავის ვერაფერს მოვუწოდებ, თუმცა პირადად მე პროტესტის უკიდურეს ფორმას მივმართავ და გმირთა მოედანზე გმირთა მემორიალთან დავჯდები, ვინაიდან ქვეყანაში, სადაც ჩემი ძმა პატიმარია და ჩემს შვილს არ დაედგომება, ჩემს ადგილს სხვა ადგილას ვერც მე იპოვი.

ირაკლი ფირცხალავა

„მე კანონიერი ქურდების ნათელ-მირონებს, ძმაკაცებს, კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანებს ბოდიშს არ ვუხდი არაფერზე არასდროს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საპატიო ცვ

ზვიად ჯანყარაშვილმა
პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა დატოვა

ირაკლი სამყურაშვილი
შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის პოსტიდან გადადგა

რომან ჩხენკელი
ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტს ტოვებს

ქეთი ხატიაშვილი

ასეთი ცვლილებები ვერტიკალზე, ბუნებრივია, ბევრ ვერსიას აჩენს, ბევრი მათგანი მითოლითებულია. რა აერთიანებთ ამ ადამიანებს, რა ჰქონდათ მათ საერთო? როგორც ჩანს, შემთხვევითი არ იყო, რომ პირველმა პოლიტიკური პოსტი სწორედ ზვიად ჯანყარაშვილმა დატოვა. მის გადადგომას ვერტიკალიდან მისი გუნდის წასვლა მოჰყვა. თანამდებობები დატოვეს იმ პირებმაც, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ დროსაც მაღალ პოსტებს იკავებდნენ.

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ განცხადებით:

„პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობიდან ზვიად ჯანყარაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ზვიად ჯანყარაშვილმა დაკავებული თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ზვიად ჯანყარაშვილი აღარ ასრულებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოვალეობას, მას მუდმივად, პრემიერის ოჯახთან ნათესაობის გამო, სხვადასხვა სახის ბრალდებას უყენებდნენ.

იმისთვის, რომ საზოგადოებას აღარ დარჩეს კითხვები და ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ამ თემით სპეკულირება, ზვიად ჯანყარაშვილმა გადაწყვიტა, დაეტოვებინა პარტიული თანამდებობაც. ის არც ერთ საჯარო თანამდებობაზე აღარ იმუშავებს“.

როგორც ჩანს, ზვიად ჯანყარაშვილმა პოლიტიკური პოზიციების დათმობით პრემიერ ღარიბაშვილს ხელ-ფეხი გაუხსნა. ახლა ოპოზიცია ირაკლი ღარიბაშვილის ნეპოტისტურ მიდრეკილებებზე ვეღარ ისაუბრებს...

ზვიად ჯანყარაშვილმა პარტიაში მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც შსს-ში გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობა დატოვა. მანამდე 2012 წლის არჩევნების დროს ჯანყარაშვილი სიღნაღში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. ის ირაკლი ღარიბაშვილის ცოლის მამიდაშვილი გახლავთ.

ნეპოტიზმის თემაზე განცხადებებს პარლამენტში ძირითადად ირმა ნადირაშვილი აკეთებდა ხოლმე.

თუმცა, ახლა როცა ზვიად ჯანყარაშვილი გადადგომის მოტივად პრემიერ-მინისტრთან ნათესაობის თემაზე სპეკულაციების შეწყვეტას ასახელებს, ოპოზიციაში ახალი ვერსია გაჩნდა. ახლა ითქვა, რომ „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანს კახი კალაძესთან ჰქონდა დაპირისპირება.

ღარიბაშვილი-კალაძის დაპირისპირების თემის აგორება ოპოზიციამ რამდენჯერმე სცადა. პირველად სწორედ ირაკლი შიხიაშვილის თემაზე. ეს უკანასკნელი ნაციონალების დროს საკრებულოს თავმჯდომარე იყო. მაშინ ითქვა, რომ შიხიაშვილის თემაზე ერთმანეთს ჯანყარაშვილი და კალაძე დაუპირისპირდნენ. ვიცე-პრემიერს არ უნდოდა შიხიაშვილი საარჩევნო სიაში მოხვედრილიყო. ამ ხმებს ყოველთვის უარყოფდა თავად შიხიაშვილი. მისი განმარტებით, მას საკრებულოში მოხვედრის არც სურვილი და არც ინტერესი აღარ ჰქონდა. მისი ეს არგუმენტი, ვფიქრობ, უფრო ლოგიკური ჩანს.

ჯანყარაშვილის შემდეგ პრემიერის ადმინისტრაციაში პოსტი რომან ჩხენკელმაც დატოვა. ის პრემიერის მრჩეველი იყო ეკონომიკურ საკითხებში.

საინტერესოა, რომ ჩხენკელი წინა ხელისუფლების დროს ეროვნული აუდიტის ერთ-ერთ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ახლი ხელისუფლების დროს ის ჯერ აჭარის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა, მოგვიანებით კი პრემიერ ღარიბაშვილის მრჩეველი გახდა... მისი კარიერული გზა იოლი არ ყოფილა. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რომან ჩხენკელი ბანკ „ქართუს“ გაკოტრების საქმეში ერთ-ერთი ბრალდებული იყო. 2013 წლის 20 იანვარს რომან ჩხენკელს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის სახით 15 ათასი ლარის გირაო შეუფარდა...

გურია ნიუსის ინფორმაციით, ჩხენკელის პროტეჟე იყო გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე. საგენტოს ცნობით, ჩხაიძე სკანდალში დანიშვნისთანავე გაეხვია, რადგანაც ის ოქტომბრის არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფინანსებელი იყო.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მის ადმინისტრაციაში რომან ჩხენკელი ბიზნესომბუდსმენმა გიორგი გახარიამ ჩაანაცვლა.

მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ:

„საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები გრძელდება. რამდენიმე თვის წინ სამთავრობო გუნდში რამდენიმე მინისტრი შეიცვალა. დასახული მიზნების შესასრულებლად და სახელმწიფო სტრუქტურების უფრო ეფექტურად მუშაობისთვის ცვლილებები ქვედა რგოლებსაც შეეხო.

ცვლილებები განხორციელდა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის და ეკონომიკურ საბჭოებში.

ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტს ჩაიბარებს ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია. ის ასევე შეინარჩუნებს ბიზნესომბუდსმენის თანამდებობას. რომან ჩხენკელმა, რომელმაც საკმაოდ დიდი სამუშაო გასწია და შექმნა ეფექტური სტრუქტურა, არაერთხელ თავად ითხოვა ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტის დატოვება. პრემიერ-მინისტრმა დააკმაყოფილა მისი ეს თხოვნა.

რაც შეეხება გიორგი გახარიას, ის 2 წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა ბიზნესსექტორთან, ერკვევა მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში და კარგად იცის ხელშემწყობი ფაქტორები, რომელიც დღეს ბიზნესს სახელმწიფოსგან სჭირდება“.

ბიზნესობუდსმენის თანამდებობაზე გახარია ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს დაინიშნა. მაშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში პრემიერის ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს მოხდა მისი კანდიდატურის ამ თანამდებობაზე წარდგენა.

როგორც **ივანიშვილმა ბიზნესმენებს განუცხადა**, გახარიას კარგად ესმის ბიზნესის ენა და ბიზნესმენებისაც.

„მე თქვენი გზა მაქვს გავლილი, დღეს ამის საშუალება არ მაქვს, მაგრამ კარგად ვიცი, რა სჭირდება ბიზნესს. გარწმუნებთ, რომ ყველა პირობას შევქმნით. მთავრობა ჩაერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ თქვენ გაგიუმჯობესოთ და გაგიიოლოთ ბიზნესის განხორციელება“.

სხვათა შორის, ბიზნესმენებმა სოციალურ ქსელებში

„მუდმივი განაცხადება და სრულყოფა მიმართულია მთავრობის უფრო ეფექტურ მუშაობაზე და არის პასუხი ახალ გამოწვევებზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვლიდეებები

აკაკი ჩხენკელი
მთავროობის ადმინისტრაციაში რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი აღარ იქნება

გიორგი ჩხაიძე
გურიის გუბერნატორის პოზიციიდან წავიდა

ზურაბ კოპაძე
ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობას აღარ იკავებს

ომბუდსმენის პრემიერის ადმინისტრაციაში გადასვლა დადებითად შეაფასეს.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრის მოადგილის პოსტს ნოდარ ჯავახიშვილი დაიკავებს. ოფიციალური განცხადების თანახმად: „ჯავახიშვილის მრავალწლიანი გამოცდილება ხელს შეუწყობს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენებას“.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის დავით შავლიაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებაც, თუმცა ეს ინფორმაცია საბოლოოდ არ დადასტურდა.

ნოდარ ჯავახიშვილმა სამინისტროში ზურაბ კოპაძის ადგილი დაიკავა. თუმცა მინისტრის ახალმა მოადგილემ თქვა, რომ მას არავის ადგილი არ დაუკავებია: „მე არავის ადგილს არ ვიკავებ. როგორც ვიცი, იქ დაშვებულია მოადგილის დამატებითი საშტატო ერთეული და იქ ამ საშტატო ერთეულზე მივდავრ. მე ასეთი ინფორმაცია მაქვს. დოკუმენტურად მეც არ მინახავს“.

„ასეთი“ ინფორმაცია კი პრემიერის პრესსამსახურმა თავად გაავრცელა:

„გამომდინარე იქიდან, რომ ინფრასტრუქტურას მომავალი წლიდან ძალიან დიდი და მასშტაბური სამუშაოების განხორციელება მოუწევს, სამინისტროს ბიუჯეტი კი, მილიარდ ლარს შეადგენს, ზურაბ კოპაძის ნაცვლად, მინისტრის მოადგილის პოსტს დაიკავებს ნოდარ ჯავახიშვილი, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს. მისი მრავალწლიანი გამოცდილება, ხელს შეუწყობს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენებას“, – აღნიშნავენ პრემიერის პრესსამსახურში.

პრესსამსახური განცხადებაში სხვა ცვლილებებსაც შეეხო:

„ამ დღეებში შეიცვალა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, ეს პოზიცია დაიკავა ბატონმა ზაზა დოლიძემ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ბატონი კახაბერ სოლოღაშვილი. უახლოეს დღეებში დასახელდება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელი.

ახალი, კვალიფიციური კადრები სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობის წინაპირობაა. მუდმივი განახლება და სრულყოფა მიმართულია მთავრობის უფრო ეფექტურ მუშაობაზე და არის პასუხი ახალ გამოწვევებზე“.

„ქართუ“ ბანკის უკვე ყოფილი გენერალური დირექტორი იმ პრიორიტეტებზე საუბრობს, რომელიც პირველ რიგში უნდა გააკეთოს.

„ნეტგაზეტასთან“ საუბარში მან თქვა:

„სამინისტროში საქმიანობას ორშაბათიდან შევუდგები. პირველი, რასაც გავაკეთებ, ტენდერების საკითხს შევისწავლი ძირფესვიანად და შევქმნი მოქნილ, დახვეწილ სისტემას, რომ ამ მექანიზმმა გამართულად იმუშაოს“.

ჯავახიშვილის განცხადებით, ტენდერების სისტემის შესახებ საზოგადოებაში ეჭვები არსებობს, თან ინფრასტრუქტურის სამინისტრო ერთ-ერთი უწყებაა, რომელმაც ამ მიმართულებით ფული ვერ დახარჯა:

„შორიდან საუბარი რთულია. მივალ, გავეცნობი საკითხს და დასკვნას გავაკეთებ. რატომ ვერ ჩატარდა ტენდერები? ეს ცუდია თუ კარგი? ყველანაირად ვეცდები, რომ სამინისტროში ტენდერების თემა იყოს გამჭვირვალე“.

„Frontnews“-ის წყაროს ცნობით, კოპაძე კომპანია „ნატახტარის“ მოწილეა, ასევე, აკონტროლებს რესტორნების ქსელ „ჰუკას“, თუმცა წილები სხვა პირთა სახელზე აქვს გაფორმებული. პარალელურად კოპაძე მთელი რიგი ბიზნესმენების საქართველოს ახალ მთავრობასთან ურთიერთობის „დალაგებით“ იყო დაკავებული.

საქართველოს მთავროგის განცხადება:

საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები გრძელდება. რამდენიმე თვის წინ სამთავრობო გუნდში რამდენიმე მინისტრი შეიცვალა. დასახული მიზნების შესასრულებლად და სახელმწიფო სტრუქტურების უფრო ეფექტურად მუშაობისთვის ცვლილებები ქვედა რგოლებსაც შეეხო.

ცვლილებები განხორციელდა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის და ეკონომიკურ საბჭოებში.

ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტს ჩაიბარებს ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია. ის ასევე შეინარჩუნებს ბიზნესომბუდსმენის თანამდებობას. რომან ჩხენკელმა, რომელმაც საკმაოდ დიდი სამუშაო გასწია და შექმნა ეფექტური სტრუქტურა, არაერთხელ თავად ითხოვა ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტის დატოვება. პრემიერ-მინისტრმა დააკმაყოფილა მისი ეს თხოვნა. რაც შეეხება გიორგი გახარიას, ის 2 წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა ბიზნესსექტორთან, ერკვევა მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში და კარგად იცის ხელშემწყობი ფაქტორები, რომელიც დღეს ბიზნესს სახელმწიფოსგან სჭირდება.

მინდია ჯანელიძის თავდაცვის მინისტრად გადასვლის შემდეგ, ვაკანტური იყო სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის თანამდებობა. ამ პოზიციას დაიკავებს დავით სუჯაშვილი, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

საკადრო ცვლილებები სახელმწიფო სამსახურში ბუნებრივი პროცესია. ცვლილებები შეეხო ინფრასტრუქტურის სამინისტროსაც. გამომდინარე იქიდან, რომ ინფრასტრუქტურას მომავალი წლიდან ძალიან დიდი და მასშტაბური სამუშაოების განხორციელება მოუწევს, სამინისტროს ბიუჯეტი კი, მილიარდ ლარს შეადგენს, ზურაბ კოპაძის ნაცვლად, მინისტრის მოადგილის პოსტს დაიკავებს ნოდარ ჯავახიშვილი, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს. მისი მრავალწლიანი გამოცდილება, ხელს შეუწყობს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენებას.

ამ დღეებში შეიცვალა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, ეს პოზიცია დაიკავა ზაზა დოლიძემ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა კახაბერ სოლოღაშვილი. უახლოეს დღეებში დასახელდება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელი.

ახალი, კვალიფიციური კადრები სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობის წინაპირობაა. მუდმივი განახლება და სრულყოფა მიმართულია მთავრობის უფრო ეფექტურ მუშაობაზე და არის პასუხი ახალ გამოწვევებზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

5 ლარის გამო მომვლელმა 77 წლის ქალი სიცოცხლეს გამოასალმა

„როგორ თუ 5 ლარის ქურდობას მაბრალებო, აგური აიღო და თავში ჩაარტყა ამ ქალს“

მირიან ბოქოლიშვილი

ქუთაისში, ე.წ. საღორიას დასახლებაში მოხუცი ქალბატონი განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს. 77 წლის ცაცა ლაგაძეს თავის არეში ბლაგვი საგნით რამდენიმე ნახეთქი ჭრილობა აღენიშნებოდა. ქალბატონი სახლში მარტო ცხოვრობდა და გამომდინარე იქიდან, რომ ადგილზე მისულ მეზობლებს სახლის კარი – ჩამოგდებული, თეთრეულის კარადა კი გაღებული დახვდათ, ეჭვი ყაჩაღურ თავდასხმაზე მიიტანეს. ამ ეჭვებს ამძაფრებდა იქვე მყოფი მომვლელის ნაამბობი, რომელიც მეზობლებს დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ მოხუცი ქალბატონი სწორედ ყაჩაღების მსხვერპლი გახდა.

55 წლის ნელი ხაჟალიამ ცაცა ლაგაძესთან მომვლელად მუშაობა დაახლოებით ორი წლის წინათ დაიწყო. მანამდე ის თურქეთში მუშაობით ირჩენდა თავს. მისი ნაამბობი მეზობლებში ეჭვს არ იწვევდა, თუმცა მომვლელის აქტიურობამ, როგორც ჩანს, სამართალდამცავები დააეჭვა და არცთუ უსაფუძვლოდ. როგორც ადგილობრივები ყვებიან, პოლიციამ ეჭვი სწორედ ნელი ხაჟალიაზე მიიტანა.

„გარდაცვლილის ქალიშვილი იამზე საბერძნეთში მუშაობს. ცაცას ეს ქალი უვლიდა და იამზე უგზავნიდა ხელფასს საბერძნეთიდან. როგორც გავიგე, კონფლიქტი 5 ლარის გამო მოხდა. ორი ხუთლარიანი ჰქონია ცაცას და ერთი ხუთლარიანი მიუცია, პური მოიტანეო. ამ ნელის კი მეორე ხუთლარიანი მოუპარავს. ამაზე შეკამათდნენო. როგორ თუ 5 ლარის ქურდობას მაბრალებო, აგური აიღო და თავში ჩაარტყა ამ ქალსო. რამდეჯერმე აქვს ჩარტყმული. მთელი სახლი სისხლით იყო სავსე, დაჩეჩქვილი იყო საწყალი. ასეთი სისასტიკე არასდროს შეგვიმჩნევია და არ ვიცი, ასე რამ გაამწარა. როგორ შეიძლება 5 ლარის გამო, ასეთი რამ გააკეთო. საშინელებაა“, – გვიყვება გარდაცვლილის ერთ-ერთი მეზობელი.

„ნელიმ დაგვიძახა მეზობლებს – მიშველეთ, ცაცა მოკლესო. თვითონ სახლში ყოფილა გადასული. ცაცას შვილს დაურეკავს, დედაჩემი არ მპასუხობს და იქნებ გადააკითხოო. თურმე მანამდე ყოფილა ცაცასთან, საწყალი ქალი აგურით მოკლა და მერე ისე გაითამაშა, თითქოს ყაჩაღები დაესხნენ თავს. ეჭვი არც შეგვპარვია, მაგრამ მერე, განყოფილებაში რომ წაიყვანეს, გავიგეთ, რეალურად რაც მოხდა“, – ამბობს კიდევ ერთი მეზობელი.

„ისე გაითამაშა, თითქოს ყაჩაღები დაესხნენ თავს. ეჭვი არც შეგვპარვია, მაგრამ მერე, განყოფილებაში რომ წაიყვანეს, გავიგეთ, რეალურად რაც მოხდა“

სამართალდამცველებმა ცაცა ლაგაძის მკვლელობაში ბრალდებული ნელი ხაჟალია იმავე დღეს დააკავეს.

„1938 წელს დაბადებულ ქალბატონს მისმა მომვლელმა ურთიერთშელაპარაკებისას ბლაგვი საგნით მიაყენა დაზიანებები, რის შედეგადაც აღნიშნული ქალბატონი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულში ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დაიკავეს. ის აღიარებს დანაშაულს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით“, – **განმარტავს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი ტატო კუჭავა.**

მომხდარის შესახებ „პრაიმტაიმი“ გარდაცვლილის დას, ნაზი ცარციძეს ესაუბრა:

– ორი წელი იქნება, რაც ჩემს დასთან მომვლელად მუშაობდა. აქამდე რაიმე ცუდი ურთიერთობა მათ შორის არ შემიმჩნევია, პირიქით, ჩემს დასთან რომ მივდიოდი ხოლმე სტუმრად, ზედ მყვებოდა ეს ქალი. მე სოფლიდან დავდიოდი ხოლმე ცაცასთან. ის პირველ საათამდე უვლიდა, საჭმელს უკეთებდა. როდესაც ჩემს დისშვილს დედამისი ტელეფონზე არ პასუხობდა, ნელის დაურეკა. წამოსულა, შესულა სახლში და დამირეკა, – ნაზი, სასწრაფოდ წამოდი, ცაცა მოუკლავს ვიღაცასო. თავზე ბალიშები ჰქონდა დაყრილი და მთლიანად დაჩეჩქვილი იყო ქალი. მეზობლებს გადასძახა, – მიშველეთო.

– ანუ თავად მკვლელმა შეგატყობინათ?

– კი, მან დამირეკა, თუმცა იქამდე ჩემი დისშვილისთვის დაურეკავს, და პირველად ჩემმა დისშვილმა გამაგებინა საბერძნეთიდან. მე რომ მივედი, ის უკვე აღარ იყო ადგილზე. პოლიციას ჰყავდა განყოფილებაში წაყვანილი. მთელი უბანი სავსე იყო პოლიციის მანქანებით. აქ ამბობდა თურმე მეზობლებში, რომ ყაჩაღობა იქნებოდაო, თავი გაუჩეჩქვეს, კისერი მოსტეხეს და რატომ უნდა მოეკლათ, თუ არა ყაჩაღობის მიზნითო. ასეთ ხმებს ავრცელებდა აქ მეზობლებში. სისხლებია მთელ სახლში მიმოსხმული. ჩემს დას ფეხი სტკიოდა, ერთი რომ ჩაერტყა, ვეღარც ადგებოდა ფეხზე. სავარაუდოდ, რომ წაიქცა, ამის შემდეგ გაუსწორდა ასე სასტიკად.

– მოტივი რა იყო?

– არ ვიცი, არავინ არაფერს გვეუბნება ჯერჯერობით. ის ვიცით, რომ სახლიდან არაფერია წაღებული. ერთადერთი კარი ჩამოუგდია და კარადიდან იყო რაღაცები ამოქექილი. იქ ელაგა ოქროს ნივთებიც, მაგრამ ხელი არაფერზე იყო ნახლები. ალბათ, ეს ყველაფერი იმ მიზნით გააკეთა, რომ თითქოს ყაჩაღები იყვნენ და რაღაცას ეძებდნენ.

– თვითონ ნელის ოჯახი ჰყავს?

– ქმარს გაშორებულია, მერე წავიდა თურქეთში და ქმარმა სხვა ცოლი მოიყვანა. იქიდან რომ ჩამოვიდა, ჩემს დასთან დაიწყო მუშაობა. რადგან ავად იყო, ჩემი დისშვილი საბერძნეთიდან ყოველთვე უგზავნიდა თანხას. მიდიოდა, საჭმელს უკეთებდა, უვლიდა და უკან ბრუნდებოდა სახლში.

– თქვენი და ლოგინად იყო ჩავარდნილი?

– ავად იყო, ძირითადად იწვა. კვირაში სამჯერ დიალიზზე დადიოდა. სპეციალურად ტაქსი ემსახურებოდა, ექიმთან რომ წაეყვანა და უკან დაებრუნებინა. ყოველთვიურად ამ ტაქსს უხდიდა ფულს.

– მეზობლები რას ამბობენ, აქამდე თუ ჰქონიათ კონფლიქტი?

– ცუდს არაფერს. ყოველთვის კარგ სალამს გვეუბნებოდაო, ჩხუბისა და რაიმე კამათის ხმაც არავის გაუგია. ის კი არა, ამბობენ, ხანდახან ერთადაც კი მღეროდნენ ხოლმეო. მეზობლები ახლოს არ ცხოვრობენ, კამათი რომც ჰქონოდათ, შეიძლება ვერც გაეგოთ. არ ვიცი, რამ მოუარა ამ ქალს, ასეთი სისასტიკე როგორ უნდა ჩაიდინო. ნუთუ ღმერთის მაინც არ შეეშინდა?! რა უნდა დაეშავებინა მოხუცს ისეთი, რომ სასიკვდილოდ გაიმეტა. ხომ გეუბნებით, თავი მთლიანად დაჩეჩქვილი აქვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია გენწაძე: „თუ ძალებმა კონსენსუსს არ მიაღწიეს, მაშინ მოხდება ისე, რომ ჩვენ დავდებთ კარგ პროდუქტს, რომელსაც არავინ მიიღებს“

გია გენწაძე

ხათუნა მგალობლიშვილი

პარლამენტმა 2013 წლის 27 დეკემბერს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობა დაამტკიცა. პირობა ასეთი იყო: კომისიას, დავით უსუფაშვილის ხელმძღვანელობით, 2014 წლის 1-ელ სექტემბრამდე ქვეყნის ძირითად კანონში ცვლილებათა პროექტი უნდა მოემზადებინა. 2014 წლის პირველი სექტემბერი ჯერ კიდევ არ „დამდგარა“, ანუ ცვლილებათა პროექტი მარტო პირველ სექტემბერს კი არ გადაიდო, არამედ მას შემდეგ კიდევ ბევრჯერ...

„დავით უსუფაშვილი ძალიან აქტიურად არის ჩართული. მას სურს, მოძებნოს ისეთი წერტილები, სადაც შეიძლება მარტივად იქნას მოძებნილი კონსენსუსი, თუმცა ეს უკვე პოლიტიკური საკითხებია“

არადა 2013 წლის დეკემბერში დავით უსუფაშვილი დიდი შემართებით ირწმუნებოდა, კომისიამ მომდევნო ორი წელი აქტიურად უნდა იმუშაოსო. ხსენებული ორი წლიდან ერთი წელი ისე გავიდა, რომ კომისიის მიერ მიღწეული შედეგები ჯერ არავისთვის ცნობილი არ არის. მართალია, მიზანი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებია, მაგრამ ცვლილებების პროექტის დადების შემდეგ საკმაოდ ბევრი ეტაპია გასავლელი და თანაც საკმაოდ მძიმე... მას შემდეგ, რაც კომისია პროექტის ინიცირებას მოახდენს, უნდა მოხდეს საყოველთაო განხილვები, რომლისთვისაც ოფიციალურად ერთთვიანი პერიოდია განსაზღვრული, რასაც მოჰყვება საპარლამენტო მუშაობა საბოლოო შედეგამდე. საპარლამენტო მუშაობისთვის და ყველა ფაზის გასავლელად თავდაპირველად ექვსთვიანი ვადა დასახელდა, მაგრამ ეს მაშინ დაითქვა, როდესაც კომისიის წევრებს იმედი ჰქონდათ, რომ 2014 წლის პირველ სექტემბერს ცვლილებათა პროექტი უკვე დაიდებოდა.

დღეს 8 დეკემბერია და კონკრეტულ პასუხს, როდის იქნება მზად ცვლილებების პროექტი, ჯერ კიდევ ვერ იძლევიან. შეფერხების მიზეზებზე კომისიის წევრები დეტალურად არ საუბრობენ, თუმცა ცოტა ხნის წინ კონსტიტუციონალისტი გია გენწაძე პოლიტიკოსებს აკრიტიკებდა, დროა პოლიტიკურმა ძალებმა ერთმანეთის პატივისცემა ისწავლონო... **გია გენწაძე:** „თუ პოლიტიკურ ძალებს ერთმანეთის მიმართ არ აქვთ პატივისცემა, მაშინ არც ერთი კონსტიტუცია არ იმუშავებს და ჩვენ შეგვიძლია, ყველაფერი კონსტიტუციას დავაბრალოთ, ისევე როგორც ჯერ გამსახურდიას, მერე შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის დროს ვაბრალებდით“.

კონსენსუსის მიღწევა კონკრეტულ საკითხებზე არათუ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ჭირს, არამედ თავად უმრავლესობას შორის. ბუნებრივია, ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული დეტალი თავად, უსუფაშვილმა „ინინასწარმეტყველა“: „გამომდინარე იქიდან, რომ მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“, სულ ცოტა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ვადით შეიქმნა და მის შიგნით გაერთიანებულ ექვს პარტიას შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა შესაძლოა, კიდევ უფრო გამძაფრდეს ახალი პარლამენტის არჩევის წინ, ახალ მოდელს „მრავალპარტიული პარლამენტი“ მიიღებს. პარლამენტში კოალიციის პარტიებთან ერთად ასევე წარმოდგენილია ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობა“. ეს ნიშნავს იმას, რომ მართლა კონსენსუსის საფუძველზე უნდა მივიღოთ ეს კონსტიტუცია“.

გიორგი კვერენჩხილაძე

გიორგი კვერენჩხილაძე: „შეიძლება ამ ეტაპზე კონკრეტული გადაწყვეტილებები არ არის მიღებული, მაგრამ კომისიას ჯერ კიდევ აქვს ვადა“

კონსენსუსი ჯერჯერობით ვერ მიიღწევა და როგორც კომისიაში მომუშავე წევრები აცხადებენ, ამის მიღწევის ნიშნებიც კი არ არსებობს.

გია გენწაძე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი:

– იცით, როგორი სიტუაციაა? საკონსტიტუციო ტექსტზე მუშაობა ნამდვილად არ არის მარტივი საქმე, თანაც საკონსტიტუციო კომისიაში ბევრი წევრია, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ რაც უფრო ბევრი წევრია, მით უფრო ბევრი აზრი და მოსაზრება არსებობს. შესაბამისად, რომელიმე კონკრეტულ მუხლთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევა რთულია, მაგრამ კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, ნახევარი საქმე გაკეთებული იქნება და პარლამენტს ბევრად გაუადვილდება მსგავსი ნორმების მიღება. მე არ მგონია, რომ ორ თვეში ახალი კონსტიტუცია უნდა დაწერილიყო, მე მგონია, რომ დეკემბრის ბოლოსთვის რაღაც პროდუქტი უკვე იქნება, მაგრამ აქ მთავარი არ არის რომელიღაც ნორმის ტექნიკურად დაწერა, აქ მთავარია, კონსენსუსის მიღწევა პოლიტიკურ ძალებს შორის.

– ეს, ალბათ, მთავარი პრობლემაა?

– რა თქმა უნდა, ეს პრობლემაა. როდესაც არსებობს ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი მხარე და მათ არ სურთ კონსენსუსის მიღწევა, არ აქვს მნიშვნელობა, ვისი ბრალია ეს. ჩვენ, ქართველები, მას

შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, შეჩვეულები ვართ, რომ მუდმივად ორი მხარე არსებობს, რომლებიც ერთმანეთს მტრებად თვლიან და ერთმანეთის მტრად ჩათვლა ითვლება ერთმანეთის ოპოზიონერობად. სინამდვილეში ერთმანეთთან ოპოზიციაში ყოფნა – ეს არის თანამშრომლობა, უბრალოდ განსხვავებული ღირებულებებიდან გამომდინარე. ამ პოლარიზაციის ეტაპიდან ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ ვერ გამოვედით და როგორც ვატყობ, ალბათ, კარგახანი ვერც გამოვალთ. 3/4 არც ერთ ძალას არ აქვს დღეს პარლამენტში. თუ ძალებმა კონსენსუსს არ მიაღწიეს, მაშინ მოხდება ისე, რომ ჩვენ დავდებთ კარგ პროდუქტს, რომელსაც არავინ მიიღებს.

– მით უმეტეს, თუ ამის იმედი არ არსებობს, რამდენად რეალურია მაშინ დეკემბრის დასახელება? რადგან კონსტიტუციასთან მიმართებაში ბევრჯერ დასახელდა კონკრეტული თარიღები და შემდეგ, ასევე, ბევრჯერ გადაიდო...

– ვფიქრობ, რეალურია. ბუნებრივია, წინასწარმეტყველება არ შემიძლია, მაგრამ რა ტემპებითაც ვმუშაობთ, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დეკემბრის ბოლოს რაღაც პროდუქტი უნდა დაიდოს.

– რამდენად აქტიურად არის ჩართული კომისიის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი?

– დავით უსუფაშვილი ძალიან აქტიურად არის ჩართული. მას სურს, მოძებნოს ისეთი წერტილები, სადაც შეიძლება მარტივად იქნას მოძებნილი კონსენსუსი, თუმცა ეს უკვე პოლიტიკური საკითხებია.

საკონსტიტუციო კომისიის მდივნის, გიორგი კვერენჩხილაძის განცხადებით, კომისიას ვადა პირველ მარტამდე აქვს. გამოიყენებს თუ არა კომისია დარჩენილ პერიოდს ბოლო დღემდე, ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს.

გიორგი კვერენჩხილაძე, საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი:

– კომისიის მუშაობა, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ნორმალური ტემპით მიმდინარეობს.

– არის რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული?

– შეიძლება ამ ეტაპზე კონკრეტული გადაწყვეტილებები არ არის მიღებული, მაგრამ კომისიას ჯერ კიდევ აქვს ვადა. ისე კი, მეც ვთვლი, რომ გარკვეულ საკითხებში მეტი კონკრეტიკა, მეტი წინადადებები და მეტი გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროც დადგება.

– რით ხსნით იმას, რომ უნდა იყოს მეტი, მაგრამ არ არის?

– ვერ გეტყვით, შეიძლება ხმალაძის მოსაზრებაც სწორი იყოს, რომ ბევრი სხვა, ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იყო მოსაგვარებელი, თანაც საკმაოდ რთული კომპოზიციაა კომისიის. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არიან, ასევე საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიებიდან, ესეც მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში კომისია აგრძელებს საქმიანობას და გარკვეულ საკითხებზე მიდის მსჯელობა. რაც შეეხება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას, ამის დროც დადგება.

– როდის?

– ვერ გეტყვით. ამ ეტაპისთვის კომისიას პირველ მარტამდე აქვს ვადა, რომ პარლამენტს ცვლილებების პროექტი წარუდგინოს.

– და ვადას ბოლომდე გამოიყენებს?

– კომისიას აქვს ვადა პირველ მარტამდე და როდის წარუდგენს ცვლილებათა პროექტს, ამას ნინასწარ ვერ ვიტყვი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბორის სილევიჩი: „საარჩევნო კანონმდებლობის ნაწილი, რომელიც მაჟორიტარებს ეხება, ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება“

ხათუნა მგალობლიშვილი

2015 წლის საშემოდგომო სესიამდე საარჩევნო სისტემის ხარვეზები უკვე გამოსწორებული უნდა იყოს. შენიშვნებზე საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებელმა საქართველოს საკითხებზე, ბორის სილევიჩმა ისაუბრა. სილევიჩის განცხადებით, საარჩევნო კანონმდებლობა მაჟორიტარების ნაწილში ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება.

ბორის სილევიჩი:

– მთავარი საკითხია საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც ვენეციის კომისიამ დაასკვნა. საარჩევნო კანონმდებლობის ნაწილი, რომელიც მაჟორიტარებს ეხება, არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს, იმიტომ, რომ საარჩევნო უბნების ზომები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ პარლამენტის წევრთა არჩევა ხდება ამომრჩეველთა ძალიან განსხვავებული რაოდენობის მიერ.

სილევიჩის განცხადებით, მართალია არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ გარანტირებულად უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება კანონმდებლობაში. სილევიჩთან შეხვედრის შემდეგ პრობლემაზე პარლამენტის თავმჯდომარეც ალაპარაკდა. დავით უსუფაშვილის განცხადებით, ცვლილებები მაქსიმუმ მარტამდე უნდა მომზადდეს.

დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე: „არსებული მაჟორიტარული ოლქები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ამომრჩეველთა რაოდენობით და ამის პრეცედენტი ძნელად მოიძებნება მსოფლიოში, არის კრიტიკის საგანი, მათ შორის ევროსაბჭოს მონიტორების მხრიდან. გვეკითხებიან, რას ვაპირებთ – სისტემის შეცვლას ვაპირებთ, თუ ოლქების გათანაბრებას. კითხვას პასუხი რაც შეიძლება მალე უნდა გაეცეს. ეს მხოლოდ უცხოელებს არ აინტერესებთ. პირველ რიგში, აინტერესებს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, ამომრჩეველს. ევროსაბჭოს მონიტორებს მივაწოდე ინფორმაცია მიმდინარე პროცესის შესახებ. მათ შორის არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა ვიზიტის თაობაზე. ასე რომ, საკონსტიტუციო ცვლილებების ამ გართულებულ ვითარებაში ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ, საკითხს ვეხებით თუ არ ვეხებით, რაც მაქსიმუმ თებერვალ-მარტამდე უნდა მოხდეს, რათა შემდგომ დრო არ დარჩება, რომ სათანადო ცვლილებები აისახოს საარჩევნო კოდექსში და მერე უკვე ცხოვრებაში“.

მამუკა კაციტაძე: „ჩვენ ვითხოვთ, რომ შეიცვალოს შემდეგნაირად – ხმების რამდენი პროცენტიც მივიღე, იმდენი მანდატი მერგოს შედეგად“

არასაპარლამენტო ოპოზიციამ უკვე ორი თვეა, რაც ინტერფრაქციული ჯგუფი შექმნა და სწორედ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობენ. ჯგუფის ნევრის, მამუკა კაციტაძის განცხადებით, კოდექსში სერიოზული სიმახინჯეები, ცდომილებები და დარღვევებია...

მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეების“ წევრი:

– ჩვენ გამოვყავით ოთხი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ახდენს არჩევნებზე და არჩევნების შედეგებზე. ეს არის: საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, წინასაარჩევნო კამპანია და მასთან დაკავშირებული პრობლემები და ამომრჩეველთა სიების პრობლემა. ჩვენ სწორედ ეს გვინდა შევცვალოთ საარჩევნო კოდექსში. პირველ თემასთან დაკავშირებით, ანუ საარჩევნო სისტემაზე მუშაობა დავასრულეთ და უკვე გადავეცით პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს. იგივე წინადადების შეთავაზებას ვაპირებთ მიმდინარე კვირაში „ქართული ოცნების“ ლიდერისთვის, ირაკლი ღარიბაშვილისთვის, რადგან მიგვაჩნია, რომ თუ არა პოლიტიკური ნება, ამ ტიპის საკითხები ვერ გადაწყდება. რაც შეეხება საარჩევნო სისტემას, დღეს პარლამენტში 77 დეპუტატი ერთიანი პროპორციული სიით ირჩევა, ხოლო 73 – ერთმანდატიანი მაჟორიტარული წესით. იგივე სისტემაა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში. აი, მთავარი უბედურება, რის გამოც საერთაშორისო ორგანიზაციებიც გვაკრიტიკებენ: წესით, ამომრჩევლის რამდენ პროცენტსაც მიიღებ, იმდენივე პროცენტი უნდა გერგოს მანდატებიც წარმომადგენლობით ორგანოში, ხომ ასეა? მაგრამ არსებული სისტემა ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, 25-30%-იანი მანდატების მოპარვის. ბოლო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ თბილისში მიიღო 45%, საკრებულოში მიიღო მანდატების 75%, იგივე ხდება პარლამენტში და იგივე ხდება მუნიციპალიტეტებში.

– რა პრინციპით შეცვლას ითხოვთ?

– ჩვენ ვითხოვთ, რომ შეიცვალოს შემდეგნაირად, ხმების რამდენი პროცენტიც მივიღე, იმდენი მანდატი მერგოს შედეგად. ეს არის პირველი და მთავარი სიმახინჯე და შესაბამისად უმთავრესი გამოსასწორებელი. არის კიდევ საკითხი, რომელიც ასევე იწვევს კრიტიკას, ეს არის მანდატის ნონის არათანაბრობა. ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში არის სხვადასხვა რაოდენობის ამომრჩეველი. მაგალითად, 160-ათასიანი ქუთაისი, 100-ათასიანი რუსთავი ირჩევს ერთ დეპუტატს, ამის პარალელურად ყაზბეგი, სადაც 5 ათასი ამომრჩეველია, ან ონი, სადაც ასევე 5 ათასი ამომრჩეველი ირჩევს ასევე ერთ დეპუტატს. ყველა მათგანს პარლამენტში მოხვედრის შემდეგ აქვს ერთი ხმა. ევროსაბჭოს წარმომადგენლები სწორედ ამაზე აპელირებენ, რომ ამდენპროცენტიანი სხვაობა აბსოლუტურად მიუღებელია. ამ სიმახინჯის აღმოფხვრისთვის ჩვენ წარვადგინეთ წინადადება რომ საქართველოს პარლამენტი მთლიანად იქნას არჩეული პროპორციული წესით, რომელიც უზრუნველყოფს მანდატის წონის თანაბრობასაც და უზრუნველყოფს პრინციპსაც, ხმების რამდენი პროცენტიც მივიღე, იმდენი მანდატი მერგოს.

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში საქართველო უფრო და უფრო დიდ ინტერესს იწვევს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დელეგაცია, ნოემბრის ბოლოს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში, დუბაისა და აბუ დაბიში, შეხვედრები მოეწყო საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. ასევე მოხდა ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია შუა აღმოსავლეთის ყველაზე დიდ გამოფენაზე SIAL MIDDLE EAST 2014, რომელიც აბუ დაბიში გაიმართა.

არაბეთის გაერთიანებული საემიროების ვიცე - პრემიერ - მინისტრი, შეიხ მანსური და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, ქეთევან ბოჭორიშვილი

აბუ დაბიში ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის ხელმძღვანელმა - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ბოჭორიშვილმა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორმა გიორგი ციკოლიამ, შეხვედრები გამართეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფონდის, აბუ დაბის ეკონომიკური განვითარების საბჭოს, საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს და სურსათის უვნებლობის სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან. აგრეთვე, შეხვედრა შედგა საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების მინისტრთან, შეიხა ლუბნა ალ ქასიმასთან, რომელიც 2014 წლის ოქტომბერში ქვეყანაში არსებული ბიზნეს-კლიმატისა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის შესასწავლად საქართველოში იმყოფებოდა.

ინდივიდუალური შეხვედრები მოეწყო მსხვილი კერძო კომპანიების აღმასრულებლებთან, მათ შორის „ხალიფას“ ფონდი, „ალ რავაფედ ჰოლდინგი“; მაჯიტ ალ ფუტაიმი და სხვა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

„არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ ასევე შევხვდით დუბაის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელობას, დუბაის საინვესტიციო სააგენტოსა და ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებს. ვიზიტის შედეგად, დაიგეგმა უფრო მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა საქართველოსა და გაერთიანებულ ემირატებს შორის. მათ ინტერესს წარმოადგენს როგორც სერვისის მიმართულება - ტურიზმი, ლოჯისტიკა, ასევე წარმოება და მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობა. დაიგეგმა საქართველოს შესახებ ბიზნეს ფორუმი, როგორც აბუ დაბიში, ისე დუბაიში. ამასთანავე შევთანხმდით, რომ არაბეთის გაერთიანებული საემიროების ბიზნეს ფორუმი საქართველოში გაიმართება. სასიხარულოა, რომ უკვე რამდენიმე კომპანია აქტიურად ახორციელებს ჩვენი ქვეყნის რამდენიმე მიმართულებით შესწავლას, რაც იმის დასტურია, რომ მათ საქართველოში ინვესტიციების განხორციელების დიდი სურვილი აქვთ“,- აცხადებს ქეთევან ბოჭორიშვილი.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, ქართულმა პროდუქციამ აბუ დაბიში, წლის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაზე - SIAL MIDDLE EAST 2014 დიდი დაინტერესება გამოიწვია. 24-26 ნოემბერს აქტიურად მიმდინარეობდა ქართული პროდუქციის გაცნობა.

„გამოფენა უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა, კონტაქტი დამყარდეს ადგილობრივ მყიდველებთან და მოხდეს ქართული პროდუქციის მასშტაბური პოპულარიზაცია. ჩვენი დახმარებით, საკუთარი პროდუქცია წვენების, მინერალური წყლის, წყაროს წყლის, თაფლის და თხილის, ასევე კვების მრეწველობაში მოღვაწე კომპანიებმა წარმოაჩინეს. 25 ნოემბერს ქართულ სტენდს ეწვია არაბეთის გაერთიანებული საემიროების ვიცე-პრემიერ მინისტრი შეიხ მანსური, რომელიც ქართულ პროდუქციას დიდი ინტერესით გაეცნო“- განაცხადა გიორგი ციკოლიამ.

გამოფენაზე ქართული კომპანიებიდან წარმოდგენილი იყო: „არომა პროდუქტი“ (ხილის წვენების და ჯემების წარმოება); „კამპა“(ხილის წვენები); „საირმე“ (მინერალური წყალი); „აქუა გეო“ (წყალი „სნო“); აერ კომპანი (თხილი); „კულა“ (ხილის გადამუშავება), ნატსჯი/ნატექსი (თხილი);

გამოფენაში SIAL MIDDLE EAST 2014 - 52 ქვეყნიდან 700-ზე მეტმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ვიზიტორების რაოდენობა 17 000-ს აღემატებოდა, საიდანაც პროფესიონალი თრეიდერების რიცხვი 600-ზე მეტი იყო.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობა დაიგეგმა ქ. აბუ დაბიში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტისა და საქართველოში საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების მინისტრის, შეიხა ლუბნას სტუმრობის შემდეგ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გოგი თოფაძე: „საზოგადოების ნაწილს ჰგონია, რომ არაფერი კეთდება, სინამდვილეში კი სურათი აბსოლუტურად საპირისპიროა“

„უკრაინა დიდი ქვეყანაა, თუ მის მართვაში ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას და წარმატებას მიაღწევენ, ნამდვილად არ მეწყინება“

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

ბოლო დღეებში ლარის გაუფასურებამ საზოგადოებაში პანიკა გამოიწვია. ეს პროცესი მყისიერად აისახა ფასებზეც. მმართველი გუნდი მთელ ამ პროცესში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და ვალუტის კურსის ცვლილებას გარე ფაქტორებს უკავშირებს. რამდენად საგანგაშოა ვითარება და უკავშირდება თუ არა ლარის გაუფასურება ქვეყანაში ინვესტიციების შემცირებას? ამ და სხვა თემებზე „პრაიმ-ტაიმი“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, ბიზნესმენ გოგი თოფაძეს ესაუბრა. მისი ინფორმაციით, უახლოეს ხანში საქართველოში ფუნქციონირებას დაიწყებს ჰოლანდიური ავტოქარხანა, რომელიც მიკროავტობუსების, სასწრაფოს, სახანძროსა და ნაგვის მანქანების წარმოებას გეგმავს.

გოგი თოფაძე, საპარლამენტო უმრავლესობა:

– საგანგაშო არაფერია. მთელ მსოფლიოში დოლარის გამყარებასთან დაკავშირებით მიდის იგივე პროცესი. გაიზარდა დოლარის სიძლიერე და ამიტომაც ავარდა კურსი. დარწმუნებული ვარ, ეს დროებითი მოვლენაა. მაგალითად, ინგლისშიც კი შეიცვალა მდგომარეობა, აღარაფერს ვამბობ რუსეთზე, სადაც 50 რუბლს გადაცდა ერთი ამერიკული დოლარის ღირებულება. ჩვენთანაც აიწია კურსმა, რაც მსოფლიო ბირჟებზე მიმდინარე თამაშების გამოძახილია. მოგეხსენებათ, იქ მილიარდებზეა საუბარი. მიმაჩნია, რომ ის, რაც ჩვენთან ხდება, საერთო პროცესებთან არის დაკავშირებული, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ პატარა ქვეყანა ვართ, ეს რყევები ჩვენზე გაცილებით მტკივნეულად აისახება. გასათვალისწინებელია, ასევე, რომ წლის ბოლოა, რაღაც ფისკალური პრობლემები დარჩა გადასაჭრელი. შეიძლება ეროვნულმა ბანკმა გამოიტანოს ბევრი დოლარი, რათა არსებული მდგომარეობა გადაიფაროს. ეს არ არის სავალალო, ეს ყველა ქვეყანაში მგრძნობიარე თემაა, თუმცა სადღაც იანვარში ყველაფერი თავის ადგილას დადგება. იმ პარამეტრებში იქნება დოლარი, რაც აქამდე იყო.

– თუმცა საუბრობენ იმაზეც, რომ კურსის ასეთი ცვლილება შიდა ფაქტორებმა გამოიწვია... რამდენად შესაძლებელია, ამის მიზეზი თუნდაც ინვესტიციების შემცირება იყო?

– ინვესტიციები არ მცირდება. რომ არ ხმაურდება, ეს არ ნიშნავს, რომ არაფერი კეთდება და ინვესტიციები არ ხორციელდება. შესაძლოა, ამის გამო ჩვენი გუნდის პიარსამსახურს ვუთხრათ საყვედური, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში ინვესტიციებმა იკლო. მაგალითად, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ქარხანა შენდება, რომელიც მიკროავტობუსებს გამოუშვებს, ქუჩაში რომ დარბიან ყვითელი ავტობუსები, ისეთი ნამდვილად არ ეკადრება თბილისს. ეს ქარხანა გამოუშვებს ასევე სასწრაფოს, სახანძროსა და ნაგვის მანქანებსაც კი. მომავალი წლის გაზაფხულზე დაიწყება მუშაობა. ეს არის ძალიან სერიოზული ჰოლანდიური ფირმა. ეს კომპანია 18 ქვეყანაში ეწევა ანალოგიურ საქმიანობას. გარდა ამისა, მინის ტარას დიდი ქარხანა შენდება კასპში, უფრო სწორად ახლა იწყება მოლაპარაკებები. პრაქტიკულად ჩვენ არ გვყოფნის ის რესურსი, რაც გვაქვს, ღვინისთვის იქნება ეს, კონიაკისთვის თუ სხვა სასმელისთვის. ამუშავდება საკონსერვო ქარხნები, რომელსაც, ასევე, სჭირდება ტარა. ეს ყველაფერი ამჟამად უცხოეთიდან შემოგვაქვს.

„ძალიან მნიშვნელოვანი ქარხანა შენდება, რომელიც მიკროავტობუსებს გამოუშვებს, ქუჩაში რომ დარბიან ყვითელი ავტობუსები, ისეთი ნამდვილად არ ეკადრება თბილისს. ეს ქარხანა გამოუშვებს ასევე სასწრაფოს, სახანძროსა და ნაგვის მანქანებსაც კი“

– ორი წელი არ იყო საკმარისი, რომ გარკვეული ძვრა მომხდარიყო ქვეყანაში ეკონომიკური მიმართულებით?

– იცით, რა? ეკონომიკის წამოწევა ასე უცბად, ორ წელიწადში არ ხდება. ამას სჭირდება სერიოზული გათვლები და სერიოზული ინვესტიციები, რაც რეალურად დაწყებულია. ეს არის პროცესი. ძალიან ბევრი წარმოება გაიხსნა, მოხდა რამდენიმეს მოდერნიზაცია, მაგრამ ჟურნალისტები ამით არ ინტერესდებით, უბრალოდ, ეს ყველაფერი არ შუქდება და საზოგადოების ნაწილს ჰგონია, რომ არაფერი კეთდება. სინამდვილეში კი სურათი აბსოლუტურად საპირისპიროა. მთავარია, ვდგავართ სწორ გზაზე, სოფელი ვითარდება და უახლოეს ხანში ბევრი ქარხანა აშენდება.

– ცნობილია, რომ სექტემბრიდან პენსია 10 ლარით გაიზრდება, არადა გვახსოვს, რომ დაპირება 220 ლარზე იყო...

– რასაც გავწვდებით, ის უნდა გავაკეთოთ. ფაქტია, რომ იზრდება, ბევრი არ არის ნამდვილად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია. შეხედეთ, რამდენი ტვირთი დაეაწვა ახალ ხელისუფლებას. წინა წლებში გინახავთ ამდენი ხალხი საავადმყოფოებთან? რა დაუჯდა ბიუჯეტს ის, რომ ყველას აქვს ვაუჩერი და დაზღვეულია ყველა მოქალაქე. ნუ ვიქნებით სულსწრაფები. პენსიების ზრდაც, ხელფასებიც ზრდაც და სხვა სიკეთეებიც დამოკიდებულია ეკონომიკის აღმავლობაზე. ჩვენ სწორედ აქეთკენ მივდივართ, მაგრამ ასე უცებ არ კეთდება, ნუ ვიჩქარებთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი ტელეარხი თავს იკავებს, რომ გაკეთებული საქმეები საზოგადოებამდე მიიტანოს. ამის მიუხედავად, ყველა ნახავთ, ერთ-ორ წელინადში რამდენად წინ ვიქნებით. ელემენტარულად, ოდესმე გინახავთ ამდენი მოხნული და დამუშავებული მიწა? დაწყებული ზუგდიდიდან და დამთავრებული დედოფლისწყაროთი. ვერ ნახავთ მიწის დიდ მასივს, დამუშავებული არ იყოს. ეს ყველაფერი თავის შედეგს მოიტანს. ჩვენ ვმუშაობთ გეგმურად და საზოგადოება შედეგს ნახავს.

– დაბოლოს, მინდა გკითხოთ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების უკრაინის მთავრობაში დანიშვნის შესახებ... როგორ ფიქრობთ, ხომ არ გაართულებს ეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით?

– დადასტურებულად ცნობილია მხოლოდ ორ პირზე – ეკა ზღულაძესა და სანდრო კვიტაშვილზე. სხვებზეც ითქვა, მაგრამ ეს უფრო ჭორი მგონია, ვიდრე რეალური ინფორმაცია. უკრაინელებმა რამდენიმე თანამდებობაზე გამოხატეს სურვილი, რომ უნდათ უცხოელების მიწვევა. ლიტვიდანაც ჰყავთ იქ წარმომადგენელი. ეს მათი უფლებაა. როგორც საჭიროდ ჩათვალეს, ისე გადაწყვიტეს. თუმცა ფაქტია ისიც, რომ წინა ხელისუფლების 9-წლიანმა მოღვაწეობამ ჩვენს ეკონომიკას მაინცდამაინც დიდი სარგებელი ვერ მოუტანა. რას იზამენ ეს ადამიანები უკრაინაში, ვერ გეტყვით. უკრაინა დიდი ქვეყანაა, თუ მის მართვაში ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას და წარმატებას მიაღწევენ, ნამდვილად არ მეწყინება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ორი ურთიერთ-საპირისპირო ანგარიში გახმაურებული სპეცოპერაციის შესახებ

მირიან ბოქოლიშვილი

2012 წლის აგვისტოში ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენები კვლავ ბურუსითაა მოცული. რამდენიმე დღის წინ სახალხო დამცველთან არსებულმა საზოგადოებრივმა საბჭომ სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგება ოფიციალურ ვერსიას. გასულ კვირას კი ამავე თემაზე ომბუდსმენის კონტრანგარიში გამოაქვეყნა „სამართალდამცავთა დაცვის ლიგამ“...

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, მკითხველისთვის გაეცნო ორი სიმართლე ლაფანყურის შესახებ – რას წერს სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი საბჭო და რას უპირისპირებს მას „სამართალდამცავთა დაცვის ლიგა“?

ომბუდსმენი: „ლოპოტას ხეობაში, ლაფანყურის სპეცოპერაციაში მონაწილე მებრძოლებთან და მათ მეთაურებთან დაახლოებული კონფიდენციალური წყაროს მიერ სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციით, საქართველოს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების თხოვნით, 2012 წლის თებერვლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩეჩნეთის ომის ვეტერანებთან, ჩეჩენ დევნილებთან და წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებთან. წყაროს ინფორმაციით, საქართველოს ძალოვანი უწყებები ჩეჩენ მეომრებს ჰპირდებოდნენ ე.წ. „კორიდორს“ ჩეჩნეთში გადასასვლელად, საქართველოში წვრთნას, აღჭურვას და ყოველგვარი პირობის შექმნას. მარტიდან დაიწყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩეჩნების ჩამოსვლა. მათთვის თბილისის ზოგიერთ უბანში (ძირითადად საბურთალოს რაიონში) დაიქირავეს ბინები. საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსნების დაპირების მიხედვით, ჩეჩნეთში ყოველთვიურად დაახლოებით 50-მდე მებრძოლი უნდა გადასულიყო. სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციით, ჩეჩნეთში საომრად გადასვლის იმედით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში დაახლოებით 120 ჩეჩენი და სხვა ჩრდილოეთკავკასიური წარმოშობის მებრძოლი ჩამოვიდა. ჩამოსულ ჩეჩნებს აეროპორტში ხვდებოდნენ და მათთვის დროებით დაქირავებულ საცხოვრებელ ადგილებზე გადაჰყავდათ შსს-ს მაღალჩინოსნებს“.

„ლიგა“: „აღნიშნული ინფორმაციის მცდარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში ჩეჩნური წარმომავლობის პირების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის არანაირი განსაკუთრებული ინტენსივობა არ შეინიშნებოდა. ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს განადგურებული ჩრდილოეთკავკასიელი მებრძოლების ჯგუფი სულ 17 პირისგან შედგებოდა, რომელთაგან 12 საქართველოს ტერიტორიაზე 2012 წლის მარტიდან აგვისტოს ჩათვლით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ლეგალური გზით შემოვიდა, ორმა კი რუსეთის ფედერაციიდან არალეგალური გზით შემოაღწია, დანარჩენი სამი კი ამ პერიოდში ისედაც საქართველოში იმყოფებოდა“. „სამართალდამცავთა დაცვის ლიგას“ საკუთარ ანგარიშში რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრების გამოკითხვაც მოჰყავს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სახალხო დამცველის მიერ გაჟღერებული ვერსია არასწორია.

„საქართველოში შემოსულ ყველა ჩეჩენს ვიცნობ პირადად. აქ, თავის დროზე მყოფი დევნილები, ძირითადად ახალგაზრდები, დასასვენებლად ჩამოდიან. ასეთი რაოდენობის ჩეჩნები საქართველოში ერთდროულად არ შემოსულან. მაქსიმუმ შემოსულია 10-კაციანი ჯგუფი. 120 ჩეჩენისთვის საბურთალოზე ბინები რომ დაექირავებინათ, ჩვენ აუცილებლად გვეცოდინებოდა, თუნდაც 20 ჩეჩენისთვის, ესეც გვეცოდინებოდა. ჩვენ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. ისინი, ვინც საქართველოში შემოდიოდნენ, ან შემოდიან, მოდიან სტუმრად ნათესავებთან, ან ის ჩეჩნები არიან, ვისაც აქ თავის დროზე უცხოვრია“.

„100 მებრძოლი დიდი ჯგუფია და შეუმჩნეველი არავის დარჩებოდა. მე აქ არ მინახავს ეს 100 მებრძოლი და არც ის ვიცი, ვინ სად ჩაიყვანეს“.

ომბუდსმენი: „ჩამოსულ ჩეჩნებს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები ჩუქნიდნენ და უფორმებდნენ იარაღს, ასევე აძლევდნენ მართვის მოწმობებს და სხვა საჭირო დოკუმენტებსა და ნივთებს. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველს მიაწოდეს ლაფანყურის სპეცოპერაციისას გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის სახელზე, საქართველოს შსს-ს მიერ 2012 წლის 23 ივლისს გაცემული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა, „სტეჩკინის“ სისტემის (APS, იარაღის ნომერი GB 3638), ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლებით, რაც ამ ოპერაციასთან საქართველოს ძალოვანი უწყებების კავშირს მიანიშნებს“.

„ლიგა“: „ჩვენთვის გაუგებარია სახალხო დამცველის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, თითქოს საქართველოში ჩამოსულ ჩეჩნებს შს სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები ჩუქნიდნენ და უფორმებდნენ იარაღს, რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილია საქართველოს მოქალაქე ასლან მარგოშვილის სახელზე საქართველოს შსს-ს მიერ 2012 წლის 23 ივლისს გაცემული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა („სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტის შენახვის უფლების თაობაზე). ამ ფაქტთან დაკავშირებით მივწერეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოვითხოვეთ, იყო თუ არა რაიმე სახის ცეცხლსასროლი იარაღი რეგისტრირებული დივერსანტთა ჯგუფის სხვა წევრებზე, რაზეც ველოდებით პასუხს. საქართველოს მოქალაქეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარკვეული კატეგორიის იარაღის შენახვის უფლება აქვთ და ამაში უჩვეულო არაფერია. საკუთრივ ეს პისტოლეტი სპეცოპერაციის დროს ნაპოვნი არ ყოფილა“.

ომბუდსმენი: „წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლებისგან ჩამოყალიბებული ჯგუფის წევრები წვრთნას გადიოდნენ თბილისის მახლობლად მდებარე ვაზიანისა და შავნაბადას სამხედრო ბაზებზე. ჩეჩენი მებრძოლები დაყვეს ჯგუფებად. ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფების ინსტრუქტორები იყვნენ საქართველოს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები და ასევე სხვადასხვა ომებში დიდი გამოცდილების მქონე ჩეჩენი მეომრები“.

ლიგა: „სამართალდამცავთა დაცვის ლიგამ“ წერილობით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია, ჩატარდა თუ არა რაიმე სახის წვრთნები, 2012 წლის განმავლობაში შავნაბადასა და ვაზიანის ბაზებზე, სადაც მზადებას გადიოდნენ ჩეჩენი ეროვნების პირები. 2013 წლის 15 მაისს მივიღეთ წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მსგავსი წვრთნები 2012 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა“.

ომბუდსმენი: „2012 წლის მარტიდან ჩეჩენი მებრძოლების წვრთნა დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა, რამაც ჯგუფის წევრებში თავიდანვე უარყოფითი შეფასებები გამოიწვია. ჩეჩენი ყოფილი საველე მეთაურების მიერ მონოდებული ინფორმაციით, ჩვეულებრივ, სტანდარტულ შემთხვევაში მებრძოლთა ჯგუფის გაწვრთნას ორი ან სამი კვირა სჭირდება. ჩეჩენი მებრძოლები ითხოვდნენ ჩეჩნეთში გადასასვლელად შეპირებულ ე.წ. „კორიდორის“ მიცემას მათთან კონტაქტში მყოფ შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებისგან. შსს-ს თანამშრომლები ჩეჩენ მებრძოლებს აძლევდნენ სხვადასხვა დაპირებებს და ასახელებდნენ ჯგუფის გადასვლის სხვადასხვა თარიღებს. ჩეჩენი მებრძოლების ნაწილი თანდათან კარგავდა ნდობას საქართველოს ხელისუფლებისა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიმართ. ახლოვდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, საქართველოში შიდა პოლიტიკური ვითარება თანდათან იძაბებოდა და ჩეჩენ მებრძოლებში გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, დაგეგმილზე მეტი ხნით საქართველოში მათი გაჩერების მიზეზი დაკავშირებული ყოფილიყო არჩევნებთან და საარჩევნო პროცესებში რაიმე სახით მათ გამოყენებასთან. წყაროს ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლები თავისუფლად გადადგილდებოდნენ საქართველოში, მათ შორის, ლოპოტის ხეობისა და სოფელ ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიაზე, არ ერიდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან უიარაღოდ გამოჩენას, თუმცაღა არ შედიოდნენ მათთან ახლო კომუნიკაციაში. წყაროს ცნობით, ასეთი თავდაჯერებული მოქმედებების მიზეზი იყო უსაფრთხოებისა და დახმარების ის გარანტიები, რაც ჩეჩენ მებრძოლებს მისცეს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებმა. წყაროს ცნობით, ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურში ე.წ. სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე შევიდა ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფი. ისინი ლაფანყურის ხეობაში, კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის მიერ გამოყოფილი ე.წ. „პიკაპებით“ შევიდნენ და თან შეიტანეს ჯგუფისთვის საჭირო შეიარაღება, საკვები და სხვა საჭირო ნივთები. ჩეჩენი მებრძოლები ელოდებოდნენ ნებართვას ჩეჩნეთში გადასვლის შესახებ. კონფიდენციალური წყაროს ცნობით, სავარაუდოდ, საქართველო-რუსეთის საზღვრისკენ ჯგუფის შესაძლო გადასვლის აღკვეთის მიზნით, ლაფანყურის სპეცოპერაციის დაწყებამდე 2 დღით ადრე, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს სასაზღვრო და სპეციალური დანიშნულების ძალების რაზმები ვერტმფრენებით გადასხეს. გამოკითხულთა ვარაუდით, ამ დესანტის მიზანი იყო ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფის ჩრდილოეთის მიმართულებით გადასვლის აღკვეთა. ამის პარალელურად, ლაფანყურში დაბანაკებული ჩეჩენი მებრძოლების შეიარაღებული ჯგუფი ითხოვდა შეპირებული „კორიდორის“ მიცემას და საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმართულებით გადასვლას. ბოლო მომენტში საქართველოს შსს-მ „კორიდორის“ მიცემაზე უარი განაცხადა და ჩეჩენ



„2013 წლის 15 მაისს თავდაცვის სამინისტროდან მივიღეთ წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მსგავსი წვრთნები 2012 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლაფანყურზე

მებრძოლებს მოსთხოვა იარაღის ჩაბარება და უკან პანკისში ან სამხედრო ბაზებზე დაბრუნება. შსს-ს წარმომადგენელთა ამ მოთხოვნამ დაძაბა ურთიერთობა ჩეჩენ მებრძოლებსა და საქართველოს შსს-ს თანამშრომლებს შორის. ჩეჩენმა მებრძოლებმა ლაფანყურის ხეობაში იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს. წყაროს ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლები უკვე აღარ ენდობოდნენ საქართველოს შსს-ს წარმომადგენლებს და ამის გამო მათ მოითხოვეს პანკისში დაბრუნება და მხოლოდ პანკისში დაბრუნების შემდეგ გამოაცხადებდნენ თანხმობას იარაღის დაყრაზე. დაძაბული ვითარების განმუხტვისა და ჩეჩენ მებრძოლებთან მოლაპარაკების მიზნით შსს-ს თანამშრომლებმა შუამავლებს – ჩეჩნებისთვის ავტორიტეტულ ადამიანებს მიმართეს. ჩეჩენმა მებრძოლებმა შუამავლებს იარაღის ჩაბარებაზე უარი განუცხადეს. უარის შემდეგ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ანტიტერორისტული ოპერაცია, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლი და საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლები. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ლაფანყურის ოპერაციისას გარდაცვლილი საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლები ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფს ლაფანყურში გადასვლის პირველივე დღიდან ახლდნენ. წყაროს ინფორმაციით, ლაფანყურში დაბანაკებული ჯგუფის ქართველი წევრების მოვალეობაში შედიოდა ჯგუფის სამედიცინო მომსახურება, მეგზურობა დაღესტნის საზღვრამდე და ინსტრუქტაჟი“.

ლიგა: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ოფიციალური წერილის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი მებრძოლების წვრთნები რეალობას არ შეესაბამება. როგორც ერთ-ერთი მაღალჩინოსანი სანდრო ამირიძე ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, ის ლოპოტას ხეობაში ჩეჩენ მებრძოლებთან მოსალაპარაკებლად სამსახურებრივი მანქანით „პიკაპით“ შევიდა, ხოლო ავტომობილი ქართულ სასაზღვრო პუნქტთან დატოვა. დარჩენილი გზა ავტომანქანის გარეშე განაგრძო. იმ დროისთვის ლოპოტას ხეობაში მხოლოდ ამირიძის ავტომანქანა გადაადგილდებოდა. ვერტმფრენები კი, რომლებზეც სახალხო დამცველი საუბრობს, მას შემდეგ იქნა გამოყენებული, რაც მოლაპარაკებები ჩეჩენ მებრძოლებთან უშედეგოდ დასრულდა. ვერტმფრენების გამოყენება მოხდა მხოლოდ დესანტის ჩამოსასხმელად. ფაქტს ადასტურებენ როგორც მომლაპარაკებლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ 2 დღით ადრე მოხდა ვერტმფრენების გამოყენება დესანტის ჩამოსასხმელად, სიმართლეს არის მოკლებული. სანდრო ამირიძე და სხვა მომლაპარაკებლები ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფში საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლების ყოფნას არ ადასტურებენ. მომლაპარაკებლების ინფორმაციით, მათ ამოიცნეს ჩეჩნური დაჯგუფების ნაწილი, ისინი ჩრდილოეთკავკასიელები იყვნენ. ოფიციალური ინფორმაციით, 17 ჩეჩენ მებრძოლში საქართველოს შეიარაღებული ძალების არც ერთი თანამშრომლის მონაწილეობა არ დადასტურდა“.

ომბუდსმენი: „სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის მამა, მერაბ მარგოშვილი სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აცხადებს, რომ მისი შვილი წვრთნას გადიოდა შავნაბადას ბაზაზე, ხოლო სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი საქართველოს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები, წიკლაური და ჩოხელი, ამ ჯგუფის ინსტრუქტორები იყვნენ. ჩეჩენ მებრძოლებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ალყაში მოქცეულ ჩეჩენ მებრძოლებს ბოლო თვეების განმავლობაში პრაქტიკულად მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ საქართველოს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებთან, მათ მიერ იყვნენ გაწვრთნილები და არ სჯეროდათ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მათ ცეცხლს გაუხსნიდნენ. ჩეჩნების წარმომადგენელთა განცხადებით, ამ ჯგუფების საქართველოში ჩამოსვლა, მომზადება და ჩეჩნეთში გადასვლა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებთან იყო შეთანხმებული და ასეთ ღალატს არ ელოდნენ. ასევე, ამ ამბის უმსხვერპლოდ დასრულებისთვის და ჩეჩენი მებრძოლების დასარწმუნებლად, სავარაუდოდ, არ იქნა გამოყენებული ყველა საშუალება. მაგალითისთვის შესაძლებელი იყო უხუცესების ან მშობლების ჩართვა ჩეჩენ მებრძოლებთან მოლაპარაკებისას“.

ლიგა: „ომბუდსმენის ანგარიშში ნახსენები არ არის, რომ შს სამინისტრომ ჩეჩნებთან მოლაპარაკებაზე ადგილობრივი ავტორიტეტები ხანგრძლივი და ჩატაევი შეაგზავნა. მოლაპარაკებები დაახლოებით რამდენიმე საათი მიმდინარეობდა, თუმცა უშედეგოდ დასრულდა. ასევე, მოლაპარაკებების შედეგად იქნა განთავისუფლებული 5 მძევალი.

წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლებისგან ჩამოყალიბებული ჯგუფის წევრები წვრთნას გადიოდნენ თბილისის მახლობლად მდებარე ვაზიანისა და შავნაბადას სამხედრო ბაზებზე

შესაბამისად, ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ჩეჩენ მებრძოლებთან ქართულმა მხარემ მოლაპარაკებები არ ანარმოა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ საქართველოს ძალოვანი უწყების თანამშრომლები წიკლაური და ჩოხელი ინსტრუქტაჟს უწევდნენ ჩეჩნურ დაჯგუფებას, სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნული ინფორმაცია გადავამოწმეთ მოლაპარაკებებში მონაწილე ამირიძესთან, რომელიც 5 საათის განმავლობაში იმყოფებოდა ჩეჩენ მებრძოლებთან. მას შეუძლია ლოპოტას ხეობაში მყოფი ჩვიდმეტივე მებრძოლის ამოცნობა. ამირიძე ადასტურებს, რომ შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდა ძალოვანი სტრუქტურის არც ერთი წარმომადგენელი. მას ასევე ხეობაში არ შეუნიშნავს წინასწარ შეყვანილი სპეცდანიშნულების რაზმი“.

ომბუდსმენი: „ბრძოლის შედეგად გარდაიცვალა შვიდი ჩეჩენი მებრძოლი, რომელთაგანაც სამი პანკისის ხეობის მცხოვრები იყო. წყაროს ცნობით, ამ ბრძოლიდან ცოცხლად გადარჩა 9 ჩეჩენი მებრძოლი, რომლებიც, წყაროსვე ცნობით, სპეცოპერაციიდან რამდენიმე დღეში საქართველოს შსს-ს წარმომადგენლებმა ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით თურქეთში გააცილეს. სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ოჯახის წევრებს არ აძლევდნენ გარდაცვლილთა ცხედრებს. სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი მარგოშვილისა და ქავთარაშვილის მშობლებისა და ბაღაკაშვილის ნათესავის განმარტებით, საქართველოს შსს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე და შსს-ს მაღალი თანამდებობის პირი სანდრო ამირიძე მხოლოდ იმ პირობით დასთანხმდნენ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისთვის ცხედრების გადაცემას, თუ გარდაცვლილებს იმავე ღამეს დაკრძალავდნენ: დაკრძალავდნენ ჩუმად, დაკრძალვის ტრადიციული რიტუალის გარეშე და ოჯახის წევრებთან სამძიმარზე ხალხი არ უნდა მისულიყო. გარდაცვლილთა ოჯახის წევრები იძულებული შეიქნენ, დასთანხმებულიყვნენ შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების ამ მოთხოვნებს. 3 სექტემბერს, გვიან ღამით, გარდაცვლილთა ცხედრები სასჯელაღსრულების გლდანის დაწესებულების მორგიდან გამოასვენეს და ჭირისუფალს გადასცეს. დაკრძალვაზე დასწრების უფლება მხოლოდ გარდაცვლილთა მამებს მისცეს. დაკრძალვას დაესწრნენ შსს-ს მაღალჩინოსნები“.

ლიგა: „ომბუდსმენის დასკვნაში ცხედრების დაკრძალვისა და გადაცემის ფაქტი დეტალურად არ არის მოცემული. არ არის გამიჯნული, რომელი ჩეჩენი ცხედრების გადაცემაზეა საუბარი 3 სექტემბერს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, 3 სექტემბერს საქართველოს მოქალაქეების ცხედრები ექსპერტიზისა და შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდგომ მათი ოჯახის წევრებს გადაეცათ. გარდაცვლილები ტრადიციების შესაბამისად დაიკრძალნენ. ეს სამი ცხედარი არ ყოფილა დაკრძალული უპატრონოთა სასაფლაოზე. რაც შეეხება დანარჩენი 5 ჩეჩენის ცხედარს, ისინი მართლაც უპატრონოთა სასაფლაოზე დაიკრძალნენ, რადგან მათ საქართველოში ოჯახები და ახლობლები არ ჰყავდათ, თუმცა მათი დასაფლავება შესაბამისი ნესების დაცვითა და რელიგიის გათვალისწინებით მოხდა“.

„სამართალდამცავთა დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელი ზაზა ჭაია „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ირწმუნება, რომ სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში თითქმის ერთიერთში იმეორებს რუსულ პროპაგანდას.

ზაზა ჭაია, „სამართალდამცავთა დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელი:

– ამ საბჭოს ანგარიში ნამდვილად არაკვალიფიციურია. როდესაც საუბარია 10 ადამიანის გარდაცვალებაზე, როგორ შეიძლება მხოლოდ 14 პირი გამოკითხო და ამაზე დაყრდნობით დაწერო ანგარიში?! სახალხო დამცველის ანგარიშში ზუსტად ის ვერსიაა განვითარებული, რომელიც თავის დროზე გადაიცა ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე. ეს არის რუსული პროპაგანდის კოპირება. დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი სულეიმან (რაბანი) მაგომედოვი ამჟამად რუსეთის სპეცსამსახურებს დაღესტანში ჰყავთ დაკავებული. მის მიერ მიცემული ჩვენება ფიგურირებს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილ „დოკუმენტურ ფილმში“, სადაც მაგომედოვი ლაფანყურის სპეცოპერაციასა და მის წინა პერიოდს დეტალურად „იხსენებს“ და ამით საშუალებას აძლევს რუსეთის ხელისუფლებას, რომ ქართული სპეცსამსახურები ჩრდილოეთკავკასიელი ტერორისტების მფარველობაში დაადანაშაულოს. ამგვარი უსაფუძვლო ბრალდებები რუსული პროპაგანდის მხრიდან საქართველოს მიმართ მუდმივად ისმის.

ეს არის რუსული პროპაგანდის კოპირება. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილ „დოკუმენტურ ფილმშიც“ ქართული მხარე ჩრდილოეთკავკასიელი ტერორისტების მფარველობაში დაადანაშაულეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სტუდენტები „მოდულური სწავლების პროგრამის“ აღდგენას ითხოვენ

მზეკო ჟვანია

2014 წლის 10-11 ნოემბრიდან საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯში საპილოტე მოდულების განხორციელების პროცესი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, ელენე ჯიბლაძის მიერ 2014 წლის 5 ნოემბრის № 688 ბრძანების საფუძველზე დაიწყო. აღნიშნულ პროცესში, რომელიც ორგანიზებულად წარიმართა, სახელმწიფო და კერძო კოლეჯები იყვნენ ჩართულნი. პილოტირების პროცესი ექსპერტთა გარე და შიდა მონიტორინგის ფონზე სწავლებისა და შეფასების პროცესების რეგულარული დაკვირვებით და მსმენელთა კმაყოფილების დონის კვლევა-შეფასებით მიმდინარეობდა.

თუმცა ამ ორგანიზებული და სამომავლო გეგმებით გაჯერებული პროცესის შეწყვეტა, განათლების პროფკავშირის თავმჯდომარის, დენის დავითაშვილის საჩივრის საფუძველზე გადაწყდა. სწორედ ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს მასშტაბით პილოტირების პროცესში ჩართული 800-ზე მეტი ახალგაზრდა დააზარალა, რომლებიც სრული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ სწავლის პროცესს და სამუშაოს მაძიებელთა ბაზაშიც დარეგისტრირდნენ.

დავითაშვილის საჩივარით დაზარალებულთა სია ჯერ არ დასრულებულა. გარდა სტუდენტებისა, დიდი ზარალი მიიღეს პედაგოგებმაც, რომლებიც თავიდანვე ჩართულნი იყვნენ მოდულების შემუშავების პროცესში, დიდი შრომა გაწიეს და დიდი მოტივაციით ახორციელებდნენ სწავლებას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საჩივრის საფუძველზე სწავლის პროცესშეჩერებულ კოლეჯთა იმიჯიც შეილახა.

განათლების ეროვნული ცენტრი სასამართლოს სწავლის პროცესის დროულად გაგრძელების საშუალების მიცემის თხოვნით მიმართავს. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, ისინი ემიჯნებიან და გმობენ ერთი ადამიანის გაურკვეველი ინტერესების გამო გამოწვეული აქტიურობის შედეგად კოლეჯებისა და საერთოდ მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელების პერსპექტივას ჩრდილი მიადგეს.

„პრაიმტაიმი“ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის იურისტს, ვანო ბურდულს, ქ. ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერია“-ს დირექტორ, თინა ლოსაბერიძეს, საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერია“-ს ერთ-ერთ პედაგოგ, ლალი ღამბარაშვილს, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დირექტორ, თეონა ხუფენიასა და სამ დაზარალებულ სტუდენტს, ეკა ლომიძეს, სოფო ლაცუსბაიასა და შაქრო კუნჭულიას ესაუბრა.

განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის იურისტი, ვანო ბურდული:

„ამ ეტაპზე დენის დავითაშვილის სარჩელის გამო, პილოტირების პროცესი შეჩერდა. შეჩერებულია თანხების (მასწავლებებლების ხელფასების) გაცემაც, მარაგების შეძენა და ა.შ. ყველა პროცესი შეჩერებულია. ჩვენი მხრიდან ამ პროცესს რეაგირება მოჰყვა. ყველა საბუთი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაშია გადაგზავნილი, თუმცა სააპელაციოში ახლა იგზავნება და შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდებით. აუცილებლად უნდა აღსდგეს ეს პროცესი, რადგან თავდაპირველ გადაწყვეტილებაში არ არის კონკრეტულად ნაჩვენები თუ რატომ, რის საფუძველზე იქნა შეჩერებული ეს ყველაფერი. აქ საუბარია იმაზე, რომ მოსამართლეს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, შეჩერდეს მოქმედება, თუმცა ეს შეჩერება რითი, რა საფუძვლებით არის განპირობებული, ეს არ ჩანს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვასაბუთებთ იმას, რომ ამით ხელი ეშლება სახელმწიფო ინტერესებს, განათლების სისტემას და თვითონ პროფესიული მოდულების დანერგვას, როგორც, სიახლეს.

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დირექტორი, თეონა ხუფენია:

„ჩვენ ჯერ კიდევ ზაფხულის პერიოდში ჩავერთეთ მოდულური პროგრამის პილოტირებაში. ეს იყო გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით განხორციელებული. ეს პირველი ნაბიჯები იყო და საოცარი შედეგები მოიტანა ამ პროგრამამ. მოგეხსენებათ, ეს პროფესიული განათლების პროგრამაა და ის პირდაპირ ორიენტირებულია დასაქმებაზე და პრაქტიკაზე. შედეგი არაჩვეულებრივი იყო. აქედან გამომდინარე, დავიწყეთ პროგრამების პილოტირება და მინდა გითხრათ, რომ აგრარული მიმართულებით ამ მობილურ პროგრამებზე მეცადინეობა დღესაც წარმატებით მიმდინარეობს. ეს თითოეული სტუდენტის შედეგზეა ორიენტირებული და შედეგი არის ძალიან დიდი. ამიტომაც, თვითონ ეს პროგრამა სწორი, თუმცა შრომატევადია. ის უდიდეს შრომას ითხოვს ყველასგან. ვფიქრობ, რომ ეს პროექტი არ უნდა ჩავარდეს“.

ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერია“-ს დირექტორი, თინა ლოსაბერიძე:

„ჩვენი სახელმწიფო კოლეჯი 32 სხვადასხვა პროგრამას სხვადასხვა ხანგრძლივობით ახორციელებდა. პროცესის დაწყებას ჩვენი კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა და ამ პროცესში ყველა იყო ჩართული. ორი წლის წინ მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით ტრენინგები დაიწყო, რომელშიც ჩვენი პედაგოგების უდიდესი ნაწილი ჩაერთო, ყველანი ამ მოდულების შემუშავებაში მონაწილეობდნენ. ჩვენ პასუხისმგებლობა გასიგრძეგანებული გვქონდა და კოლეჯში 13 მოდულის დანერგვა დავიწყეთ, მაგრამ სრულიად გამამაგნებელი ინფორმაციის შემდეგ 11 მასწავლებელი და 182 სტუდენტი გაოგნებული დარჩნენ. მას შემდეგ რაც შეჩერდა მოდულირების პროცესი სტუდენტები თავიანთ ნააზრევს კოლექტიურად წერენ და ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართავენ, რომ აღდგეს სწავლის პროცესი. მაგალითად, სტილისტის პროფესიაზე მყოფი სტუდენტების მდგომარეობას მოგიყვანთ, რომელთა ნაწილსაც უკვე დაწყებული ჰქონდა ხელსაწყოების შეძენა და ჩვენგან მიღებული დიპლომით მცირე ბიზნესი უნდა დაეწყოთ და არამარტო აქ, ყველა კურსი მოტივირებული იყო და მე, როგორც ხელმძღვანელს მრცხვენია იმ ბავშვებს რომ ვუყურებ, თვალანთებულები როგორ იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში. ხორციელდებოდა მონიტორინგის ჯგუფი, როგორც შიდა მონიტორინგი ისე გარე. როცა გარე მონიტორინგმა შეამოწმა ჩვენი პედაგოგები, ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ და ამბობდნენ, რომ არ ელოდნენ ასეთ შედეგს, აღნიშნავდნენ, რომ მასწავლებლისა და სტუდენტის ასეთი ჩართულობის მსგავსი მაგალითი მათ არ ენახათ. ძალიან კარგ შედეგებზე გავდიოდით და ამ დროს უეცრად წყდება ეს ყველაფერი. ეს დანაშაულის ტოლფასია. შელახეს, როგორც სტუდენტის, ისე პედაგოგთა უფლებები, ზოგადად პროფესიული განათლების ავტორიტეტი შეილახა. ამ პროცესის შეჩერებით, გამოდის, რომ ყველა ის დაპირება, რაც ჩვენ სტუდენტებს მივეცით, ტყუილი ყოფილა. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენციაც გავმართეთ, სადაც ჩვენი აზრი დავაფიქსირეთ და სამართლიანობის აღდგენა მოვითხოვეთ, რადგან ეს უსამართლო გადაწყვეტილებაა. ძალიან მაინტერესებს ვინ უსმენს დენის დავითაშვილს“ ?!

„კატეგორიულად ვემიჯნები მოსაზრებას, რომ თითქოს აქ რაღაც გაყალბები ხდებოდა და სწავლება არ ყოფილა“

„ძალიან კარგ შედეგებზე გავდიოდით და ამ დროს უეცრად წყდება ეს ყველაფერი. ეს დანაშაულის ტოლფასია“

საზოგადოებრივ კოლეჯ, „იბერია“-ს პედაგოგი:

„მოდულური სწავლების პროგრამაში სულ ორი წელია რაც ჩართული ვარ, სამინისტრო გვიტარებდა შესაბამის ტრენინგებს, რომელიც საკმაოდ მობილიზებული და ორგანიზებული იყო. დაგვანახვეს მოდულური სწავლების შედეგი და მიმდინარეობა, ჩვენც, მთელი ჯგუფი, მაქსიმალურად ვმუშაობდით ამ პროგრამაზე. შევადგინეთ სასწავლო გეგმა და განრიგი. ბოლომდე ვიყავით მოტივირებული, მე არ მესმის ამ ერთი კაცის არაადეკვატურ განცხადებას, რატომ უნდა შეეწიროს ამდენი პედაგოგისა თუ სტუდენტის მოტივაცია. ბავშვები საქმეში ბოლომდე იყვნენ ჩართულნი და პროგრამის შეჩერებასთან დაკავშირებით განცხადების გავრცელებამ დიდი გულისწყვეტა გამოიწვია. მე, როგორც პედაგოგმა, ჩემს სტუდენტებთან ვერ გავაკეთე ის განცხადება, რომ მოდულური სწავლება შეწყდა. ისეთი დიდი მოტივაცია იყო, რომ ბავშვები სასწავლებლად შაბათსაც მოდიოდნენ. აბსოლუტურად არ მივესალმები ბატონი დენისის მოსაზრებას, რადგან მისი განცხადება ყველანაირ რეალობასაა მოწყვეტილი. არაფრით არ არის სწორი, რომ ამ ერთი კაცის გამოხატულებამ მოსწავლეებისა და მასწავლებლების დაზარალება გამოიწვიოს. ვერაფრით შევწირავთ იმ სტუდენტების განათლებას ვიღაცების ინტრიგას და გამოსვლებს“.

აღნიშნულ პროგრამაში ჩართული სასამართლოს შემდგომი ინსტანციის სამართლიანი გადაწყვეტილების იმედი სტუდენტებსაც აქვთ. „პრაიმტაიმთან“ საუბარში, ისინი პროგრამის პრიორიტეტულ მხარეზე და მათი პედაგოგების მაღალ კვალიფიკაციაზე საუბრობენ.

შაქრო კუნჭულია, სტუდენტი: „ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ კოლეჯში მიღებული განათლება. პირადად მე ელექტროობას ვსწავლობდი. ეს იყო თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის კურსები, რომელიც მართლაც თითოეულ სტუდენტზე იყო მორგებული. კატეგორიულად ვემიჯნები მოსაზრებას, რომ თითქოს აქ რაღაც გაყალბები ხდებოდა და სწავლება არ ყოფილა. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე გეტყვით, რომ ორ თვეში სერტიფიკატი უნდა ამეღო. კიდევ ბევრი რამ მქონდა შესასწავლი, მაგრამ დაწყებული პროცესი შუა გზაში გაჩერდა. ჩემი მოთხოვნაა, რომ ეს ყველაფერი აღსდგეს და სწავლის პროცესი გაგრძელდეს. ბევრი მოსწავლე ელოდება სწავლის გაგრძელებას“.

ეკა ლომიძე, სტუდენტი: „პროგრამით ძალიან კმაყოფილი ვარ. მე არასდროს ვაკეთებ არჩევანს შემთხვევით, რადგან ჟურნალისტი ვარ და ნამდვილად არ მაქვს დასაკარგი დრო. ამიტომაც, ეს კურსები აბსოლუტურად ამართლებდა ჩემგან დათმობილ დროს იმისთვის, რომ კვალიფიკაცია ამემაღლებინა. წინასწარი შესწავლის საფუძველზე სრული გარანტია მქონდა იმისა, რომ კვალიფიკაციას ავიმაღლებდი. ძალიან საინტერესოდ მიდიოდა სწავლის პროცესი ამ ერთი თვის განმავლობაში და მართლაც, მეხის გავარდნასავით იყო ის ბრალდება, რომლის გამოც გამოგვიცხადეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩვენ აღარ გვექნებოდა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მანამ, ვიდრე ყველაფერი არ გაირკვეოდა. მე, როგორც მითხრეს, დენის დავითაშვილს პრეტენზიები ჰქონდა სწავლის დაწყებამდე. თუ მან იცოდა, რომ ვინმე ვინმეს ატყუებდა, მაშინ ვიდრე სწავლა დაიწყებოდა მანამ უნდა ეფიქრა სასამართლოში სარჩელის შეტანაზე. გასაგებია, რომ დასაქმებული ვარ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, მჭირდება კვალიფიკაციის ამაღლება და თუ ამის საშუალებას რომელიმე პროექტი მომცემს, მასზე უარს ვერ ვიტყვი. როდესაც შენ ამ შედეგის მიღებაში ისე მიშლი ხელს, რომ არც გაინტერესებს ჩემი უფლებები ეს ძალიან გასაკვირია. ასევე გასაკვირია რა უნდა გააკეთონ იმ პედაგოგებმა, რომლებმაც ჩვენზე შრომა და ენერგია დახარჯეს. მე ჩემი პედაგოგების მიმართ მადლიერების მეტი არაფერი მეთქმის და იგივეს ამბობენ სხვა ჯგფების წარმომადგენელბიც. როგორც ჩანს, ვიღაცას ამ პედაგოგების უფლებები არ აინტერესებს. ეს ადამიანები ვერ მიიღებენ ანაზღაურებას იმიტომ, რომ პროექტი შეწყდა. მათი უფლებები არ დაირღვა?! თუ ვინმეს ვიღაცის მიმართ პრეტენზია აქვს, ხომ შეიძლება სასამართლოს გაეთვალისწინებინა, რომ ამ საქმეში უამრავი ადამიანია ვისი უფლებებიც დაირღვა. ამიტომაც, ამ საქმის კომპლექსური განხილვა უნდა მოხდეს, რომ ეს ინტერესები გათვალისწინებული იყოს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სამ ემბრიონზე თუა საუბარი, იუს ვერ გააკონტროლებს რამდენი

ხათუნა მგალობლიშვილი

იუსტიციის სამინისტრო, ჯანდაცვასთან ერთად, „სუროგაციის შესახებ ახალ კანონპროექტზე“ მუშაობს. უფრო სწორად პროექტი უკვე დაიწერა და სამუშაო ჯგუფსაც გადაეგზავნა. სამუშაო ჯგუფი სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული, მათი ვინაობა უცნობია. ჯგუფში ვერ მოხვდა „New Life Global Network“-ის აღმასრულებელი დირექტორი, მარიამ კუკუნაშვილი, რომლის ორგანიზაცია სწორედ ხელოვნური განაყოფიერებით, სუროგაციითა და დონაციით არის დაკავებული. როგორც კუკუნაშვილი აცხადებს, მას იუსტიციის სამინისტროდან დაუკავშირდნენ და ჯგუფის წევრობაც შესთავაზეს, თუმცა საბოლოოდ ის სამუშაო ჯგუფს მიღმა აღმოჩნდა.

მარიამ კუკუნაშვილი: „ახალი კანონის მიხედვით მხოლოდ სამი ემბრიონის მიღების უფლება ექნებათ. ამით ყველაზე დიდ ზიანს მიაყენებენ პაციენტს, რადგან მედიკამენტებს, რომლებიც კვერცხუჯრედების მისაღებად კეთდება, აქვს ბევრი გვერდითი ეფექტი“

EXCLUSIVE

პროექტი ჯერ დამუშავების პროცესშია, თუმცა უკმაყოფილება უკვე დიდია. როგორც ამბობენ, მასში ბევრი მიუღებელი აკრძალვა ჩაიდო. პირველი აკრძალვა, რომელიც გასკანდალდა, 41-წლიანი ზღვარია. ანუ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ ქალბატონებს 41 წელს ზემოთ კანონით აეკრძალებათ, როგორც ინ-ვიტრო განაყოფიერების პროცედურით სარგებლობა, ასევე დონაცია და სუროგაცია. ყველაზე მეტი ხმაური სწორედ აღნიშნულმა ასაკმა გამოიწვია.

ცნობილი გახდა, რომ კანონპროექტში შეზღუდვა წესდება ემბრიონების რაოდენობაზეც. ანუ ექიმს ეკრძალება ერთ ცდაზე გადასატანი სამ ემბრიონზე მეტის მიღების უფლება. მოქმედი კანონმდებლობით რაოდენობა შეზღუდული არ არის. ასევე, გეგმაშია, აიკრძალოს სამოქალაქო, ეკლესიურ ქორწინებაში არმყოფი, ან მარტოხელა დედებისთვის სუროგაციის ნებართვა. კანონპროექტის კანონად ქცევის შემთხვევაში შეზღუდვები გავრცელდება უცხოელ მსურველებზე, მათ აღარ ექნებათ უფლება, საქართველოში ჩაიტარონ სამედიცინო მომსახურება. კანონპროექტის მიხედვით, ასევე, შეიზღუდება რეპროდუქციული პროცედურა. ქალსაც და მამაკაცსაც რეპროდუქციასთან დაკავშირებულ პროცედურებში ჩართვის უფლება მხოლოდ 2-3-ჯერ ექნებათ.

პროექტის მონინააღმდეგეები აცხადებენ, რომ მოქმედ კანონში არათუ ხარვეზების გამოსწორება ხდება, არამედ პირიქით, ის უფრო მძიმდება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სუროგაცია, ინ-ვიტრო განაყოფიერება – ეს ძალიან კონფიდენციალური პროცედურაა და არც სახელმწიფოს და არც ერთ სხვა ორგანოს არ აქვს უფლება, ადამიანის პირად პრობლემებში ჩაერიოს. ბუნებრივია, დარეგულირება საჭიროა, თუმცა ასაკობრივი ზღვარის დაწესებითა და ემბრიონის რაოდენობის შეზღუდვით ბევრ ქართველ წყვილს საბოლოოდ ჩამოერთმევა უფლება და საშუალება, ჰყავდეს შვილი... მარიამ კუკუნაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ბევრი წყვილი ქმნის ოჯახს 40 წლის ასაკში და თუ მათ ბავშვის ბუნებრივი გზით გაჩენის პრობლემები შეექმნებათ, გამოდის, უშვილოდ უნდა დარჩნენ...

მარიამ კუკუნაშვილი, „New Life Georgia“-ს ხელმძღვანელი:

– მოქმედი კანონით სრულიად დაცულია როგორც სუროგატი დედის უფლებები, ასევე ბავშვის უფლებები. კანონი ცალსახად ამბობს, რომ ბავშვი ეკუთვნის მშობლებს. ამჟამინდელი კანონის თანახმად, ხელშეკრულება ფორმდება ნოტარიულად და იქ წერია ყველა ის მოთხოვნა, რაც მშობლებს აკისრიათ სუროგატი დედის მიმართ.

– მშობლების უფლებები რამდენად არის დაცული, ანუ შეიძლება მოხდეს ისე, რომ სუროგატმა დედამ უარი თქვას ბავშვის გადაცემაზე?

– ასეთი რამ გამორიცხულია, რადგან ყველაფერი დარეგულირებულია. კანონი არეგულირებს ასევე იმას, რომ ემბრიონის გადატანამდე ნოტარიულად უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმება. ამიტომ მსგავსი რისკები არ არსებობს. თუ დარეგულირებაზე იყო საუბარი, მაშინ უნდა დარეგულირებულიყო ხარვეზები, რომლებიც არსებობს. მაგალითად, ის, რომ მარტოხელა დედებს უნდა ჰქონდეთ შვილის ყოლის საშუალება. ნაცვლად საკითხების მოგვარებისა, სხვა მიმართულებით წავიდა ახალი კანონპროექტი. საუბარია იმაზე, რომ სუროგაცია, ინ-ვიტრო განაყოფიერება არ იქცეს ბიზნესად. თუ ბიზნესად არ უნდა იქცეს, მაშინ საერთოდ არ უნდა არსებობდეს ცნება – სამედიცინო ბიზნესი. ექიმები, კლინიკები, კლინიკების მფლობელები ადამიანის ჯანმრთელობის, მათი მკურნალობის სანაცვლოდ ფულს იღებენ – ეს არაეთიკური არ არის? თუ არაეთიკურია, მაშინ მედიცინა საერთოდ უფასო უნდა გახდეს, რასაც ჩვენი ეკონომიკა ვერ გაუძლებს.

– როგორ ხსნით ამ ცვლილებებს?

– ზოგადად მე მომხრე ვარ ასაკის შეზღუდვისა და ევროპის ქვეყნებშიც შეზღუდულია, თუმცა იქ შეზღუდვა 47-48 წლიდან წესდება. ბუნებრივია, როდესაც ბავშვი გაიზრდება, მშობელს უნდა მოესწროს, მაგრამ 41 წელი ძალიან დაბალი ზღვარია. მსგავსი ასაკი არსად არ არის, არც ევროპაში, არც ამერიკაში და არც არსად.

– მაშინ საიდან დადგინდა ეს ზღვარი?

– არ ვიცი, ბევრ ქვეყანაში არის აკრძალვა, საფრანგეთში, უკრაინაში, მაგრამ ყველაზე დაბალი ზღვარი არის 47. საქართველოში ბევრი წყვილი სწორედ 40 წლის ასაკში ქმნის ოჯახს და გამოდის, რომ მათ შვილის ყოლის საშუალება არ უნდა ჰქონდეთ...

– რაც შეეხება ემბრიონების რაოდენობას, რატომ დადგინდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამი ემბრიონის განაყოფიერება შეიძლება და ამით რა ზარალი მიადგებათ წყვილებს?

– როგორც იცით, თითო პროცედურა 6-7 ათასი ლარი ჯდება. თითო პროცედურაზე ბევრი კვერცხუჯრედის აღება ხდება, რითაც ბევრი ემბრიონი იქმნება. წყვილები ამ ემბრიონებს სამ-ოთხ და ხშირ შემთხვევაში ხუთ ცდაზე იყენებენ. ახალი კანონის მიხედვით კი, მხოლოდ სამი ემბრიონის მიღების უფლება ექნებათ. ამით ყველაზე დიდ ზიანს მიაყენებენ პაციენტს, რადგან მედიკამენტებს, რომლებიც კვერცხუჯრედების მისაღებად კეთდება, აქვს ბევრი გვერდითი ეფექტი. ამ მედიკამენტის გარეშე ვერც ერთი ემბრიონის მიღება ვერ მოხერხდება. გამოდის, რომ ყოველთვე ქალმა სწორედ ამ მედიკამენტებით უნდა

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტიტიის სამინისტრო ვერანაირად ემბრიონის შენახვა მოხდება“

„მე დამიკავშირდნენ იუსტიციის სამინისტროდან დეკემბერში, იყო საუბარი, რომ ჯგუფში მეც უნდა ვყოფილიყავი, მასალებიც გავუგზავნე. თუ დამიკავშირდებიან, აუცილებლად მივალ და ჩემს შეხედულებებს გავუზიარებ“

ჩაიტაროს სტიმულაცია, თუ შვილი უნდა, მიღებული კვერცხუჯრედებიდან აიღოს მხოლოდ სამი და დანარჩენი გადაყაროს. ეს არის სრული აბსურდი.

– თქვენ რატომ ვერ მოხვდით სამუშაო ჯგუფში?

– მე დამიკავშირდნენ იუსტიციის სამინისტროდან დეკემბერში. იყო საუბარი, რომ ჯგუფში მეც უნდა ვყოფილიყავი, მასალებიც გავუგზავნე, თუ დამიკავშირდებიან, აუცილებლად მივალ და ჩემს შეხედულებებს გავუზიარებ. მაგრამ როდესაც პოლიტიკური მოსაზრება უდევს ამ ყველაფერს საფუძვლად, იქ პროფესიული მხარე უკვე ზედმეტია...

– რა არის ეს პოლიტიკური საფუძველი?

– ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს ეკლესიას მთავრობაზე, არც ერთ ქვეყანაში არ არის შეზღუდული ემბრიონების რაოდენობა. მიმაჩნია, რომ ეს არის ეკლესიური გავლენა. ეკლესიას ჰქონდა მოსაზრება, რომ ბევრი ემბრიონი იქმნება და შემდეგ ნადგურდება და ეს არ შეიძლება. ამ დროს ინ-ვიტროს წარმატების კოეფიციენტი არის 30%. ანუ როდესაც საუბარია სამ ემბრიონზე, 70%-ით ის სამივე დაღუპულია, ანუ შედეგიც არ დადგება. როგორც ჩანს, იუსტიციის სამინისტროში ან ჯანდაცვის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ, თუ სამ ემბრიონს გადაიტანენ, ეს უკვე ორსულობას ნიშნავს. ასევე, მიუღებელია ჩემთვის უცხოელების მიმართ აკრძალვის ამოქმედება. ყოველწლიურად ინ-ვიტრო პაციენტების მეშვეობით 3-4 მილიონი დოლარი შემოდის. როდესაც უცხოელები ჩამოდიან, ისინი სასტუმროებში რჩებიან, სამედიცინო მომსახურებას იღებენ ადგილზე და სერიოზულ თანხებს ხარჯავენ საქართველოში. როდესაც საუბარია, რომ ევროპას უნდა დავუახლოვდეთ, ასეთი ნაბიჯების გადადგმა, პირიქით, გვაშორებს. გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ, თურქეთის პრემიერ-მინისტრის ცოლი, რომლის ინიციატივითაც მიიღეს კანონი, რომ ერთ ემბრიონზე მეტის გადატანა არ შეიძლება. ერთი ქვეყანა თურქეთია და მეორე ჩვენ, რომელსაც ასეთი აკრძალვა ექნება. თუ თვლიან, რომ ეს ასეთი არაეთიკურია, სჯობს საერთოდ აიკრძალოს.

– ფიქრობთ, რომ შეიძლება აიკრძალოს?

– არ გამოვრიცხავ, რადგან არის ძალიან ბევრი ქვეყანა, სადაც აკრძალულია.

– შეიძლება რომ ეს ევროკავშირის მოთხოვნა იყოს?

– ეს გამორიცხულია, რადგან ევროკავშირის ქვეყანაა საბერძნეთი და იქ კანონიერია კომერციული სუროგაცია, იგივე ამერიკაში. მაგალითად, გერმანიასა და საფრანგეთში უკანონობად ითვლებოდა, მაგრამ ახლა დაიწყო დეკრიმინალიზაცია, რადგან მოქალაქეები მაინც იყენებდნენ ამ გზას.

– როგორ ფიქრობთ, თუ ეს ცვლილებები ძალაში შევა, რას გამოიწვევს?

– გამოიწვევს ბევრ უკანონობას. იგივე სამ ემბრიონზე თუ არის საუბარი, იუსტიციის სამინისტრო ვერანაირად ვერ გააკონტროლებს, რამდენი ემბრიონის შენახვა მოხდება. როდესაც საუბარია მარტოხელა დედებზე, ჩვენთან ბევრი ქალბატონი მოდის, რომლებსაც სურთ სუროგაცია. ასეთ დროს ვეუბნებით, რომ ქმრის ყოლა ვალდებულებაა. პასუხი ყოველთვის ასეთია: წავალ ვინმესთან, ხელს მოვაწერ მაშინ... მარტოხელა დედებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს კანონის ურთიერთწინააღმდეგობაც. მარტოხელა დედებში ნებადართულია ინსემინაცია, ანუ სპერმის შეყვანის გზით დედად გახდომა, მაგრამ აკრძალულია ხელოვნური განაყოფიერება. ალოგიკურია, ან ორივე უნდა აიკრძალოს, ან ორივე ნებადართული გახდეს.

– ჯგუფის წევრები ვინ არიან, იცით?

– არა, არ ვიცი. მე მხოლოდ ტელეფონით დამიკავშირდნენ, მქონდა სატელეფონო საუბარი და მივაწოდე ინფორმაციები, ხარვეზები ჩვენი კანონმდებლობის შესახებ.

რაც შეეხება უცხოელ მსურველებს, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. ზოგადად, ყველაზე იაფი სხვა ქვეყნებთან შედარებით ინდოეთშია. თუმცა სუროგატი დედების ნაკლებობა არც საქართველოშია. სუროგატი დედები მიიჩნევენ, რომ ამით ორ ოჯახს აბედნიერებენ: ვისაც შვილს უჩენენ და რომელშიც მათი წყალობით 12 ათასი დოლარი შედის. ეკა 38 წლის არის. ის მესამეჯერ ემზადება სუროგატობისთვის. წინა ორი მშობიარობის შედეგად ორი უცხოელი წყვილი გაახარა. ვინ იქნება მესამე, ჯერ არ იცის. საქართველოში სუროგატი დედა ზუსტად 9 თვეში 12 ათას დოლარს იღებს, ამერიკაში – 100 ათასს, ხოლო დიდ ბრიტანეთსა და ბელგიაში სუროგატ დედას კანონით ეკრძალება ნებისმიერი თანხის მიღება. შესაბამისად, უცხოელი წყვილების ყურადღება ჩვენი ქვეყნისკენაც არის მომართული. თბილისში ერთ კერძო ორგანიზაციაში სუროგატ დედებთან ყოველთვიურად, საშუალოდ, 30 ხელშეკრულება იდება. აქედან ქართველი წყვილების რაოდენობა შეუცვლელად ერთი და იგივეა – 3-5 წყვილი. უცხოელების რაოდენობა კი ყველაზე ცოტა 2008 წელს იყო. მიზეზად ამ შემთხვევაშიც რუსული აგრესია დასახელდა. 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა და დღეს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ყოველთვიურად სტაბილურად 20 უცხოელი წყვილი მიმართავს მათ დასახმარებლად. ეს ყველაფერი, მარიამ კუკუნაშვილის განცხადებით, სერიოზულ შემოსავლებთან არის დაკავშირებული, რაც კანონის ამოქმედების შემთხვევაში აღარ იარსებებს.

„პრაიმტაიმი“ სუროგაციის თემაზე ადრეც წერდა, მაშინ ჩვენ საშუალება მოგვეცა, ერთ-ერთ ქალბატონს გავსაუბრებოდით, რომელმაც მისთვის უცხო წყვილისთვის შვილის გაჩენა საკუთარ თავზე აიღო... მაშინ ეკა 38 წლის იყო და საკუთარი შვილიც ჰყავდა... კანონის ამოქმედების შემდეგ მას აღარ ექნება საშუალება, დახმარება გაუწიოს თუნდაც კიდევ ერთ წყვილს, რადგან მისი ასაკი დღეს უკვე 41 წელია.

„ყოველ წელს ინ-ვიტრო პაციენტების მეშვეობით 3-4 მილიონი დოლარი შემოდის“

ეკატერინე, 38 წლის, სუროგატი დედა:

– რა განცდაა, როცა 9 თვე მუცლით ატარებ ბავშვს და შემდეგ სხვას აძლევ?

– ამ დროს ხარ, როგორც ძიძა. უვლი ბავშვს და იცი, როცა დაიბადება, ამით ძალიან გაახარებ ერთ ოჯახს.

– თუ ნახულობთ ბავშვს გაჩენის შემდეგ?

– კონტრაქტით ამის უფლება არ გვაქვს, მაგრამ მე ვნახე. ვისიც იყო, პატრონმა თვითონ მაჩვენა. იმ წუთას ისინი ისეთი ბედნიერები იყვნენ, სურათებს უღებდნენ და მერე მეც მაჩვენეს.

– თქვენ თავად თუ გყავთ შვილი?

– დიახ, მყავს. 4 წლისაა.

– თქვენს შვილს არ ჰქონდა განცდა, რომ პატარა და ან ძმა უნდა ჰყოლოდა? კითხვებს არ გისვამდათ ?

– არა, არაფერი უკითხავს.

– ოჯახის მხრიდან თუ იყო წინააღმდეგობა, როცა სუროგატობა გადაწყვიტეთ?

– არა, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. როცა იცი, რომ ის არ არის შენი შვილი და იცი, რომ უნდა წაიყვანონ... არანაირი გართულება არ ყოფილა. ერთადერთი, ამ დროს საშიშია ჯანმრთელობის მხრივ. ორსულობის დროს ქალს ერთი ფეხი სამარეში უდგასო, ხომ გაგიგიათ.

– თუ ასე ფიქრობთ, რატომ გაჩინეთ ორ წელიწადში 2 ბავშვი?.. მით უმეტეს, ბოლო მშობიარობიდან ერთი წელიც კი არ გასულა...

– როცა ქალი მშობიარობას კარგად გადაიტანს და ისევ ძლიერია, მას აქვს უფლება, კიდევ გაჩინოს.

– თუ აპირებთ მეორე შვილის გაჩენას, თქვენი საკუთარი შვილის ყოლას?..

– არა. ძალიან გაძვირდა ცხოვრება.

– რა რეაქცია ჰქონდა მეუღლეს, როცა ამ გადაწყვეტილების შესახებ აცნობეთ?

– არაფერი განსაკუთრებული რეაქცია არ ჰქონია. ვფიქრობ, რომ სასიკეთო საქმეს ვაკეთებ. თანაც ერთს კი არა? ვახარებ უშვილო ოჯახს და გარდა ამისა, ოჯახში შემოდის თანხა, რომელიც ასე გვჭირდება ყველას.

– შეიძლება გვითხრათ, რაში დახარჯეთ მიღებული თანხა?

– დამეთანხმებით, რომ თანხა ყველას და თან ძალიან სჭირდება. მე რომ დალხენილი ცხოვრება მქონოდა, ნამდვილად არ გავაჩენდი ბავშვებს.

– როგორია ხოლმე რეაქცია თუნდაც მეზობლების მხრიდან?

– არავის უთქვამს, რომ არასწორად ვიქცევი. უარყოფითი სიტყვები არავისგან მომისმენია.

– კიდევ აპირებთ, რომ გახდეთ სუროგატი დედა?

– კი, ვაპირებ.

– რამდენჯერ?

– რამდენჯერაც ვარგისი ვიქნები. უკვე 38 წლის ვარ და რამდენჯერ შევძლებ კიდევ? შუალედებშიც ხომ უნდა დაისვენოს ადამიანმა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სმარტმა“ გორში მეორე სუპერმარკეტი გახსნა

ირინა ქვილითაია

„ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი კომპანია, სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ გაფართოებას განაგრძობს. „სმარტმა“ გორში კიდევ ერთი ობიექტი გახსნა, რაც სამუშაო ადგილების შექმნას და ათობით ოჯახში შემოსავლის წყაროს გაჩენას გულისხმობს.

ქალაქის ცენტრში, ცხინვალის გზატკეცილი #12-ში მდებარე თანამედროვე სუპერმარკეტი 750-მდე კვადრატულ მეტრს მოიცავს. ევროპული სტანდარტის ტიპის სავაჭრო ცენტრში სუპერმარკეტი „სმარტი“, „სმარტის კაფე“ და აფთიაქია განთავსებული. „სმარტი“ მომხმარებელს მრავალფეროვან, უმაღლესი ხარისხის პროდუქტებს, უგემრიელეს საკონდიტრო ნაწარმს, მისაღებ ფასებს, უფასო WI-FI-სდა სხვადასხვა სახის სერვისებს სთავაზობს, რაც მომხმარებლისთვის შესყიდვებს კიდევ უფრო კომფორტულს გახდის.

როგორც „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა, სოსო ფხაკაძემ განაცხადა, ახალ ობიექტზე სულ 40-მდე ადამიანია დასაქმებული, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირებიც არიან.

სოსო ფხაკაძე:

„ქალაქ გორში „სმარტის“ ძალიან ლამაზი სუპერმარკეტი გაიხსნა, რამაც 40-მდე ადგილობრივი მცხოვრების დასაქმების საშუალება მოგვცა. დასაქმებულთა შორის რამდენიმე იძულებით გადაადგილებული პირია, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

გორში განსაკუთრებულად დაბალი ფასებით შემოვედით, რადგან გვინდა, რომ გორის მოსახლეობა ხშირად სტუმრობდეს სუპერმარკეტს. სუპერმარკეტის გახსნა 4 წლის იუბილეს დაემთხვა და მომხმარებელს დამატებით 10%-იანი ფასდაკლება შევთავაზეთ. პროდუქციის და მომსახურების ხარისხით სმარტი მთელ საქართველოში გამოირჩევა. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით, რომ მაღალი ხარისხის სტანდარტები ნებისმიერ ადგილზე დავიცვათ, სადაც „სმარტის“ ახალი სუპერმარკეტი გაიხსნება.

მოხარული ვართ, რომ დღეიდან გორის მოსახლეობას საშუალებას ვაძლევთ, ევროპული სტანდარტების სუპერმარკეტ „სმარტში“ მათთვის საჭირო პროდუქტები, კომფორტულ გარემოში, მისაღებ ფასად შეიძინონ. ყველაზე მეტად ის გვახარებს, რომ ყოველი ობიექტის გახსნა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ათობით ოჯახში შემოსავლის წყაროს გაჩენას ნიშნავს. „სმარტისთვის“ გორში ეს უკვე მეორე სუპერმარკეტია. მომხმარებელი კარგად იცნობს ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე არსებულ სმარტის სუპერმარკეტს, რომლის სტაბილურად მზარდი რეალიზაცია მის პოპულარობაზე მეტყველებს. ჯამურად გორის სუპერმარკეტებში ჩვენ 150-მდე ადგილობრივი მაცხოვრებლის დასაქმება შევძელით“.

ახალი სუპერმარკეტის გახსნას გორის მუნიციპალიტეტის მერი, ზურაბ ჯირკველიშვილი დაესწრო, რომელმაც თავის მხრივ ახალი ობიექტის გახსნასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოხატა და „სმარტის“ ხელმძღვანელობას აღნიშნული პროექტისთვის მადლობა გადაუხადა.

ზურაბ ჯირკველიშვილი:

„მე, როგორც ქალაქის მერი, ყოველთვის სიხარულით მივესალმები გორში ახალი ობიექტის შექმნას. დღეს განსაკუთრებულად მიხარია, იმიტომ, რომ ჩვენთან ისეთი კომპანიის ახალი ობიექტი გაიხსნა, რომელიც მხოლოდ ხარისხზე და ევროპულ სტანდარტებზეა ორიენტირებული. მათი ეს გაბედული ნაბიჯი, რომ თვითმმართველ ქალაქში გააკეთონ მსგავსი ღირებულების ობიექტი, ჩვენთვის ძალიან სასიხარულო და მისასალმებელია. ეს პროექტი ქალაქის დაბრუნებული სახელის გამართლებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ფაქტორია. დიდი მადლობა „ვისოლ ჯგუფს“, რომ ეს ყველაფერი გორში გააკეთა. ჩვენ გაგვიხარდება, თუ მსგავსი ობიექტები ქალაქს კიდევ შეემატება“.

„სმარტში“ დასაქმებული იძულებით გადაადგილებული პირი, მზია ბერუაშვილი სუპერმარკეტში მუშაობით კმაყოფილებას გამოხატავს და „ვისოლ ჯგუფს“ დიდ მადლობას უხდის.

მზია ბერუაშვილი:

„მე ვარ ცხინვალის რაიონიდან, სოფელ ერეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი. გორის კოტეჯებში ვცხოვრობ. აქამდე არსად მიმუშავია და ძალიან მოხარული ვარ, რომ „ვისოლ ჯგუფმა“ დასაქმების შესაძლებლობა მომცა. ოჯახში ყველანი დაუსაქმებლები ვიყავით და ეს სამსახური ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ კეთილი საქმისთვის უღრმესი მადლობა ყველას“.

რეგიონალურ განვითარებას „სმარტი“ ამით არ ასრულებს და სუპერმარკეტების ქსელი ფოთში, წყნეთში, ბათუმში, ქუთაისში და ზუგდიდშიც გაიხსნება. მომავალი სამი წლის მანძილზე „ვისოლ ჯგუფი“ „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას და 3 000-მდე ადამიანის დასაქმებას გეგმავს.

ცნობისთვის, „ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის გაფართოება 2010 წლიდან დაიწყო და ძალიან წარმატებულადაც. „სმარტი“ ბაზარზე უმაღლესი ხარისხის პროდუქტის ფართო არჩევანითა და მომსახურების ევროპული სტანტარტებით დაარსების დღიდან ანებივრებს, რამაც მომხმარებლის ზრდა და ობიექტების გაფართოების საჭიროება გამოიწვია.

დღესდღეობით „სმარტის“ სუპერმარკეტები წარმატებულად თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ბათუმში, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელში, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთსა და უკვე გორის ცენტრშიც ფუნქციონირებს.

A

კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით „ოქროს საჭე 2014“ დაიწყო

ირინა ქვილითაია

ჟურნალი „Auto Bild საქართველო“ საუკეთესო ატომობილების გამოსავლენად ემზადება. მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საავტომობილო დაჯილდოება „ოქროს საჭე 2014“ საქართველოში კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით იმართება.

საუკეთესო ავტომობილის გამოსავლენად კონკურსი „ოქროს საჭე 2014“ გრძელდება. ასევე გრძელდება აქცია-ღონისძიებები, რომელსაც სხვადასხვა ავტო ბრენდების წარმომადგენლები თავიანთი მოდელების მხარდასაჭერად მართავენ.

ამასთან დაკავშირებით, „აუტო ბილდის“ მიერ ნომინირებული Kia Soul-ის მხარდასაჭერი ღონისძიება, „კია მოტორსის“ ცენტრში წინა კვირას გაიმართა. კიას მხარს ის ცნობილი სახეები უჭერდნენ, რომლებიც ამ ბრენდის ავტომობილების მფლობელები არიან და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით რეკომენდაციას სწორედ კიას აძლევენ.

„პრაიმტაიმი“, ტელეწამყვან ხატია სიჭინავას ესაუბრა, რომელიც ამ ბრენდით 2011 წლიდან სარგებლობს. ის პირობას დებს, რომ კიას მუდმივი მომხმარებელი იქნება და ბრენდს შეთავაზებული კომფორტისთვის მადლობას უხდის.

ხატია სიჭინავა:

„2011 წელს ჩემმა ქმარმა სიურპრიზი გამიკეთა და მაჩუქა კიას ბრენდის მანქანა, რომელიც ჩემთვის და ჩემი შვილებისთვისაც საუკეთესოა. განსაკუთრებით კომფორულია იმათთვის, ვისაც უკანსვლა უჭირს. ვიდეოკამერის საშუალებით ტერიტორიის გაკონტროლება ადვილად ხდება, რაც ბევრ საფრთხეს გვაცილებს თავიდან. ძალიან ხარისხიანი და გემოვნებიანი ბრენდია. პირობას ვდებ, რომ არასოდეს ვუღალატებ“.

როგორც უკვე ვიცით, გამორჩეული დიზაინის „Kia Soul“-ს მთელ მსოფლიოში ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. 2008 წლიდან პირველი თაობის მოდელი 760.000-მა ადამიანმა შეიძინა. მოდელს მსოფლიოში არაერთი ცნობილი ჯილდო აქვს მიღებული.

„პრაიმტაიმი“, „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ მარკეტინგის მენეჯერს, ია მოდებაძეს ესაუბრა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ Kia-ს ოქროს საჭეც შეემატება და Soul-ი „წლის ავტომობილი 2014“ გახდება.

ია მოდებაძე:

„ჩვენ სააგიტაციო ღონისძიებას ვატარებთ, სადაც ცნობილი სახეები რეკომენდაციას Kia Soul-ს უწევენ. ეს არის მოდელი, რომელსაც ჩვენ საქართველოში ძალიან წარმატებულად ვყიდით. ამ მოდელს ძალიან ბევრი ჯილდო აქვს მიღებული და იმედი გვაქვს, რომ „წლის ავტომობილის წოდება“ Kia-ს ქართული მომხმარებლიდანაც შეემატება. ეს ღონისძიება ავტომობილის პოპულარიზაციას კიდევ უფრო დაეხმარება“.

ორგანიზატორების განცხადებით, კონკურსში მონაწილეობას წლის საუკეთესო ავტომობილები იღებენ, რომლებიც 6 კლასში არიან გადანაწილებულნი. რჩეული ავტომობილებისთვის ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობს ვებგვერდზე- www.autobild.ge

ჟურნალ „აუტო ბილდის“ მარკეტინგის მენეჯერი, ლაშა წიკლაური:

„ეს არის საერთაშორისო კონკურსი და ძალიან ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს. საქართველოში ამ კონკურსს „აუტო ბილდი“ ატარებს და ჩვენს საიტზე ყველა მომხმარებელს შეუძლია საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება. სხვადასხვა დილერები სარეკლამო კამპანიებს ატარებენ და მომხმარებელს თავიანთი ბრენდის მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში „ოქროს საჭე 2014“ კომპანია „ვისოლის“ მხრდაჭერით იმართება. კომპანია ტრადიციას არ ღალატობს და საზოგადოებას საინტერესო პროექტებით მუდმივად ანებივრებს.

„ვისოლ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი, ვასილ ხორავა:

„ოქრო საჭე 2014“-ის კონკურსში მონაწილე მსოფლიოს წამყვანი ბრენდების უახლესი მოდელებისთვის რეკომენდირებული სწორედ უახლესი ევროპული სტანდარტის, უმაღლესი ხარისხის საწვავია, რომლის რეალიზაციასაც „ვისოლი“ ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელის საშუალებით ახდენს. შესაბამისად, „ვისოლი“ მოხარულია იყოს მხარდამჭერი საავტომობილო სივრცეში წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებისა. ჩვენ საქართველოში ხარისხიან პროდუქციას ვუწევთ პოპულარიზაციას და გვინდა, რომ ბევრი ახალი ტიპის მანქანები იყოს ბაზარზე წარმოდგენილი. ახალი მანქანა ხარისხიანი პროდუქტის დადებით მხარეებს უკეთესად შეიგრძნობს, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საწვავითა და ახალი მოდელებით გადაადგილება უფრო ეფექტური და სასიამოვნო იქნება მომხმარებლისთვის“.

გაცნობებთ, რომ ხმის მიცემის პროცედურა იანვრის ბოლომდე გაგრძელდება და გრანდიოზული გალა დაჯილდოებით დასრულდება. საუკეთესო ავტომობილების გამოვლენის კამპანიაში ჩართულები არიან საავტომობილო დილერები, სხვადასხვა ავტო ბრენდის ფან კლუბები და სხვა გულშემატკივრები.

A

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოს მთავრობა და მსოფლიო ბანკი ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგიას შეიმუშავებს

როგორი უნდა იყოს ქვეყანა 2025 წლამდე

ეკა ჩიკვაიძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიაზე დაიწყეს მუშაობა. მართალია, გასული წელი ტურიზმის განვითრების კუთხით საკმაოდ წარმატებული იყო და ქვეყანაში შემოსულ საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ 2014 წელს, 11 თვის მონაცემებით, უკვე 5 მილიონს გადააჭარბა. პროცენტული მაჩვენებლის კიდევ უფრო გასაზრდელად, ამჟამად ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება მიმდინარეობს.

სტრატეგიაზე მუშაობის დაწყება 3 დეკემბერს, საგამოფენო ცენტრის - „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონში ოფიციალურად აღინიშნა. კონფერენციას სამთავრობო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძო სექტორის ასამდე წარმომადგენელი დაესწრო. შეხვედრაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სტრატეგიის მზადების პროცესში მოპოვებული ძირითადი შედეგების პრეზენტაცია მოაწყო. მსოფლიო ბანკის მხრიდან, ხედვის ფორმულირებასთან დაკავშირებით, მსოფლიოში არსებულ გამოცდილებასა და ტურიზმის სტრატეგიებზე საკონსულტაციო ფირმის Solimar International-ის წარმომადგენელმა ისაუბრა. კონფერენციის მონაწილეებმა სექტორის წინაშე არსებული გამოწვევები და შემოთავაზებული „ხედვა 2025“ განიხილეს.

სამოქმედო გეგმის საბოლოო დოკუმენტი 2015 წლის აპრილისთვის მომზადდება და მას საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს.

თორნიკე ზირაქიშვილი (საქ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი):

„ჩვენ, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, დავიწყეთ ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება. ეს არ არის ადმინისტრაციის სტრატეგია და მარტო ჩვენი ხედვა, ეს არის ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სტრატეგია. ჩვენ არ გვინდა შევქმნათ დოკუმენტი, რომელიც მარტო ჩვენი ხედვა იქნება. ამაში ჩაერთვებიან, როგორც კერძო, ისე არაასამთავრობო სექტორი და სხვა დაინტერესებული მხარეები. კონფერენციაზე ჩვენ ერთობლივად განვიხილეთ ყველა ის მიმართულება, რომელსაც სტრატეგია მოიცავს. ეს იქნება ტურისტული პროდუქტები, ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურიზმის პოლიტიკა, როგორი იქნება ეს დოკუმენტი, რა არის საქართველოში უნიკალური პროდუქტები და ა.შ. ხედვა იქნება დაახლოებით 2025 წლამდე, ანუ როგორი უნდა იყოს ქვეყანა 2025 წლამდე. ამასთან გაიწერება ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც თითოეული უწყების კომპეტენციის ფარგლებში გადანაწილდება. ანუ როგორ უნდა მოიქცნენ ეს უწყებები ყოველ წელს, რომ ტურიზმი განვითარდეს. ტურიზმის სტრატეგიაში არის 8 თავი, აქედან ბოლო თავი იქნება სამოქმედო გეგმა. ჩვენ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ვართ პასუხისმგებელი სტრატეგიის შედგენაზე, რაშიც გვეხმარებიან როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც მსოფლიო ბანკის მიერ არიან დაქირავებულნი“.

„ეს არის ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სტრატეგია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ნარსული აქვთ უკრაინის მთა

მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების უკრაინის ახალ მთავრობაში დანიშვნამ შესაძლოა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები გაართულოს. ასეთია ექსპერტთა მოსაზრება. მათი ნაწილი უკრაინის მხრიდან არამეგობრულ ჟესტზე საუბრობს, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ქართველი ექსჩინოსნები უკრაინის მთავრობაში მხოლოდ პროფესიონალიზმის ნიშნით შეარჩიეს.

„ლადო გურგენიძესთან კიდევ სხვა კითხვებია. მაგალითად, როგორ ხდებოდა მერიის შავი ბუღალტერიის გარეცხვა მისი ბანკის მეშვეობით“

„კვიტაშვილს ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე არაფერი გაუფუჭებია, მაგრამ არც არაფერი გაუკეთებია. ჯანდაცვის სისტემაში მის წარმატებაზე საუბარი სისულელეა“

უკრაინის მთავრობაში საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების დანიშვნის თემას ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გამოეხმაურა.

ექსპრემიერი საზოგადოებას არწმუნებს, რომ ამით უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობა არ გაფუჭდება.

„არ ვთვლი, რომ ამით უკრაინასთან ურთიერთობა გაფუჭდება. თეორიულად, ჩვენ უნდა მივესალმოთ ჩვენი ყველა მოქალაქის წარმატებას, სადაც არ უნდა იყოს. გასაგებია ის ემოციური დამოკიდებულება, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში არსებობს და რაზეც ბოლო დროს განხილვა მიდის. მეც ვუსურვებდი მათ, რომ შეცდომები, რაც საქართველოში დაუშვეს, უკრაინაში აღარ გაემეორებინათ. ვისურვებდი, რომ მათ იქ არაფორმალური, არაყალბი წარმატებისთვის მიეღწიოთ“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

წინამორბედებს წარმატება უსურვა ვიცე-პრემიერმაც. კახი კალაძის თქმით, საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნების უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე დანიშვნასთან დაკავშირებით, მისი პირველი განცხადება, რომ ეს ფაქტი „ცოტა უხერხული და წარმოუდგენელი იქნებოდა“, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით გავრცელებულ ხმებს ეხებოდა.

„ზუსტად ამან გამოიწვია ჩემი გაკვირვება, რადგან ეს ორივე ადამიანი იძებნება. არსებობს კონკრეტული საქმეები, რომელზეც პასუხის გაცემას ეს ორი პიროვნება თავს არიდებს. ამით იყო განპირობებული ჩემი კომენტარი. რაც შეეხება ზღულაძესა და კვიტაშვილს, მე ამ ადამიანების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მინდა, მათ წარმატებები ვუსურვო“, – განაცხადა კალაძემ.

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა ორ ქვეყანას შორის კეთილმეგობრული ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით, საკუთარ განცხადებებში საკმაოდ მოზომილია, განსხვავებით იმ ექსპერტებისგან, რომლებიც უკრაინის მთავრობას გადაწყვეტილებას უწუნებენ და ვარაუდობენ, რომ ეს თემა ურთიერთობებზე ნამდვილად აისახება.



გია ხუხაშვილი, ექსპერტი:

– ეკა ზღულაძეს დღევანდელმა საქართველომ გამოუტანა პოლიტიკური განაჩენი. მისი დანიშვნა ბუნებრივ შეშფოთებას უნდა იწვევდეს ჩვენში. ეკა ზღულაძე გახლდათ ვანო მერაბიშვილის პირველი მოადგილე, იმ მერაბიშვილის, რომელიც ამჟამად სხვადასხვა ბრალდებით ზის ქართულ საპატიმროში. მათი ხელმძღვანელობის პერიოდში პოლიცია ჩამოყალიბდა ძალადობის ინსტრუმენტად. ამ სისტემური სიმახინჯის შექმნაში, რა თქმა უნდა, ეკა ზღულაძეც არის პასუხისმგებელი. უკრაინელებისთვისაც რომ გასაგები იყოს, მათ ავუხსნიდი, რომ ეს გადაწყვეტილება არის იგივე, საქართველოს ხელისუფლებამ იანუკოვიჩის გუნდის წარმომადგენლები რომ მოიწვიოს მთავრობაში, თავად იანუკოვიჩს კი საქართველოში გარკვეული პოლიტიკური აქტივობები ჰქონოდა და მას სრული ასპარეზი მისცემოდა. ვფიქრობ, საქართველოს ასეთი ნაბიჯი უკრაინაში ძალიან არ მოეწონებოდათ და უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

– თუმცა სააკაშვილი არ არის იანუკოვიჩი...

– ჩვენთვის სააკაშვილისა და მისი გუნდის აქტიურობა უკრაინაში დაახლოებით იგივეა, რაც იანუკოვიჩისა და მისი გუნდის აქტიურობა იქნებოდა საქართველოში. შეგახსენებთ, რომ წინა ხელისუფლების მთელი რიგი წარმომადგენლები საზოგადოების მხრიდან და საგამოძიებო ორგანოების მხრიდანაც, ბრალდებულნი არიან სისტემურ დანაშაულებში. ამ სისტემას არ ჰყავდა მხოლოდ ერთი სააკაშვილი. ჩემი აზრით, ერთ-ერთი ფიგურანტი არის ეკა ზღულაძე, რომლის მიმართაც შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი დევნა არ ხორციელდებოდეს, მაგრამ მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა სავსებით ცხადია. ცხადია, არ უნდა ვიყოთ ძალიან კატეგორიულები, მაგრამ, თუ ჩვენ ვართ მეგობარი ქვეყნები, საზოგადოების ასეთი ემოციები რაღაცნაირად მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. გარდა ამისა, ფაქტია, რომ სააკაშვილმა უკრაინა აქცია საკუთარ პლაცდარმად დღევანდელ საქართველოსთან საბრძოლველად. ის აქტიურობს მიტინგებზე, ტოქშოუებში და ა.შ. არც ერთმა სხვა ქვეყანამ მას ასეთი აქტიურობის ასპარეზი არ მისცა. უკრაინისგან განსხვავებით, მას პოლიტიკური აქტივობის საშუალებას არ აძლევენ შეერთებულ შტატებში. კიევში კი მას გმირად იღებენ, რაც თავისთავად ქმნის სირთულეებს.

„ვფიქრობ, ჩვენმა დიპლომატებმა უკრაინის ხელისუფლებამდე უნდა მიიტანონ მთავარი გზავნილი იმის შესახებ, რომ ქართველ საზოგადოებაში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა ძალიან მტკივნეულად აღიქმება“

– როგორ წარმოგიდგენიათ, ორი ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობა, როდესაც უკრაინაში ჩასულ ჭიკაიძეს მაგიდის მეორე მხარეს ეკა ზღულაძე დახვდება?

– ეკა ზღულაძე არის რაფაელ გლუქსმანის მეუღლე. მოგეხსენებათ, ეს ის პიროვნებაა, რომელიც გახლდათ ერთ-ერთი მთავარი პოლიტტექნოლოგი სააკაშვილის კარზე. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც ჩვენმა სამართალდამცავმა სისტემამ უნდა ითანამშრომლოს უკრაინის სამართალდამცავ სისტემასთან. ეკა ზღულაძის შს მინისტრის მოადგილეობა გარკვეულ ჩრდილს მიაყენებს ამ თანამშრომლობის სრულფასოვან განვითარებას. შეიძლება მას ამ დარგში რაღაც კვალიფიკაცია აქვს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ის გახლავთ დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ოპონენტი. ცნობილია რა მისი პარტიული კუთვნილება, ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის ნდობაზე დაფუძნებული სრულფასოვანი პარტნიორობა ვერ შედგება. ასეთი შეუცვლელიც არ გახლავთ ეს ქალბატონი, რომ უკრაინას მსგავსი არამეგობრული ნაბიჯი გადაედგა საქართველოსთან მიმართებაში. ხვალ რომ ჩამოვიდეს იანუკოვიჩი და საქართველოს მთავრობა ისეთივე პატივით დახვდეს, როგორც უკრაინაში სააკაშვილს ხვდებიან,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვროზაში დანიშნულ ქართველებს

„ცნობილია რა მისი პარტიული კუთვნილება, ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის ნდობაზე დაფუძნებული სრულფასოვანი პარტნიორობა ვერ შედგება“

„ჩვენთვის სააკაშვილისა და მისი გუნდის აქტიურობა უკრაინაში დაახლოებით იგივეა, რაც იანუკოვიჩისა და მისი გუნდის აქტიურობა იქნებოდა საქართველოში“

ვფიქრობ, ეს კიევში ნამდვილად არ მოეწონებათ და ძალიან დაიძაბებიან. ამიტომ უკრაინელებს უნდა ავუხსნათ, რომ სააკაშვილი და იანუკოვიჩი თავისი ბუნებით არიან ერთი და იგივე ფენომენი.

– სააკაშვილს, უკრაინის ექსპრეზიდენტისგან განსხვავებით, დასავლეთში გარკვეული მხარდაჭერა აქვს... არ მეთანხმებით?

– პოლიტიკოსები არ იზომებიან მათი საგარეო ორიენტაციით. ისინი იზომებიან იმით, როგორ ექცევიან საკუთარ ხალხს. ერთიც და მეორეც იყო ავტორიტარული მიდრეკილების ლიდერი, რომლებიც ძალადობდნენ საკუთარ ხალხზე. ეს კარგად უნდა ესმოდეთ უკრაინაში.

– რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველოს ხელისუფლებამ „ამ არამეგობრული ჟესტის“ საპირწონედ?

– ეს არ არის სკანდალის თემა. ჯერჯერობით ამ პროცესს შეუქცევადი ხასიათი არ მიუღია. ვფიქრობ, ჩვენმა დიპლომატებმა უკრაინის ხელისუფლებამდე უნდა მიიტანონ მთავარი გზავნილი იმის შესახებ, რომ ქართველ საზოგადოებაში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა ძალიან მტკივნეულად აღიქმება. უნდა ავუხსნათ, რომ სააკაშვილი არის ქართველი იანუკოვიჩი. პირველ რიგში უნდა ვეცადოთ, უკრაინელებს ავუხსნათ, რამდენად მიუღებელია ეს დანიშვნები ჩვენთვის. შეიძლება დროებით გადაიდოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი უკრაინაში, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ ეს საკითხები საბოლოოდ არ გაირკვევა. სანდრო კვიტაშვილის დანიშვნას არ ვგულისხმობ, მაგრამ ზღულაძის შემთხვევაში ეს ნითელი არა, მაგრამ ყვითელი ბარათი ნამდვილად არის. სწორედ ეს ქალბატონი იყო მერაბიშვილის მოადგილე, როდესაც „იმედში“ შევარდნენ, 7 ნოემბერს გვარბევდნენ და ა.შ. ყველა შემთხვევაში „აპრავებდა“ თავის უფროსს.

– თქვენ ამბობთ, რომ ეს ყველაფერი უკრაინულ მხარეს უნდა ავუხსნათო და აქამდე რატომ ვერ მოხერხდა ამის ახსნა, თუკი ეს მართლაც ასეა?

– არ ვიცი, ან ცუდი მუშაობის ბრალია, ან რაღაც სხვა ტიპის ვალდებულებებთან გაქვს საქმე. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ უკრაინელები არ გვთვლიან პარტნიორებად და მიიჩნევენ, რომ შეუძლიათ, ასე აგდებულად მოგვექცნენ.

– რამდენად შესაძლებელია, ამ ფონზე ორ ქვეყანას შორის გართულდეს ეკონომიკური თანამშრომლობა? როგორც მოგეხსენებათ, უკრაინა ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის?

– ამ მიმართულებით სირთულეებს არ ველოდები. ეკონომიკა და პოლიტიკა ერთმანეთისგან სრულად უნდა იყოს გამიჯნული. რაც არ უნდა მოხდეს, უკრაინასთან რუსეთზე უფრო ცუდი ურთიერთობა არ გვექნება და მოგეხსენებათ, სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთანაც კი არსებობს. ეს ორი სხვადასხვა ჭრილია.

– რაც შეეხება ლადო გურგენიძეს...

– ლადო გურგენიძესთან კიდევ სხვა კითხვებია. მაგალითად, როგორ ხდებოდა მერიის შავი ბუღალტერიის გარეცხვა მისი ბანკის მეშვეობით? ეს ხომ მისი კურირების ქვეშ ხდებოდა. სწორედ ახლა მიმდინარეობს ამ საქმეზე სასამართლო პროცესები. ფაქტია, რომ „ლიბერთი ბანკი“ იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ჯიბედ ქცეული. ბუნებრივია, ის ამ ყველაფრის თანამონაწილე გახლდათ. თუ მას შეუძლია, უკრაინის ეკონომიკას რაიმეთი დაეხმაროს, კი ბატონო, მათი არჩევანია.

– თქვენი შეფასებით, სანდრო კვიტაშვილი რამდენად წარმატებული მინისტრი იყო?

– ჩემი შეხედულება ამ ადამიანზე უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი. საერთოდ არ ვცემ პატივს ადამიანებს, რომლებსაც უდრტვინველად შეუძლიათ, იყვნენ რეჟიმის სამსახურში. მით უმეტეს, მაღალ თანამდებობებზე. თუმცა ამავე დროს ვფიქრობ, რომ კვიტაშვილს ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე არაფერი გაუფუჭებია, მაგრამ არც არაფერი გაუკეთებია. ჯანდაცვის სისტემაში მის წარმატებაზე საუბარი სისულელეა. ამ სფეროში თუ რაიმე გაკეთდა, ეს მოხდა დავით სერგეენკოს მინისტრობის პერიოდში. ვგულისხმობ ადამიანზე ორიენტირებულ ჯანდაცვას. რაც შეეხება მის მოღვაწეობას უნივერსიტეტში, ეს საერთოდ კურიოზული ამბავია. პრაქტიკულად კვიტაშვილი თსუ-ში არაფერს წარმოადგენდა, იქ დადეს უბრალოდ და მის ნაცვლად უნივერსიტეტს რეალურად კირკიტაძე და ნაცაქტივისტები მართავდნენ.

რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი:

– ყველა ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს თავის ბედ-იღბალს და საკადრო გადაწყვეტილებებსაც საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე იღებს. როგორც ჩანს, უკრაინაში კადრების სერიოზული დეფიციტია, ყოველ შემთხვევაში უკრაინის ახალი ხელისუფლება ასეთად აღიქვამს სიტუაციას. მეორე მხრივ, მათ აქვთ შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილისეული რეფორმები უნიკალური იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში და სწორედ ეს სჭირდება უკრაინას. საერთოდ, უკრაინაში მართლაც არსებობს კორუფციის პრობლემა, ისევე როგორც რუსეთში. როგორც ჩანს, სწორედ ამ შთაბეჭდილების ფონზე მიიღო უკრაინის ხელისუფლებამ ჩვენი გადმოსახედიდან არცთუ ისე ღირსეული გადაწყვეტილება.

– რამდენად საფუძვლიანია საუბარი იმაზე, რომ, რაკიღა ეკა ზღულაძე ვანო მერაბიშვილის მოადგილე იყო, მასაც ეკისრება პასუხისმგებლობა?

– ძნელია ამაზე საუბარი, რადგან თითოეულ მოადგილეს აქვს თავისი საკურატორო სფერო და რამდენადაც ვიცი, ზღულაძესთან დაკავშირებით რაიმე ოფიციალური ბრალდება, ან პრეტენზია ამ დრომდე არ გაჟღერებულა. შესაბამისად, თუ მის საკურატორო სფეროში კანონსაწინააღმდეგო არაფერი ხდებოდა, ვერ ვისაუბრებთ ეკა ზღულაძის პასუხისმგებლობაზე.

„უკრაინელებს უნდა ავუხსნათ, რომ სააკაშვილი და იანუკოვიჩი თავისი ბუნებით არიან ერთი და იგივე ფენომენი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცოლ-ქმრის პასუხი ყოფილ პრემიერს

ასეა, როგორც საქართველოში იტყვიან ხოლმე, ჯერ დასაკლავი გოჭივით ატყდება და მერე ხან დასავლელ მაღალჩინოსნებს ამოეფარება და ხან იაფფასიან პროვოკაციაზე მიდის.

ახლახან ყოფილ პრემიერს ბიძინა ივანიშვილს ურჩია, რომ უკვე აღარ არის საჭირო ასეთი კინკლაობა ღია ეთერებში...

კინკლაობის მოთავე კი თავად ალასანია იყო. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა, რომ ივანიშვილი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს. სწორედ მისი ამ გამონათქვამის კომენტარი ითხოვეს ჟურნალისტებმა. ყოფილმა პრემიერმაც უპასუხა:

– ასეთ უმეცარ განცხადებებს ჩემთან დაკავშირებით „ნაციონალებიც“ აკეთებდნენ. თუ ალასანიამ ეს განცხადებები სერიოზულად გააკეთა, მაშინ მან არ იცის, რას ნიშნავს მართვა და მენეჯმენტი. სწორედ მენეჯმენტში ჰქონდა მინისტრობის დროს პრობლემები. ამაზე მასთან ხშირად მქონდა საუბარი. შევახსენებ, იგივე ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს და ჩაშლილ ტენდერებს...

ყოფილი პრემიერი უფრო შორსაც წავიდა და ალასანიას სამეგრელოს არჩევნები გაახსენა, ის დღემდე ითხოვს პასუხს კითხვაზე: რატომ წააგო ალასანიამ სამეგრელო პირწმინდად:

– შევახსენებდი, რომ მას არჩევნების პერიოდში სამეგრელოს რეგიონი ჰქონდა ჩაბარებული, მისივე ინიციატივით, და იქ აბსოლუტურად ყველგან წავაგეთ არჩევნების პროცესი. და ეს იმ დროს, როცა რეგიონი მომართული იყო და ეს ზუგდიდის აქციამაც აჩვენა. საზოგადოებას განწყობა ჰქონდა და ჩვენ სხვა შედეგებს ველოდით, თუმცა ვერც ერთ ადგილას ვერ გაიმარჯვა და ამავდროულად, ვერც ერთი დარღვევა ვერ დააფიქსირა. მე ბევრჯერ მითქვამს, რომ შეკითხვები მაქვს, რა მოხდა სამეგრელოში. ახლაც შევახსენებდი, რომ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ სამეგრელოში წარუმატებლობა განვიცადეთ, სწორედ რომ მისი სუსტი მენეჯმენტისა და კიდევ რაღაცების ბრალი შეიძლება იყოს...

ჰოდა, პასუხის პასუხი არც ქმარს ესიამოვნა და არც ცოლს. ამიტომაც ალასანიასთან ერთად პასუხის პასუხს პასუხი ნათია ფანჯიკიძემაც გასცა. ამ უკანასკნელმა სოციალურ ქსელებით:

– უნდა აღინიშნოს, დახვეწილა. ისე არამტკიცებულებითი ფორმით სვამს შეკითხვებს, ცილისწამებაზეც ვერ უჩივლებ. კი ძალიან მეზარება, მაგრამ შემხვედრი კითხვები ეწყოს აგერ. არ დავწვრილმანდები, ორი კაკალი კითხვა მხოლოდ:

1. ჩინებული მენეჯერის საუცხოო მენეჯმენტის ფონზე და „ოცნების“ გამარჯვების გარიჟრაჟზე, როცა ხალხში აღარაფრის შიში აღარ იყო, რატომ მიიღეს საპრეზიდენტო არჩევნებზე ალასანიაზე ნაკლები ხმები.

2. თუ სამეგრელოში თავდაუზოგავი ბრძოლა არ მიდიოდა და საფრთხეებიც არ არსებობდა, რატომ ჩაფრინდა მიტინგზე მოულოდნელად რიჩარდ ნორლანდი.

ასევე, სჯობს, ზუგდიდს ნუ მიაყენებთ შეურაცხყოფას, უკიდურესი სიმამაცე გამოავლინა ამ ქალაქმა და ზუგდიდში, ზონდერების ალყის ქვეშ, ალასანიამ მიიღო ნაციონალებზე მეტი ხმა. საბოლოო შედეგი გადაწონა სოფლებმა, სადაც ხალხი მეტად დაუცველად გრძნობდა თავს.

და აქვე, მიუხედავად უკვე მიღებული ზეკომპეტენტური პასუხისა, რომელიც გაეცა ხალხს, მაინც მჭირდება ჩაკითხვა, – მოგეხსენებათ, ქმარი უმუშევარი მყავს, ოჯახი ჩემს კმაყოფაზეა და მაინტერესებს, შარშან წინასაახალწლოდ 100 დოლარიდან 10 რომ იყო ფაფუუ, წელს 20 ლარამდე რატომ გაიზარდა ფაფუუ? დაგვიკელით ცოტა, ზამთარი ხარჯიანია ისედაც, – წერს ნათია ფანჯიკიძე...

ისე, ცოლების პოსტებზე კომენტარი არ ღირს. უბრალოდ, რომ არ დაავიწყდეს, ნათიამ უნდა იცოდეს, რომ მისი ქმარი სულაც არ არის უმუშევარი. ის, როგორც პარტიის თავმჯდომარე, ხელფასს იღებს. მის პარტიას კი ფინანსები ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი. ასე რომ...

პრეზიდენტის შვილის ტატუ და ფეხმძიმე მეუღლე



„მარაო რუსთავი 2“-ის გადაცემა „გარდერობი“ საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ქალიშვილს ესტუმრა. ანა მარგველაშვილის თქმით, ძვირადღირებულ ბრენდებს არ აღმერთებს, უყვარს კეპები და აქვს 7 ტატუ. ტატუს ფოტო სოცქსელებშიც გავრცელდა.

გარდა ამისა, ანა მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ გიორგი მარგველაშვილი მას არ ზღუდავს და ცხოვრობს ისე, როგორც მას სურს.

რაც შეეხება პრეზიდენტის მეუღლე მაკა ჩიჩუას, მან ტელეკომპანია „იმედის“ „დღის შოუს“ განუცხადა, რომ რეზიდენციაში ცხოვრებას დუშეთში, ბუნებაში ყოფნა ურჩევნია.

„სიყვარული და ლტოლვა მიწის, ბუნებისა და ცხოველების მიმართ ბავშვობიდან მაქვს. გამიმართლა, რომ გიორგი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელიც გიჟდება დუშეთზე. თავის ხელით აქვს აწყობილი ყველაფერი. პატარა სახლია და იქ გავაკეთეთ ბავშვისთვის ოთახი. ბავშვი გაიზრდება სუფთა ჰაერზე, იქნება ცხოველებთან და ფრინველებთან, იქნება მაუგლი... არ გვქონდა იზოლირებული ოთახი ბავშვისთვის და ახლა ჩქარჩქარა გავაკეთეთ ბავშვის ოთახი. პატარას ოთახს უზარმაზარი ფანჯარა აქვს, საიდანაც არაჩვეულებრივი ხედია – მთელი დუშეთი ჩანს“.

პირველი ლედი ამბობს, რომ მის მეზობლებს უკვირთ, რომ მცირე ბინაში ცხოვრობს პრეზიდენტის ოჯახი. „რომ შემოდიან, გვეუბნებიან, უი, თქვენც კარგად გასარემონტებელი გქონიათ სახლიო“, – ხუმრობს მაკა ჩიჩუა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოსკოვი გიორგი მარგველაშვილს კრემლში ეპატიჟება

ლავროვმა ისევ თქვა, რომ პრეზიდენტი პუტინი მზად არის, შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებით: „რუსეთსა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა შესაძლებელია. პუტინმა ამასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია უკვე დააფიქსირა, რომ, თუ ასეთი შესაძლებლობა მიეცემა, თუ საქართველოს მხრიდან ინტერესი იქნება, ჩვენ ყოველთვის გამოვნახავთ შეხვედრის შესაძლებლობას“.

ამ თემამ ადრეც გაიჟღერა, თანაც ლამის სკანდალურად. ვანო მაჭავარიანი ამტკიცებდა, ჩემი ადმინისტრაციაში მუშაობის დროს ჩვენ კრემლში შეხვედრაზე ვმუშაობდითო. თუმცა ეს ინფორმაცია არც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაადასტურა და არც საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

მარგველაშვილი მოსკოვში უკვე მეორედ მიიწვიეს. მაშინ მარგველაშვილმა თქვა, რომ ის მზად არის შესახვედრად, თუკი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში პოზიტიური ცვლილებები იქნება.

„გავივლით კონსულტაციებს და, შესაბამისად, ჩვენს პოზიციას ჩამოვაყალიბებთ. თუ არის შესაძლებლობა, რომ ასეთი ტიპის შეხვედრამ რაიმე პოზიტიური იმპულსი მისცეს ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, თუ არის სერიოზული მზადყოფნა ძალიან კონკრეტული თემების განხილვის, ბუნებრივია, არის საფუძველი, რომ ჩვენ ამ თემებზე კოლეგებთან ვიმსჯელოთ. გავივლით კონსულტაციებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ჩვენს დასავლელ კოლეგებთან, და ვიფიქრებთ ასეთი შეხვედრის თაობაზე“, – განაცხადა მაშინ გიორგი მარგველაშვილმა.

ბურჯანაძის ქართული ოცნება

ნეტა ამ ნინო ბურჯანაძეს რა დაემართა. დღითი დღე სულ უფრო ავ განცხადებებს აკეთებს. ღმერთმა ისევ მეტეორი გვესროლოს, სჯობია, ვიდრე ბურჯანაძე ხელისუფლებაში მოვიდეს. ოცება, როგორც წესი, ლამაზი, მშვიდი, კეთილი და მრავალფეროვანია. აი, ქალი რომ ჯოჯოხეთზე იოცნებებს და ოცნებებშიც რომ ავი იქნება, როგორი უნდა იყოს, თვითონ გადაწყვიტეთ. ნუ, ნაციონალებს რომ მუსრს გაავლებდა, ხელისუფლებაში რომ იყოს, ეს ხომ გავიგეთ და გავიარეთ, ახლა უკრაინას ერჩის და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ეს საქმე ასე არ დატოვოს და კიევთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტოს... მოკლედ, ამას ჰქვია, ვინც პუტინის მეგობარი არ არის, ჩემი მტერიაო.

ახლა იცის, რომ პუტინს სამხრეთ ნაკადის პრობლემა აქვს. გაზსადენი ბულგარეთის გავლით ვეღარ გაჰყავს და საქართველოს ხელისუფლებას ეჩიჩინება, პუტინს საქართველოს ტერიტორია შესთავაზოს გაზსადენისთვის. თბილისის მხრიდან სრული იგნორის შემდეგ გაოცებული კითხულობს: არ მესმის, მთავრობა ჩემი ინიციატივის მნიშვნელობას ვერ მიხვდა, თუ გამომდინარე იქიდან, რომ მისი რეალიზების თავი არ აქვს, გაჩუმება არჩია...

კიდევ კარგი, თბილისს ბურჯანაძის არ ესმის...

ყველაზე აქტიური და პასიური რესპუბლიკელი

ერთხელ დავით უსუფაშვილმა თქვა, ჩვენ პარტიაში გრძელი სკამი გვაქვსო. ანუ პარტიაში ბევრი ლიდერი გვყავსო. და ეს მართლაც ასეა. „რესპუბლიკური პარტია“ ლიდერების პარტიაა. ის სხვა პარტიებს არ ჰგავს. თითოეული მათგანი პროფესიონალია. მათ შორის ძმები ბერძენიშვილებიც. რა თქმა უნდა, ისინი პოლიტიკური ლიდერები არიან. თუმცა პარლამენტში მუშაობის მხრივ ყველა ერთნაირი არ არის. ყველაზე აქტიური თუ თინა ხიდაშელია, ყველაზე პასიური დავით ბერძენიშვილი შეიძლება იყოს, რომელიც არც ერთ კომიტეტში არ არის გაწევრიანებული. სამაგიეროდ მეგობართა ჯგუფი იზიდავს და შესაბამისად, წესით, ბევრსაც უნდა მოგზაურობდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გედევან ფოფხაძე: „ჩვენ დავწერეთ კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ბუნებრივია, ეს არ არის შექსპირის სონეტები“

ხათუნა მგალობლიშვილი

„თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრი მზად არის საკუთარ „შექსპირის სონეტებში“ შესწორებები შეიტანოს და უკვე ამოქმედებულ კანონში ხარვეზები ეძებოს. საუბარია გედევან ფოფხაძეზე და „ფარული მოსმენების შესახებ კანონზე“, რომელიც პარლამენტმა ორიოდე კვირის წინ დაამტკიცა. ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს თავიდანვე აკრიტიკებდნენ უმრავლესობის წევრები. განსაკუთრებით კი რესპუბლიკელები. უკვე დღეს, კანონპროექტის კანონად ქცევის შემდეგ, ფოფხაძე აცხადებს, რომ მის გაუმჯობესებაზე ისევ და ისევ რესპუბლიკელებთან ერთად იმუშავებს...

„დიპლომატია რომ ირაკლი ალასანიამ ჩემზე უკეთ იცის, ამას ვაღიარებ, საერთაშორისო დიპლომატიას ვგულისხმობ, თორემ პოლიტიკური დიპლომატია სხვა თემაა...“

გედევან ფოფხაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გადაწყვიტა, რომ მოსმენები არის პოლიტიკის სტანდარტი. როდესაც პოლიტიკური ძალა სატელეფონო საუბრების მოსმენას პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებს, ეს არასწორია. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ უკანონობის გამოსწორება და ბალანსის დაცვა. ვინც მოუსმენს, ის დაისჯება და ასეც მოხდა გელა ხვედელიძის შემთხვევაში. ნაციონალების დროს მსგავსი საქციელისთვის საერთოდ არ ისჯებოდნენ. ის, რომ დღეს სატელეფონო საუბრებს პირადი ინტერესებისთვის ველარავინ გამოიყენებს, უკვე გარკვეული სტანდარტია. აქ საუბარი იყო მარტო იმ ნაწილზე, რომელიც ლეგალურ მოსმენას ეხებოდა, როდესაც მოსმენის შედეგები სასამართლოში უნდა იყოს გამოყენებული მტკიცებულების სახით. ჩემი აზრით, ეს რეგულირება გარკვეულ სამართლებრივ სფეროში მოვაქციეთ. ვფიქრობ, არაადეკვატური ნაბიჯი იქნებოდა, მთავარი აპარატი წაგვერთმია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მაშინ, როდესაც სწორედ აღნიშნული უწყებაა პასუხისმგებელი, რომ ქვეყანაში არ იყოს უკანონო მოსმენები. შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ის უწყება, რომელმაც ქვეყანაში კანონიერება უნდა უზრუნველყოს. მე როცა კანონს ვწერ, უნდა ვიხელმძღვანელო იმ მოსაზრებით, რომ წესები სწორად იმუშავებს და ბალანსი სწორად გადანაწილდება. ანუ შსს თავის საქმეს გააკეთებს, მას გააკონტროლებს პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორი და ამის შემდეგ, ბუნებრივია, კანონის იმპლემენტაციის პერიოდში შეიძლება დავინახოთ ხარვეზები. ჩვენ დავწერეთ კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ბუნებრივია, ეს არ არის შექსპირის სონეტები, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს გაუძლებს დროს, საუკუნეებს და არ შეიცვლება. რა თქმა უნდა, ის დაიხვეწება, შეიცვლება. ის დამატებითი კომენტარები, რომელიც აღნიშნული თემის პოლიტიზებას ახდენდა, ჩემი აზრით, სამართლებრივ ნაწილს აზარალებდა. მიმაჩნია, რომ დღეს ამ კანონს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ ამ კანონის იმპლემენტაციის პროცესში მის მონიტორინგზე უნდა ვიფიქროთ და ვეძებოთ, რა არის ხარვეზი და სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთ. მიმაჩნია, რომ პიროვნული თავდასხმები სწორი და გამართლებულია.

– გულისხმობთ უმრავლესობის წევრებს, რომლებმაც კანონი გააკრიტიკეს?

– მოდით, ასე ვიტყვი, ეს იმ ადამიანების პრობლემაა. ყოველთვის შეგვიძლია, ვიღაცას რაღაც დავაბრალოთ, სჯობს, საკითხის შინაარსზე ვიდაოთ, ვიდრე ისეთ საკითხზე, რომელიც მთავარ საკითხს გადაფარავს. როდესაც არგუმენტად გეუბნებიან, რომ შენ ინგლისური არ იცი და არ გაქვს უფლება, საერთოდ ილაპარაკო, ეს არ არის ჯანსაღი დებატები და არის მცდელობა, მთავარ საკითხს გაექცე. არ შეიძლება, განსხვავებულმა აზრმა შენში ნეგატიური განწყობა გამოიწვიოს. როდესაც მე ტრიბუნიდან ვამბობ ჩემს მოსაზრებას, შენც გამოთქვი შენი მოსაზრება, მაგრამ როდესაც ამბობ, რომ ჩემი პოზიცია რომელიმე კონკრეტული უწყებიდან არის ნაკარნახები, ეს არ არის სწორი. ნებისმიერს შეუძლია ნებისმიერი ბრალდებების მოფიქრება, რომ ვიღაც ქვესკნელიდან იმართება ან სულაც უცხო პლანეტებიდან... მე რევოლუციის კანონებს არასოდეს ვემორჩილებოდი და არც დავემორჩილები. ვინც მიიჩნევს, რომ ქვეყანა რევოლუციებით, სირცხვილის დერეფნებითა და სხვა ადამიანის სინდისზე ზეწოლით უნდა მართოს, ის ადამიანები ჩემთვის აბსოლუტურად არაფერს წარმოადგენენ. როგორც მე უნდა ვცე პატივი სხვის აზრს, ზუსტად იგივე ვალდებულება აქვთ მათაც.

– თქვენს ყოფილ თანაგუნდელებს რომ შევეხოთ, ფიქრობთ, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ ჩაანაცვლებენ ნაციონალებს, როგორც ოპოზიციას, და რამდენად ხელოვნური იყო კოალიციიდან მათი გასვლა?

– რამდენადაც პროცესების მონაწილე ვიყავი და პოზიციების შეჯერებაში მეც ვმონაწილეობდი, ვიტყვი, რომ ნამდვილად ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ პროცესი ხელოვნური იყო. იმასაც აღვნიშნავ, რომ ნამდვილად არ მქონდა სურვილი, რომ თავისუფალი დემოკრატები კოალიციიდან გასულიყვნენ. რაც შეეხება ნაციონალების ჩანაცვლებას, ეს ობიექტურად შეიძლება მოხდეს, რადგან იმ შემთხვევაში, თუ „თავისუფალი დემოკრატები“ პოზიტიური ოპონირების რეჟიმში იქნებიან, მათ შეძლებენ დაიკავონ ისეთი ნიშა, რომელიც დღეს არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უკავია. თუ ოპოზიცია ჩასაფრებულია, რომ ხელისუფლების შეცდომებზე კრიტიკა დაიწყოს და ფიქრობს, რომ სწორედ ამ გზით შეძლებს ხელისუფლებაში მოსვლას...

– ნაციონალებზე საუბრობთ?

– დიახ, იგივე ნაციონალები, ეს ნიშნავს იმას, რომ მათი ერთადერთი მიზანი არის მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლა და სწორედ ამიტომ ურჩევნიათ, რომ ქვეყანა არ შედგეს. ვფიქრობ, ასეთი ოპოზიციური სპექტრი საზოგადოებისთვის მისაღები არ უნდა იყოს. კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოება ისეთ ძალას უნდა ეძებდეს, რომელსაც მხარს დაუჭერს მარტო იმიტომ, რომ მასში პოტენციალს დაინახავს.

– ყოფილმა პრემიერმა კვლავ გაახსენა ირაკლი ალასანიას ზუგდიდში წაგებული არჩევნები, განაცხადა, რომ წაგება ალასანიას სუსტი მენეჯმენტის ბრალი იყო...

– არ ვიცი, რამდენად შეიძლება სამეგრელოში დამარცხება მენეჯმენტს დავაბრალოთ, რადგან სამეგრელოში ისეთი მძიმე მდგომარეობა იყო, სადაც დემოკრატიული არჩევნების ნიშანწყალი არ იყო, ისევე როგორც სამცხე-ჯავახეთში. დადებითი შედეგისთვის რეალურად სხვა ფაქტორები იყო საჭირო. თუმცა შეიძლება, ივანიშვილს სხვა ინფორმაციებიც აქვს, რომელიც მე არ ვიცი, ვერ გეტყვით... იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ სამეგრელოში არჩევნების მოგება ყველას გაუჭირდებოდა. დიპლომატია რომ ირაკლი ალასანიამ ჩემზე უკეთ იცის, ამას ვაღიარებ, საერთაშორისო დიპლომატიას ვგულისხმობ, თორემ პოლიტიკური დიპლომატია სხვა თემაა...

– და უკეთ გესმით თქვენ, რადგან უმრავლესობაში დარჩით...

– არა, ეს არ მიგულისხმია. ეს დამოკიდებულია ადამიანის თვისებებზე.

– ის, რომ უმრავლესობაში დარჩით, ყოფილ თანაპარტიელებთან ურთიერთობაში პრობლემას გიქმნით?

– ზოგთან მექმნება პრობლემა და ზოგთან – არა, ეს უკვე სუფთა ადამიანობის საკითხია.

– ანუ არის მაინც პრობლემები?

– იცით, ეს მათი პრობლემაა. მე, მაგალითად, წლების მანძილზე ვმეგობრობდი პალიკო კუბლაშვილთან და არც ახლა ვმალავ, რომ მასთან ვმეგობრობ. ის არის ჩემი მეგობარი და მთელი ამ 8 წლის განმავლობაში იყო „ნაციონალურ მოძრაობაში“. ჩვენ უბრალოდ ერთი პირობა გვქონდა დადებული მთელი ამ წლების განმავლობაში, რომ როცა სადმე, საერთო მეგობრების წრეში ერთად მოვხვდებოდით, პოლიტიკაზე არ უნდა გველაპარაკა. ჩვენ ვიცავდით ამ პირობას. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები უფრო ღირებულია, ვიდრე პირადი ურთიერთობები, მიმაჩნია, რომ იმ ადამიანს სერიოზული პრობლემა აქვს. მაშინ როდესაც ანტიდისკრიმინაციულ კანონს ვიღებთ, ვსაუბრობთ იმაზე, რომ განსხვავებული აზრებისა და თვისებების მქონე ადამიანი არ შეიძლება იყოს განდევნილი, ამ ყველაფრის შემდეგ შავკანიანს რომ დაინახავ და გვერდზე გაიწევი, ეს შენი პრობლემაა. ბუნებრივია, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ვინმეს დევნა მოხდეს პოლიტიკური ნიშნით, მაგრამ თუ „თავისუფალი დემოკრატები“ რევანშის მოწყობას გადაწყვეტენ იმის გამო, რომ მე განსხვავებული მოსაზრება გამოვთქვი...

– ხედავთ ამის ნიშნებს?

– არა, არ არის ამის ნიშნები, მაგრამ ეს პოლიტიკაა ხომ? მათ თავისი მიზნები აქვთ, რა მეთოდებით შეეცდებიან ამ მიზნების მიღწევას, პიროვნულ ურთიერთობებს ვისთან როგორ დაალაგებენ, ეს მათი პირადი საქმეა. მე დღესაც ვთვლი, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორი და ადეკვატური იყო. თუ ვინმე მეტყვის, რომ სწორად არ მოვიქეცი, შემიძლია იგივე არგუმენტებით ვესაუბრო, როგორც ეს გავაკეთე.

– დაგჭირდათ არგუმენტების მოყვანა და მტკიცება, რომ თქვენი გადაწყვეტილება სწორი იყო?

– მე მქონდა შეხვედრა ირაკლი ალასანიასთან და ირაკლი ჩიქოვანთან. ადამიანურად გავიარეთ ეს საკითხი. ბუნებრივია, მათ აინტერესებდათ, რა იყო ჩემი გადაწყვეტილების მთავარი არგუმენტი, რატომ არ წავედი მათთან ერთად ოპოზიციაში. მე მათ ადამიანურად ავუხსენი ყველაფერი და ვფიქრობ, ადამიანურად უნდა გაიგონ ეს ყველაფერი. თუ მათთვის პოლიტიკური კონიუნქტურა და პოლიტიკური მიზანი უფრო მაღლა დგას, მაშინ ვფიქრობ, ისინი თავის პოლიტიკურ ამოცანასაც ვერ გაართმევენ თავს.

„თუ მათთვის პოლიტიკური კონიუნქტურა და პოლიტიკური მიზანი უფრო მაღლა დგას, მაშინ ვფიქრობ, ისინი თავის პოლიტიკურ ამოცანასაც ვერ გაართმევენ თავს“

გედევან ფოფხაძე ყოფილ თანაგუნდელებზე: „ეს პოლიტიკაა ხომ? მათ თავისი მიზნები აქვთ, რა მეთოდებით შეეცდებიან ამ მიზნების მიღწევას, პიროვნულ ურთიერთობებს ვისთან როგორ დაალაგებენ, ეს მათი პირადი საქმეა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეკონომიკურ გუნდს პარლამენტში დაიბარებენ



2008 წლის 16 მარტი - 1.55.
2008 წლის 3 აპრილი - 1.44.

2009 წლის 3 იანვარი 1.4
2009 წლის 11 იანვარი 1.66

2012 წლის იანვარი -1.66. დეკემბერი 1.65.

2013 წლის იანვარი - 1.68. დეკემბრის ბოლოს ერთი დოლარის ფასი 1.72-ს გაუტოლდა.

2014 წლის 16 იანვარი -1,7578 ნიშნულზე დაეცა. დეკემბრისთვის ვარდნა უკვე 1.80 ნიშნულზეა...

გიორგი ქადაგიძე: „ქვეყნის ფინანსურ და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება“

ხათუნა მგალობლიშვილი

სრულიად საქართველო პასუხს ნოდარ ხადურს სთხოვდა, მაშინ როდესაც რეალურად პასუხისმგებელი გიორგი ქადაგიძე, ანუ ეროვნული ბანკი იყო. ქადაგიძემ კი კომენტარი თითქმის მთელი კვირის დაგვიანებით გააკეთა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა საკუთარი განცხადება იმით დაიწყო, რომ მსგავს სიტუაციებში აღნიშნული უწყება, როგორც წესი, კომენტარებს არ აკეთებს ხოლმე...

ბუნებრივია, როდესაც ეროვნული ვალუტის კურსზე და მით უფრო პრობლემაზეა საუბარი პასუხისმგებლობისგან ვერანაირად ვერ განთავისუფლდება ფინანსთა მინისტრი, თუნდაც იმიტომ, რომ ის მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრია. სწორედ ამიტომ იქცა ხადურის სიტყვები რამდენიმედღიანი განსჯის საგნად, როდესაც მან განაცხადა, ლარის კურსი მე არ მეხება, ჩემს კომპეტენციას სცილდებაო. ხადურის განცხადებას ოპოზიციის უსწრაფესი რეაქცია მოჰყვა. ნაციონალებმა მისი გადაყენება მოითხოვეს. როგორც პოლიტიკურ, ასევე ექსპერტების სფეროში მოთხოვნა სერიოზულად არავის აღუქვამს. ნაციონალები პოლიტიკური თამაშის წესებს მიჰყვებიან, თუმცა ფაქტია, რომ პარლამენტში ეკონომიკური გუნდის გამოძახება კვლავ დღის წესრიგში დგას. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ონოფრიშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური გუნდი პრემიერს შეხვდა, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელს, ყოველდღიური კონსულტაციები აქვს როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, ასევე შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებთან, საჭიროდ მიაჩნია, რომ მინისტრებმა არსებულ კითხვებს მაინც უპასუხონ.

პასუხები საჭიროა მით უმეტეს მაშინ, როდესაც მთავრობაში კონკრეტული საკითხის მიმართ ერთიანი დამოკიდებულება არ არის. პრობლემაზე საუბრისას ბუნებრივია, ყველაზე მნიშვნელოვანი და საზოგადოებისთვის ღირებული ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებაა. გიორგი ქადაგიძის განმარტებით, თუ სიტუაცია კიდევ უფრო უარყოფით სახეს მიიღებს, ეროვნული ბანკიცა და მთავრობაც ყველა თავის ბერკეტს აამოქმედებს, თუმცა ქადაგიძე სიტუაციის გაუარესებას გამორიცხავს და აცხადებს, რომ სიტუაცია უკვე მიდის დასტაბილურებისკენ.

გიორგი ქადაგიძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:

– მიუხედავად იმისა, რომ გაცვლითი კურსის მერყეობა ზოგიერთ სასაქონლო ჯგუფზე აისახება, ჩვენ არ ველოდებით დაგეგმილზე მეტ ინფლაციურ ზეწოლას. ამის მიზეზი კი არის ორი. პირველი – ისეთ სასაქონლო ჯგუფებზე, როგორიცაა ნავთობი, ხორბალი, შაქარი, ზეთი, მსოფლიოს მასშტაბით ფიქსირდება ფასების მნიშვნელოვანი კლება. მეორე მიზეზი, რის გამოც მნიშვნელოვან ინფლაციურ ზეწოლას არ ველოდებით, არის მონეტარული აგრეგატების ფაქტორი. უფრო მარტივად რომ გითხრათ, ფულის მასა, შარშანდელისგან განსხვავებით, არ გაზრდილა. მეტიც, მთავრობასთან კონსულტაციის შედეგად, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ დეკემბერში ბიუჯეტის დეფიციტურ ხარჯვას ადგილი არ ექნება. ეს კიდევ უფრო შეასუსტებს ზეწოლას ინფლაციაზე. მინდა აღვნიშნო, რომ ქვეყნის ფინანსურ და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ამის გარანტია ეროვნული ბანკი. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს ამის შესახებ და არა მხოლოდ გვითქვამს, საქმით დაგვიდასტურებია გაცილებით მნიშვნელოვანი შოკების დროს. როგორც წესი, ცენტრალური ბანკები კომენტარს არ აკეთებენ ვალუტის მოკლევადიანი ინფლაციის დროს, ვინაიდან სახეზეა მნიშვნელოვნად გაუარესებული ეკონომიკური მოლოდინები. ეროვნული ვალუტის გაუფასურებას აქვს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებით გამოწვეული მიზეზები. ბოლო 7 წლის განმავლობაში ისტორიულად გამყარებულ დოლართან ერთად ადგილზე გვაქვს შიდა სავალუტო შემოდინებების ძირითადი წყაროების შესუსტება. ამავე დროს, ჩვენი გათვლებით, ეს დისბალანსი უკვე აღმოფხვრილია და უკვე ასახულია ლარის გაცვლით კურსში. რაც შეეხება იმ პროცესებს, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებით ბოლო დღეების განმავლობაში, ის დიდწილად გამოწვეულია ბაზრის მონაწილეების აჟიოტაჟური ქცევით, რაც ზოგადად დამახასიათებელია ამ დროს ფინანსური ბაზრებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ დავინახავთ კიდევ უფრო გაზრდილ ნეგატიურ მოლოდინებს, რისკებს, განვახორციელებთ მნიშვნელოვან და მოცულობით ინტერვენციებს ჩვენს ხელთ არსებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებით, იმისთვის, რომ სიტუაცია იყოს სტაბილური. ხოლო დასკვნის სახით, რა თქმა უნდა, უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ჩვენი გამოწვევის წამალი და რეცეპტი არის მხოლოდ ერთი – ეს არის სწრაფი ეკონომიკური ზრდა.

ლარის კურსთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებთან და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა გამართა. მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებით, ხელისუფლება თანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებს და ფინანსური სტაბილურობისა თუ ლარის კურსის ინფლაციასთან დაკავშირებით საფრთხეს გამორიცხავს. ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის განცხადებით, ლარის კურსზე, შიდა ფაქტორებთან ერთად, გავლენას გარე ფაქტორებიც ახდენს.

გიორგი კაკაურიძე, ფინანსთა მინისტრის მოადგილე:

– შემიძლია ვთქვა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში კურსის მერყეობა მათ შორის, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში, იქნება ეს თურქეთი, უკრაინა, რუსეთი თუ სხვა, ბუნებრივია, იმოქმედებს ჩვენს ეკონომიკაზე და ასევე, საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე. რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობას, რაც უფრო ბევრ ქვეყანასთან გვექნება, მით უფრო კარგი იქნება ეს ჩვენი ქვეყნისთვის.

– რატომ განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, რომ ის არ არის პასუხისმგებელი ლარის კურსთან დაკავშირებით და ეს საკითხები სცილდება მის კომპეტენციას?

– ფინანსთა სამინისტრო ვერასდროს აიღებს პასუხისმგებლობას ლართან მიმართებაში, რადგან ფინანსთა სამინისტროს არ გააჩნია არანაირი ბერკეტი, მართოს ლარის კურსი და არც არის ფინანსთა სამინისტროს მოვალეობა. არანაირი გავლენა არ ჰქონია ბიუჯეტის შესრულებას ლარზე, დეკემბრის პროგნოზები რაც არის, არც მას ექნება უარყოფითი გავლენა ლარზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელის განცხადებით, ლარის კურსის მერყეობა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემებით არის გამოწვეული, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უცხოეთიდან გადმორიცხული ფულადი დახმარებების შემცირებაა.

დავით ონოფრიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელი:

– ზოგადად ლარის კურსის ცვლილება, რომელიც ეკონომიკაზე გავლენას ახდენს, ბუნებრივია, მთავრობაში მთელ ეკონომიკურ გუნდს ეხება. ლარზე ფისკალური ნაწილის გავლენა თუ არის, ბუნებრივია, ეს ფინანსთა სამინისტროს ეხება, ზოგადად, ეროვნულ ბანკს უფრო ინფლაციურ თარგეტირებაზე აქვს პასუხისმგებლობა. ყველამ რომ თქვას, ლარის კურსი მე არ მეხებაო, არც ეს იქნება სწორი. ლარის კურსის ცვლილება იმ ეკონომიკური პრობლემების გამოხატულებაა, რომელიც არის ქვეყანაში. დოლარის მასა ნაკლებია, ვიდრე ლარის. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ ქვეყანაში სათანადო ინვესტიციები არ შემოდის, ასევე შემცირდა ფულადი გადმორიცხვები უცხოეთიდან. როგორც წესი, ნლიურად მილიონ დოლარზე მეტია ხოლმე გადმორიცხვა, ბოლო ორი თვის განმავლობაში გადმორიცხვები კი შემცირდა და ამასაც აქვს თავისი მიზეზი: ქვეყნები, საიდანაც თანხა ირიცხება, იქნება ეს რუსეთი თუ სხვა, იქაც ეკონომიკური პრობლემებია და ნალხი ვეღარ რიცხავს იმდენს, რამდენსაც ადრე რიცხავდა, ასევე, შემცირებულია ტურისტების რაოდენობა, შემცირებულია ექსპორტი და გაზრდილია იმპორტი. ეს ყველაფერი მოქმედებს საგადამხდელო ბანკზე.

– ექსპერტები ამბობენ რომ მთავრობა არ იყენებს საკუთარ ბერკეტებს იმისთვის, რომ პროცესები შეაჩეროს, რადგან მას ეს აწყობს კიდეც... მიზეზად ბიუჯეტის შევსება სახელდება...

– ბიუჯეტის თვალსაზრისით ლარის კურსის გაუფასურება ვერაფერი დახმარება ვერ იქნება, ამიტომ ეს ფაქტორი ნამდვილად არ არის განსახილველი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადად დოლარი ყველა ვალუტასთან მიმართებაში მყარდება. ბუნებრივია, ამ მხრივ, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნებოდა. თუმცა, გარე ფაქტორების გარდა, შიდა ფაქტორებიც ახდენს ზეგავლენას, რაც უკვე ჩამოგითვალეთ.

– ხომ არ იგეგმება ეკონომიკური გუნდის პარლამენტში მოწვევა?

– ამაზე ვიმსჯელებთ და კონკრეტულ გადაწყვეტილებას გავავრცელებთ. მე პირადად მაქვს კონსულტაციები როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, ასევე ეკონომიკური გუნდის მინისტრებთან, თუმცა მიმაჩნია, რომ არ იქნება ურიგო ეკონომიკური გუნდის პარლამენტში მოსვლა.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

გეგა ფალავანდიშვილი

paparazzi

ნინა წკრიალაშვილი

ია ფარულავა

ზალიკო ბერგერი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

სალომე ღვინიაშვილი

მარიკო ლეჭავა

ნინა სუბლატი მეუღლესთან ერთად

ვლადიმერ ბოისა

მარიკო ლეჭავა და ნუკა კვალიაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უსაფრთხოება თუ ადამიანის უფლებები

დასავლეთი ოქროს შუალედს ეძებს

ქეთი ხატიაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციები იმ კანონის გასაჩივრებას აპირებენ, რომელსაც პრეზიდენტმა ვეტო ორჯერ დაადო და ბოლოს ისევ თავადვე მოაწერა ხელი. საქმე ეხება ფარული მოსმენების შესახებ კანონს. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ისინი სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანენ. ექსპერტი ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სარჩელის მომზადება საკმაოდ რთული იქნება. მისი განმარტებით, თუკი სარჩელი ადამიანის უფლებათა დარღვევის კონტექსტში მომზადდება, მაშინ ის ნორმატიული აქტი უნდა მოიძებნოს, რომელიც კონსტიტუციის ნორმას არღვევს. თუ სარჩელი შეაქვს ადმინისტრაციულ ორგანოს, მაშინ კომპეტენციათა დავაზე შეიძლება იყოს საუბარი. ასე რომ, მთავარია, დადგინდეს, რომელ მუხლს ეწინააღმდეგება და რაში გამოიხატება დარღვევა, ეს კი საკმაოდ რთული იქნება, – აღნიშნავს ექსპერტი ლევან ალაფიშვილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის განმარტებით:

– წინასწარი პოზიციის დაფიქსირება სასამართლოსა და მოსამართლეებს არ შეუძლიათ. ვნახოთ, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები. სასამართლო თავის სიტყვას იტყვის, როგორც ყოველთვის, ობიექტურად და კანონზე დაყრდნობით.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გაცილებით მარტივი იქნება ქუჩის აქციების მოწყობა და ხელმოწერების შეგროვება. სხვათა შორის, ხელმონერები დეპუტატებსაც შეუძლიათ შეაგროვონ. 50-ზე მეტი დეპუტატის ხელმოწერა საკმარისია იმისთვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ. თუმცა, როგორც აღინიშნა, პარლამენტი კანონის მიღების შემდეგ რეფორმებისკენაც გადადგამს ნაბიჯებს. ამის შესახებ პირველად პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა სწორედ ფარული მიყურადების შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს ისაუბრა (კარგია, როცა პარლამენტის თავმჯდომარე პოზიციას ნათლად აფიქსირებს), როცა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მის მიერვე არჩევნების წინ შემუშავებული პროგრამა შეახსენა. მისი განმარტებით, „ქართული ოცნების“ პროგრამა უნდა განხორციელდეს და შსს ორად გაიყოს.

ეს კანონი ერთგვარი წითელი ხაზი გახდა თითქოს პოლიტიკაში. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ პრეზიდენტის პირველი ვეტო გახდა სერიოზული პრობლემა და აქ დავით უსუფაშვილი სამართლიანი იყო – ვადის შემცირებით პარლამენტს კონსენსუსის მისაღწევად დრო თითქმის აღარ დარჩა. ასე რომ, ძირითადი საკითხი – ბალანსი ადამიანის უფლებათა დაცვასა და უსაფრთხოებას შორის ბევრისთვის ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. თუმცა, ეს ის თემაა, რომელზე პასუხიც ჯერ დასავლეთშიც ვერ იპოვეს.

სად გადის ზღვარი ქვეყნის უსაფრთხოებასა და პირად ცხოვრებას შორის? ოქროს შუალედი ჯერ ვერავინ იპოვა. დასავლეთში ამ თემაზე დიდი და, რიგ შემთხვევაში, სკანდალური დებატებიც კი მიმდინარეობს. განსაკუთრებით ამერიკის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, როცა ძალოვანმა უწყებებმა მყარად აიღეს ხელში სადავეები. მაშინ ტერორიზმთან ბრძოლის მიზეზით შეერთებულ შტატებში კანონმდებლობაც კი შეიცვალა და უსაფრთხოება პირად ცხოვრებაზე მაღლა დადგა. ასეთივე ტენდენცია გაჩნდა ევროპაშიც. ტერორიზმთან ბრძოლამ ადამიანის უფლებები ლამის შეიწირა კიდეც. ახლა საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ, ახალი ბალანსი იპოვონ და ადამიანის უფლებებს მეტი წონა შესძინონ.

რამდენიმე ხნის წინ გაეროში ამ საკითხზე სპეციალური მოხსენებაც კი გამზადდა. თემა ასეთი იყო: ადამიანის უფლებათა დაცვა ტერორიზმთან ბრძოლის პირობებში. მოხსენება ყურადღებას სწორედ ინტერნეტზე მასიურად თვალთვალის პრობლემაზე ამახვილებს. მომხსენებელი ბენა ემერსონი მიიჩნევს, რომ ასეთი მასიური კონტროლი დაუშვებელი და მიუღებელია. ინტერნეტსივრცის კონტროლი სპეციალური პროგრამის Prism-ის მეშვეობით ხდება, რომელიც ამერიკულმა სპეცსამსახურებმა სწორედ იმისთვის შეიმუშავეს, რომ ინფორმაციის მასიური მოგროვება განეხორციელებინათ და ტერორიზმთან ეფექტურად ებრძოლათ.

სასამართლო თავის სიტყვას იტყვის, როგორც ყოველთვის, ობიექტურად და კანონზე დაყრდნობით

თუმცა, მოხსენების მიხედვით, ასეთი შპიონური პროგრამები უხეშად არღვევს ადამიანის უფლებას, იქონიოს საიდუმლო პირადი მიმოწერა ინტერნეტსივრცეში. ემერსონი დარწმუნებულია, რომ ტერორიზმთან საბრძოლველად შემუშავებული სპეციალური პროგრამები ჩრდილს აყენებს ადამიანის უფლებათა დაცვის იმ ნორმებს, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს მიერ არის შემუშავებული და აღიარებული. ამგვარად, გაეროს დოკუმენტში ნათქვამია, რომ სპეცსამსახურების მოქმედებები საერთაშორისო ნორმებისთვის გამოწვევაა.

გაეროს დოკუმენტში ნათქვამია, რომ სპეცსამსახურების მოქმედებები საერთაშორისო ნორმებისთვის გამოწვევაა...

თავის მხრივ, სპეცსამსახურები ქვეყნის უსაფრთხოებას ეყრდნობიან და აღნიშნავენ, რომ, როცა საქმე ეხება ტერორიზმს, ქვეყნის უსაფრთხოებას, ქვეყანაში სტაბილურობას, იქ თამაშის წესები არ არსებობს, ამიტომაც სპეცსამსახურებსაც უწევთ საგანგებო ზომების მიღება. მით უფრო, რომ სწორედ ისინი აგებენ პასუხს უსაფრთხოებაზე.

სკანდალურმა ედვარდ სნოუდენმა ევროპარლამენტის წინაშე განაცხადა, რომ, ასეთი მასიური თვალთვალის მიუხედავად, ამერიკამ მაინც ვერ შეძლო თავიდან აერიდებინა 2013 წლის ბოსტონის მარათონზე აფეთქება და ვერც 2009 წლის ინციდენტი აიცილა თავიდან. მაშინ ევროპიდან შეერთებული შტატებისკენ მიმავალ თვითმფრინავში ტერორისტები აღმოჩნდნენ, 290 მგზავრის სიცოცხლე მხოლოდ ტერორისტების გამოუცდელობამ იხსნა აფეთქებისგან.

სნოუდენმა გაზეთებს Washington Post-სა და Guardian-ს 200 ათასზე მეტი საიდუმლო მასალა გადასცა. თუმცა, სპეცსამსახურები, და არამხოლოდ ამერიკის, ევროპული ქვეყნებისაც, დარწმუნებულები არიან, რომ მასიური თვალთვალი მხოლოდ პროფესიული მიზნებისთვის გამოიყენება. ასე რომ, ამ თემაზე დავა და კამათი მხოლოდ საქართველოში არ მიმდინარეობს. და დასავლეთშიც მხოლოდ ერთი გასაღები და ერთი მაკონტროლებელი არსებობს. საქართველოში ახალი ველოსიპედების გამოგონება საერთოდ უყვართ ხოლმე. თუმცა, ველოსიპედს ისევ რეფორმები სჭირდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯეიმს აპატურაი: „უფრო მეტად იქნება საქართველო წარმოდგენილი NATO-ში და NATO საქართველოში“

ქეთი ხატიაშვილი

თითქოს დასავლეთისკენ მივდივართ და თითქოს კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს, თუმცა პოლიტიკოსები მაინც ცდილობენ, პასუხისმგებლობის მიღმა დარჩნენ. თუკი დასავლეთში ამა თუ იმ პოლიტიკის ან ჩინოვნიკის მისამართით კითხვები ჩნდება, ის პოლიტიკას ან პოსტს ტოვებს და მიდის, აღარაფერს ვამბობ სკანდალებზე, რომელსაც, მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტების კარიერაც კი შეუწირავს.

„ჩემი გუნდი კარგად ხედავს, რომ თავდაცვის სამინისტრო სწორი მიმართულებით მუშაობს“

მაგრამ საქართველოში ყველაფერი სხვაგვარადაა. პირველად კლასიკა ამ საკითხში ფრიდონ ინჯიამ აჩვენა. ის პარლამენტის კორუფციული კომისიის დასკვნის შემდეგ გადააყენეს და რომ არ დაეჭირათ, „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი გახდა და იმ წუთიდანვე დაიწყო პოლიტიკურ დევნაზე საუბარი. შემდეგ და შემდეგ მას სხვებმაც მიბაძეს.

მართალია, ამ ტენდენციამ დაიკლო, მაგრამ პრეცედენტები ახლაც შეინიშნება და კლასი ახლა ირაკლი ალასანიამ გვაჩვენა. საკმარისი იყო, მისი უწყების მაღალჩინოსნები დაეჭირათ, რომ მაშინვე პოლიტიკურ დევნაზე ალაპარაკდა. სხვათა შორის, ამ მხრივ, სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის პატიოსნება ნამდვილად დასაფასებელია.

ირაკლი ალასანია ახლა სწორედ პოლიტდევნილის იმიჯის მორგებას ცდილობს. მითმა, რომ საქართველომ კურსი შეიცვალა, არ გაამართლა, ამიტომაც მან ახალი საბაბი იპოვა – კოალიციაში ყველაფერს ერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი წყვეტსო. მაგრამ ახლა მთავარი ალასანიას არასერიოზული მიზეზები აღარ არის.

გასულ კვირას სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური ნარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი საქართველოს თავდაცვის ახალ მინისტრს შეხვდა. მისი განცხადებით, სამინისტრო სწორი მიმართულებით მუშაობს და უელსის სამიტის პაკეტის იმპლემენტაციის პროცესშიც ნატო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს:

– ჩემი გუნდი კარგად ხედავს, რომ თავდაცვის სამინისტრო სწორი მიმართულებით მუშაობს, ნატო-ს სამიტზე საქართველომ ახალი პაკეტი მიიღო, რაც თქვენს ქვეყანას ალიანსში გაწევრიანებაში დაეხმარება. თავდაცვის სამინისტრო ძალღონეს არ იშურებს, რომ პაკეტში განსაზღვრული მიმართულებები განხორციელდეს. ნატო-ს მხარე ამ პროცესში აქტიურად ჩაერთვება. აღნიშნული პაკეტის იმპლემენტაციის პროცესში საქართველოში უფრო მაღალი დონის ვიზიტებიც შედგება. ჩვენ უკვე გამოვყავით ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ და ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის ადგილმდებარეობას განსაზღვრავენ, რა თქმა უნდა, ქართულ მხარესთან ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე. არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის მიზნით საქართველოში უახლოეს მომავალში უფრო მაღალი დონის ვიზიტები შედგება“, – **განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.**

მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, როგორია საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, არამედ ის, რამდენად არის ახლა ნატო მზად გაფართოებისთვის. ერთი მხრივ, ბრიუსელმა პრინციპული ტონით განაცხადა, რომ ის არ აპირებს დაჰყვეს რუსეთის მოთხოვნებს და უარი თქვას ნატოს გაფართოებაზე:

– რუსეთი ვერ მიიღებს ვერანაირ გარანტიას ნატოდან, რომ ორგანიზაცია არ გაფართოვდება, რუსეთი ვერც ვეტოს უფლებას გამოიყენებს, – ეს **სტოლტენბერგის** განცხადებაა.

მეორე მხრივ, ევროპარლამენტის **საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკის განცხადებით:**

– ახლა არ არის დრო, რომ აღმოსავლეთ მეზობლების, როგორიც უკრაინა, მოლდოვა და საქართველოა, ნატო-ში წევრობაზე ვიმსჯელოთ. ნატომ უნდა მოახდინოს კონცენტრაცია კოლექტიური თავდაცვითუნარიანობის გაძლიერებაზე, მისი ტერიტორიის უსაფრთხოებისა და ყველა წევრის საიმედო დაცვის უზრუნველყოფაზე.

მოლდოვის პრემიერმა იურიე ლეანკამ რამდენიმე ხნის წინ სპეციალური განმარტება გააკეთა:

– მოლდოვა არ აპირებს, შეუერთდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს და შეინარჩუნებს იმ ნეიტრალურ სტატუსს, რომელიც კონსტიტუციაშია განერილი.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ პოროშენკომ კი განაცხადა, რომ მისი პრიორიტეტი ჯერ რეფორმებია და შემდეგ უკვე ნატო.

ბუნებრივია, ისინი ითვალისწინებენ უკრაინის კრიზისს და რუსეთის აგრესიას. მოლდოვაში პრემიერის გადაყენება ნეიტრალიტეტის გამო არავის მოუთხოვია. ეს რომ საქართველოს ხელისუფლებას გაეკეთებინა, ეთქვა, ნეიტრალიტეტს ვაცხადებ ან ჯერ რეფორმებს უნდა მივხედოთო, ოპოზიცია ნამდვილ მეორედ მოსვლის მოწყობას შეეცდებოდა. ასეა ხშირად, ჩვენში ურაპატრიოტიზმი უფრო ფასობს, ვიდრე პრაგმატული პოლიტიკა. 90-იანელების მავნე ჩვევა პოლიტიკას იმ დოზით ველარ, მაგრამ მაინც მოჰყვება.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ პოროშენკომ კი განაცხადა, რომ მისი პრიორიტეტი ჯერ რეფორმებია და შემდეგ უკვე ნატო...

აპატურაის განცხადებები ჩვენთან მიმართებაში საკმაოდ ოპტიმისტურად ჟღერს. ახლა მთავარია, საქართველომ პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა შეინარჩუნოს. ამისთვის კი სწორედ ურაპატრიოტიზმის დონე უნდა იყოს რაც შეძლება ნაკლები.

აპატურაის განმარტებით:

– თქვენ ძალიან მალე იხილავთ NATO-ს ექსპერტების გაზრდილ რაოდენობას საქართველოში, რომლებიც გაცილებით ღრმა დეტალებზე ისაუბრებენ ქართულ მხარესთან. ვიხილავთ NATO-ს ძირითად გუნდს, რომელიც ასევე იმუშავებს ქართველ კოლეგებთან. ნახავთ წვრთნების მთელ რიგს, ტრენინგს, სატრენინგო ცენტრის ფუნქციონირების დაწყებას. უფრო მეტად იქნება საქართველო წარმოდგენილი NATO-ში და NATO საქართველოში.

მოლდოვა არ აპირებს, შეუერთდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს და შეინარჩუნებს იმ ნეიტრალურ სტატუსს, რომელიც კონსტიტუციაშია განერილი...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთი დღე სოფო ტორ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოჯელიძესთან ერთად

ფოტო: თინა თუთისანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ჯდება ახალი წელი?

my View

ეკა ჩიკვაიძე

რეპორტაჟი დეზერტირების ბაზრიდან

სულ მალე ქალაქში საახალწლო ფუსფუსი დაიწყება. ახალ წლამდე 24 დღე რჩება და უკვე დროა საახალწლო სუფრის გაწყობაზეც ვიფიქროთ. როგორც აღმოსავლური კალენდარი გვამცნობს, 2015 წელი ლურჯი თხის წელია. ვარსკვლავები ამბობენ, რომ თხას თავი განსაკუთრებით უნდა მოვაწონოთ, ამიტომ მაგიდას აუცილებლად უნდა ამშვენებდეს ბოსტნეულისგან მომზადებული კერძები. თურმე წელს უპირატესობა თევზს უნდა მიანიჭოთ, მაგრამ რა არის ქართული სუფრა ხორცის გარეშე? გოჭის მოყვარულებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც 1 წლამდე გოჭის დაკვლას კრძალავდა, ჯერჯერობით პარლამენტს არ მიუღია, ამიტომ წლევანდელი ახალი წელი გოჭის გარეშე აღარ ჩაივლის და ბაზარში ის ძველებურად გაიყიდება.

ვარსკვლავები იმასაც გვეუბნებიან, რომ 2015 წელი მსუბუქი დესერტების წელიწადია. ტრადიციული ნუგბარიდან სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ჩურჩხელა, ასევე აუცილებელია, რომ მაგიდა ბევრი თხილითა და ხილით იყოს მორთული.

ახალი წლისთვის მზადებას მოსახლეობა წელს დოლარის გაზრდილი კურსით და გაძვირებული პროდუქტით იწყებს. იმისთვის, რომ თქვენთვის პროდუქტების ფასები მოგვეწოდებინა, აგრარულ ბაზარს, როგორც მომხმარებლები ვეწვიეთ.

ტრადიციული ჩურჩხელა და გოზინაყი წელს საკმაოდ ძვირი დაგიჯდებათ. ხარისხიანი ნიგოზის ფასი ბაზარში 24 ლარიდან იწყება და ამბობენ, რომ ახალ წლამდე კიდევ მოიმატებს. ნიგოზის ფასის მომატებამ ჩურჩხელაც გააძვირა. ბაზარში ჩურჩხელის ფასი 1.5 ლარიდან იწყება და 5 ლარამდე ადის. „თუ დამიჯერებთ, ლარნახევრიანი ჩურჩხელა, ჩურჩხელა არ არის. წელს ცოტა ნიგოზი მოვიდა საქართველოში და რადგან ნიგოზი ძვირია, გლეხი ასაღებ ფასს 2,5 ლარს ისეთ ჩურჩხელაზე გეუბნება, რომ არც შეხედავ", - გვითხრა ჩურჩხელის გამყიდველმა. ანუ ხარისხიანი ჩურჩხელა სულ ცოტა 3-4 ლარი დაგიჯდებათ. როგორც იქვე გავიგეთ, ჩურჩხელებს ვაშლის და ქლიავის ნვენშიც აკეთებენ, თუმცა ასეთი ჩურჩხელები ძირითადად საექსპორტო ყოფილა და საზღვარგარეთ საკმაოდ ძვირად გადის. რაც შეეხება თაფლს, მისი ფასი ჯერჯერობით არ გაზრდილა. კილოგრამი 15 ლარი ღირს.

სუფრაზე რომ ბევრი თხილეული იდოს, ესეც საკმაოდ ძვირი დაგიჯდებათ. ადრე თუ ერთი კილო თხილი შეიძლება 4 ლარადაც გვეყიდა, ახალი ფასებით, თხილი 23 ლარი ღირს, წაბლი - 8 ლარი. ყველაზე ძვირი ნუშია, კილო - 30 ლარი ღირს.

ქართული ახალი წლის სუფრა არც ჩირის გარეშე წარმოგვიდგენია, მაგრამ აქაც საკმაოდ გაზრდილ ფასებს გადავაწყდით. ყველასთვის საყვარელი კარალიოკის ჩირი - 15 ლარი ღირს, ხოლო ვაშლის, ქლიავის და სხვა ხილის ჩირების ერთ ასხმას, 3 ლარადაც იყიდით. ყველაზე მეტად ფასი „კურაგას" აქვს მომატებული. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში თუ წელს ნიგვზის დეფიციტს განვიცდით, „კურაგა" მსოფლიოს დეფიციტშია. „მთელ მსოფლიოს „კურაგით" შუა აზია ამარაგებს, მაგრამ წელს არ მოვიდა. შარშან, ასაღები ფასი 7 ლარი იყო და წელს 15 ლარია. რა თქმა უნდა, 15-ლარიან საქონელს 5 ლარი უნდა მოუგო, ამიტომ კილოს 20 ლარში ვყიდი", - გვეუბნება ჩირების გამყიდველი.

გოჭი 80-120 ლარი

ქათამი 4,5 - 15 ლარი

კალმახი 15 ლარი

რადგან ვარსკვლავები გვეუბნებიან, სუფრაზე ბევრი ხილი და ბოსტნეული უნდა იყოსო, ჩვენც მათი ფასების გასაგებად გადავინაცვლეთ და ქართული წარმოების ხილის და ბოსტნეულის ფასები გავარკვიეთ: ფორთოხალი და კარგი ხარისხის მანდარინი - 2.5 ლარი ღირს. ფასი ვაშლსაც მომატებული აქვს. თუ გოლდენის ჯიშის ვაშლი აქამდე 1.5 ღირდა, ახლა 3 ლარი ღირს. ბროწეულს და მსხალსაც კილოს 3 ლარად იყიდით. სოფელ დიღომში მოყვანილი პომიდორი - 8 ლარი ღირს, კიტრიც იგივე ფასში იყიდება. რაც შეეხება მწვანილს, ყველა გამყიდველს ინდივიდუალური ფასი აქვს, ამიტომ მისი ფასი რაოდენობის მიხედვით უნდა განსაზღვროთ.

ახლა მარხვაა და ახალ წლამდე მაინც ხორცეული ნაკლებად იყიდება. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მუხრანის ქათმები ბაზარში 4.5 ლარად იყიდება. რა შეეხება თევზს, მაგალითად, კალმახს - 15 ლარად იყიდით. ინდაური და გოჭი თუ გინდათ, მას ცენტრალური ბაზრის გარდა ვერსად ნახავთ, ამიტომ ჩვენც ცენტრალურ ბაზარში გადავინაცვლეთ.

ინდაურების დახლთან ქალბატონი მაგული დაგვხვდა, ინდაურს 55 ლარიდან 75 ლარამდე ყიდის, სოფლის ქათამიც აქვს, როგორც თვითონ გვითხრა ოჯახში გაზრდილი სოფლის ქათმებიაო და 15 ლარი დააფასა. როგორც ქალბატონმა მაგულიმ თქვა, ინდაურის ფასი ახალ წელს კიდევ მოიმატებს, თუმცა თუ მასთან მივალთ საყიდლებზე, ქათამსაც, ინდაურსაც და გოჭსაც (მისი ახლობლისგან) „კაი" ფასებში გამოგვატანს. ამასობაში გოჭებსაც მივადექით. ეს ხომ ყველაზე საინტერესო და ზოგისთვის ძალიან მტკივნეული თემაა - ახალ წელს გოჭის გარეშე? კანონი, რომელიც 1 წლამდე გოჭის დაკვლას კრძალავდა, 1 დეკემბრიდან უნდა შესულიყო ძალაში, თუმცა, როგორც ჩანს, გადაიფიქრეს. ფაქტია, რომ ბაზარში გოჭები ისევ იყიდება და მათი ფასი 80 ლარიდან 120 ლარამდე მერყეობს. თვის ბოლოს კი გოჭების ფასი მინიმუმ 100 ლარიდან დაიწყება. „თუ აკრძალავენ, ქართველი ხალხი გოჭის მონატრებაში იქნება მთელი ცხოვრება. როგორ შეიძლება გლეხი ამაზე დამოკიდებული არ იყოს? გოჭი უნდა გაყიდოს, რომ შაქარი, პური და სხვა პროდუქტები იყიდოს. ეს გოჭიც რომ გაზარდო, ცოტა სიმინდი გინდა? 1 წლის მერე ეს უკვე ღორი იქნება", - გვითხრა გოჭების გამყიდველმა.

კიდევ ერთი ფაქტი, რაც ბაზარში შემთხვევით გავიგე. საახალწლო სუფრა, ბევრს ვერც ე.წ. „ხალადეცის" გარეშე წარმოუდგენია. ზოგ ოჯახში მისი გაკეთება ერთგვარ ტრადიციადაც არის ქცეული. ვისაც გაკეთება ეზარება და ყიდვას აპირებს, გაითვალისწინეთ! „ხორცი რომ ძველდება, წვავენ და იმით აკეთებენ ხალადეცს. რა გგონიათ, სუპერმარკეტებში ხარისხიანია? სუპერმარკეტებშიც აქედან მიაქვთ, ყველაფერი ნაგავი იქ მიდის". - გვითხრა ჩუმად ერთ-ერთმა გამყიდველმა.

ჩურჩხელა 1,5 - 5 ლარი

ნიგოზი 24 ლარიდან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელენე კალანდაძე ქმარ-შვილზე პირველად ალაპარაკდა

my View
თამარ გონგაძე

ელენე კალანდაძე დედა გახდა. ახლადგამომცხვარ დედას ამ თემაზე საჯაროდ არ უსაუბრია. ის თავის მეორე ნახევარზეც დუმდა. საგულდაგულოდ გაასაიდუმლოვა ნაუცბათევი ქორწინება. ყვითელმა პრესამ ელენეს ქმრის ვინაობის გაგება მოახერხა მხოლოდ. ცოტა ხანი ჩემი პირადი არავის გავანდე, ჩემთვის შევინახეო, ამბობს. ამდენად ექსკლუზიურად „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის მუსიკალური პროექტის – „ერთი-ერთში“ გამარჯვებული ცხოვრების ყველაზე ლამაზ სიახლეებზე ყვება.

ეს 25 წლის ელენეს მეორე ქორწინებაა. მისი პირველი ქმარი ნოდარიკო ხუციშვილი იყო, გიო ხუციშვილის უფროსი ვაჟი. წყვილს დაქორწინებიდან ძალიან მალე დაენგრა ოჯახი. დღეს არანაირი კონტაქტი არ აქვთ. როგორც ელენე ამბობს, არც კი ახსოვს მისი არსებობა. ოთო ლეჟავასთან ურთიერთობა მეგობრობით დაიწყო. რამდენიმე თვეში წყვილი მიხვდა, რომ ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი. ამაში ნეპალში გამგზავრებამ დაარწმუნათ. ერთად ცხოვრებამ გადაწყვეტილების მიღება დააჩქარა. დღეს უკვე პატარა ლილის მშობლები არიან. ლილი 13 ოქტომბერს გაჩნდა. მის დაბადებას მამა და ბებია დაესწრნენ. გოგონა უკვე გაქრისტიანდა კიდეც. მისი ნათლია სოფო ტოროშელიძეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პატარას სხვა გზა არ დაუტოვეს, ის აუცილებლად იმღერებს. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთელი ცხრა თვის განმავლობაში ელენე აქტიურად მღეროდა,

„არ ვიცი, როგორ გადმოვცე ის ემოცია ლილი რომ პირველად გულზე დამასვეს. პალატაში რამდენიმე ადამიანი იყო, მაგრამ ლილისა და ოთოს გარდა ველარავის ვხედავდი. ტირილისგან ჩავბჟირდით მეც და ოთოც“

„ნეპალში მოგზაურობა იყო გადამწყვეტი. თანაცხოვრებისას მივხვდი, რომ ზუსტად ის ადამიანია, რომელიც ყველაფერს გამიგებს. ის იყო ორკვირიანი ზღაპარი“

„თამამად ვამბობ, რომ გვერდში მაგარი მეუღლე მყავს“

EXCLUSIVE

„თანაცხოვრებისას ყველაზე უკეთ იცნობ ადამიანს. ჩვენ ერთად ვიცხოვრეთ და მივხვდით, რომ უბრალოდ, ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილები“

„გიჟდება ისე უხარია, მე რომ მომღერალი ვარ. სცენაზე პირველად რომ დაგინახე, ეგეთი ელენე შემიყვარდი, ამიტომ არ უნდა გაჩერდე არასდროსო, მეუბნება“

ლილის ამღერება არავის გააოცებს. ჯერჯერობით ფრთხილი დედა ჩვილის ფოტოების გამოქვეყნებისგან თავს იკავებს.

ლილი

ელენე კალანდაძე: მე და ჩემს მეუღლეს ეს სახელი ჩვენ-ჩვენთვის მოგვწონდა და თან ისე, რომ ერთმანეთს არ ვეუბნებოდით. ძველებური, ძველმოდური და გოიმური სახელიაო რომ არ ეთქვა, ბავშვისთვის რის დარქმევას ვფიქრობდი, არ ვამხელდი. ერთხელ მეუღლე მეუბნება, ერთი სახელი მომწონს და არ ვიცი, მოგეწონება თუ არაო. ლილი რომ დამისახელა, გავგიჟდი. ასეთ დამთხვევას არ ველოდი. ოთო დაესწრო შვილის გაჩენას. მე არ დამიძალებია. ამ დროს ქალი სხვანაირია, არ არის მისი ყურება სასურველი და ამას როგორ ვთხოვდი. მე ოთოს ვუთხარი, არ ვაპირებ მშობიარობის რთულად გადატანას-მეთქი. შემართული და ძლიერი ვიყავი. ვიცოდი, რომ არ ვიწვალებდი. და როგორც განვეწყე, ისე იყო ყველაფერი. ლილი უპრობლემოდ გავაჩინე. ასეთს რომ მიყურებდა, თვითონაც ძლიერად იყო. ორსულობაზეც ასე განვეწყვე, თავს ვეუბნებოდი, ასეთ ყველაზე ლამაზ პერიოდში – ან ტონუსმა ან ტოქსიკოზმა რატომ უნდა შემაწუხოს-მეთქი? მართლაც არაფერს შევუწუხებივარ, ვერც ვიგრძენი ორსულობა. მხოლოდ 15 კილო მოვიმატე. მთელი ცხრა თვე სცენაზე ვიყავი. ამდენს ნუ ხტუნაობ, ცოდოა ბავშვიო, ბოლოს უკვე მაფრთხილებდნენ.

არ ვიცი, როგორ გადმოვცე ის ემოცია ლილი რომ პირველად გულზე დამასვეს. რაც მახსოვს გადმოვცემ – პალატაში რამდენიმე ადამიანი იყო, მაგრამ ლილი რომ მომიყვანეს, მისი და ოთოს გარდა ველარავის ვხედავდი. ამ ორმა ადამიანმა ისე გადაჩრდილა ყველა და მათ შორის დედაჩემიც, რომ პალატაში მხოლოდ ისინი იყვნენ ჩემთვის. მხოლოდ ქმარს და შვილს ვხედავდი. ძალიან ემოციური მომენტი იყო. ტირილისგან ჩავბჟირდით მეც და ოთოც.

არ შევცვლილვარ, ზუსტად იგივე ვარ, რაც ვიყავი – გიჟური, მხიარული, გადარეული. მაგრამ ეს ბავშვი მაგიჟებს. ცხოვრება სულ სხვანაირად მიდის.

არ მინდა მომღერალი იყოს, თუმცა ვნახოთ, დაანათლა თუ არა ნათლიამ სიმღერის ნიჭი. რატომ უნდა გავჩერებულიყავი? ძალა შემწევდა, ენერგია მქონდა. ვფიქრობდი, რომ დედის ასე კარგად ყოფნა მუცელში პატარა გოგოს ესიამოვნებოდა.

ლილი მამის ასლია. მომწონს, რომ მამას ჰგავს. ოთო ძალიან კარგი მეორე ნახევარია და ზუსტად ვიცოდი, რომ კარგი მამა იქნებოდა. მას შემდეგ რაც გავიგეთ, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, დავგეგმეთ როგორ აღგვეზარდა პატარა. ძიძის გარეშე დამოუკიდებლად ვზრდით კიდეც. თავს კარგად ვართმევთ. ასე ვფიქრობ, ლილის აღზრდა კარგად გამოგვდის. მე კი ალლო ადვილად ავუღე, მაგრამ ვფიქრობ, რომ შვილის აღზრდა მართლა რთულია.

ვუმღერი ყველაფერს, ქართულს, უცხოურს. რეპერტუარი ამოვწურე და უკვე რეკლამების საუნდთრეკებზეც გადავედი. მშვიდ, გიჟურ – ყველანაირ სიმღერას ვუმღერი. მინდა ბაია იყოს ცოცხალი. სულ ველაპარაკები. თვითონაც ბევრს ვკითხულობ ბავშვის აღზრდაზე არსებულ ლიტერატურას.

ოთო

ოთო ლუდის ფესტივალზე გაიცნო. ურთიერთობა მეგობრობით დაიწყო.

„ოთო ლეჟავა ჩემი ქმარი თუ გახდებოდა ვერ წარმოვიდგენდი, ახლა ამაზე მეცინება კიდეც. როცა პროექტში „ერთი-ერთში“ ვიყავი, მაგ დროს „გადაწყდა“, რომ მხოლოდ მეგობრები არ ვიყავით. ერთი მზერით მივხვდი, რომ ჩვენი მეგობრობა აღარ გამოდიოდა. იმდენად საინტერესო თავისუფალი აზროვნების ადამიანია, რომ უცებ დავახლოვდით. ადვილად შევეწყვეთ ერთმანეთს. პროექტში ჩემს გამარჯვებაში მან დიდი წვლილი შეიტანა. ლაივებზე არ მოსულა, შოუს არ დასნრებია, მაგრამ მისი მხარდაჭერა სულ მქონდა. მერე ვნახე ვიდეოჩანაწერი, სადაც ასახულია, ჩემი გამარჯვების წუთებით რა ბედნიერი გახდა. გიჟდება ისე უხარია, მე რომ მომღერალი ვარ. სცენაზე პირველად რომ დაგინახე, ეგეთი ელენე შემიყვარდი, ამიტომ არ უნდა გაჩერდე არასდროსო, მეუბნება. ამას რომ ქმარი გეუბნება, ძალიან მაგარი გრძნობაა.

მერე ნეპალში გავემგზავრეთ. ეს მოგზაურობა იყო გადამწყვეტი. თანაცხოვრებისას მივხვდი, რომ ზუსტად ის ადამიანია, რომელიც ყველაფერს გამიგებს. ის იყო ორკვირიანი ზღაპარი. მეგობრებთან ერთად ვიყავით. ენით აღუწერელი დრო ვატარეთ. ნეპალში ყოველი დღე თავგადასავალია. რამდენიმე თვეში მივხვდით, რომ ერთად უნდა გვეცხოვრა. მივხვდი, რომ ეს იყო ყველაზე სწორი ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში. ბედნიერი ვარ, რომ ოთო ლეჟავა ჩემი მეორე ნახევარი და ჩემი შვილის მამაა. ერთმანეთს ყოველდღე ვეუბნებით, როგორი ბედნიერები ვართ, რომ ერთმანეთი გვყავს. თამამად ვამბობ, რომ გვერდში მაგარი მეუღლე მყავს“.

– რატომ მალავდი ოთოს?

– არ ვმალავდი, არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი. არსებობს პერიოდი, გინდა შენთვის იყო. ყველაფერი კარგი რაც ხდება, შენთვის დაიტოვო. მერე ისედაც არ დამალება. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი და ახლა „პრაიმტაიმის“ მეშვეობით ამის გაჟღერება უფრო საინტერესოა.

იცით, რისი თქმა მინდა?! თუ მასთან ერთად არ იცხოვრე, ვერ გაიგებ მართლა გიყვარს თუ არა. სამწუხაროდ, ჩვენ მენტალიტეტში არ ზის შეყვარებულების ერთად ცხოვრება. ამ დროს მჟღავნდება ყველა დეტალი. თანაცხოვრებისას ყველაზე უკეთ იცნობ ადამიანს. ჩვენ ერთად ვიცხოვრეთ და მივხვდით, რომ უბრალოდ, ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილები. ყველას ვურჩევ ასე მოიქცეს. მე საკუთარ თავზე გამოვცადე, გათხოვილი არ ვიყავი, რომ ქმარს გავეყარე. კრახით დასრულდა და ძალიანაც კარგი. არ იყო სწორი ნაბიჯი. ჩვენ ერთად არ გვიცხოვრია და მან მერე თანაცხოვრებისას აბსოლუტურად სხვა თვისებები გამოამჟღავნა. ახლა ბედნიერი ვარ, სხვანაირი დილა მეწყება. ოთოსთვისაც ასეა. როცა გინდა, რომ მასთან ერთად გაიღვიძო, ეს ის ადამიანი ყოფილა.

– რომ არა დანგრეული ქორწინება, ოთოს ვერ შეხვდებოდი.

– ვერა და მინდა მადლობა გადავუხადო ნოდარიკოს, ოთოს სახელით და ჩემი სახელით. ყველაფერი უკეთესობისთვის იცვლება. ამ გამოთქმის მჯერა.

– მოგილოცა?

– არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს. არც მახსოვს, ვინ არის. მე ერთი კარგი თვისება მაქვს, არასასიამოვნოს მალევე ვივიწყებ და მახსოვრობის კადრებიდან ვჭრი ხოლმე, თითქოს არც არსდროს ყოფილა. დღევანდელი დღით ვცხოვრობ და ძალიან კარგად ვარ.

– სიმღერისთვის ვერ იცლი?

– შემოქმედება მეძახის, მაგრამ მერე რომ არ ვინანო ამიტომ შვილით მაქსიმალურად უნდა დავტკბე და მას დიდი დრო დავუთმო. მინდა შვილის აღზრდის სიამოვნებაში თვითონ მივიღო მონაწილეობა. რომ ნამოიზრდება, დავუბრუნდები სტუდიას, ბენდს და ვიმღერებ. მსუყე, ნოყიერი წელი იყო. ყველას გულით ვუსურვებ ისეთ შეგრძნებებს, როგორიც მე ახლა მაქვს.

„როცა პროექტში „ერთი-ერთში“ ვიყავი, მაგ დროს „გადაწყდა“, რომ მხოლოდ მეგობრები არ ვიყავით. ერთი მზერით მივხვდი, რომ ჩვენი მეგობრობა აღარ გამოდიოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რამიშვილები“ - CD ალბომი „ბრავო რექორდსისგან“

ილიკო სუხიშვილი: „პირველი შემთხვევაა, როდესაც პროექტზე მთელი დასი ერთად მუშაობდა. იშვიათია საცეკვაო მუსიკა მხოლოდ მოსასმენად, ვიზუალის გარეშე, აარსებო“

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

კომპანია „ბრავო რექორდსმა“ 4 დეკემბერს ქართული ნაციონალური ბალეტის უნიკალურ მუსიკალურ პროექტზე, CD ალბომ „რამიშვილებზე“ გვამცნო. ცეკვა მხოლოდ მუსიკად! საოცარი პროექტია. სუხიშვილების ახალი პროექტის დისკის პრეზენტაცია 19 დეკემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტის სახით შედგება. წინა დღით კი სპეციალურად ჟურნალისტებისთვის ჩატარებულ პრეზენტაციაზე ჩვენ, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს საჩუქრად გადმოგვეცემა ეს ალბომი და დავტკბებით ჯგუფის მიერ ცოცხლად შესრულებულ კომპოზიციებით.

„მე „მეტრონომი“ მომწონს, ილიკოს - „ტანგო“

„რამიშვილები“ ინოვაციური პროექტია და ის ნინო რამიშვილის ხსოვნას ეძღვნება. ერთაქტიანი მოდერნ ბალეტის დადგმა ქალბატონ ნინოს ყოველთვის სურდა. ბებიის ოცნება შვილიშვილებმა აახდინეს.

„რამიშვიულები“ უკრაინაში და ბულგარეთში ჰქონდათ წაღებული. ქართულ მოდერნ ბალეტს სხვადასხვა ქვეყნის მოდერნ ბალეტის ფესტივალებზე ეპატიჟებიან.

ერთსაათიან ბალეტში 13 ბიჭი და 13 გოგო ცეკვავს, მუსიკოსიც 13-ია, ეს დამთხვევაა, ამბობს ნინო სუხიშვილი.

ზაზა შენგელია, კომპანია „ბრავო რექორდსის“ პრეზიდენტი: წელს ამ პროექტის პრემიერა

ფურორით შედგა და დადებითი რეზონანსი გამოიწვია. უცხოეთში კარგი გამოსვლები ჰქონდათ. „ასა ფართის“ შემდეგ ასეთი მსუყე, რეზონანსული და სიახლეებით აღსავსე წარმოდგენა ჯერ არ ყოფილა. გარდა იმისა, რომ სუხიშვილები მკაცრად მიყვებიან ტრადიციული ქართული ცეკვების შენარჩუნების და თვითმყოფადობის გაღრმავების გზას, ამასთანავე ექსპერიმენტებს არ ერიდებიან. ჩვენ მაშინვე გვქონდა საუბარი, რომ ის უნიკალური საავტორო მუსიკა სიდი ალბომის სახით უნდა გამოცემულიყო. „ბრავო რექორდსი“ ასეთ პროექტებს სპონსორებთან ერთად ახორციელებს. „სილქნეტის“ მხრიდან უდავოდ დიდი საჩუქარი იყო ამ პროექტზე მხარდაჭერა. მადლობა მათ და კომპანია „თელიანი ველს“.

პროექტ „რამიშვილების“ ავტორი „სუხიშვილების“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილია. ალბომში შესული მუსიკა მას და ანსამბლის ბენდის მუსიკოსს დავით აზირაშვილს ეკუთვნით. მუსიკის არანჟირების შექმნაში მთელი ბენდი მონაწილეობდა. ეს მართლაც თვითმყოფადი თავისებური მუსიკალური ნაწარმოებია. ამიტომ ამ ბენდის წევრებს უნდა იცნობდეთ: დავით აზირაშვილი – გიტარა, ბესიკ ქაროსანიძე – აკორდეონი, სანდრო ნიკოლაძე – ფლეიტა, ლევან კემულარია – საყვირი, ლექსო ფატიაშვილი – ვიოლინო, პაატა დეისაძე – კლავიში, ნუგზარ მაისაშვილი – ბასგიტარა, ლევან რუსია – ბასგიტარა, ირაკლი ჩაჩხიანი – დიჯირიდუ, ავთანდილ თაბუკაშვილი – დასარტყამი ინსტრუმენტები, მამუკა იმელიშვილი და ლევან აივაზაშვილი – პერკუსია და დიჯეი გოჩა ხუხუნი.

ნინო სუხიშვილი, ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ გენერალური დირექტორი: დაუღალავი შრომისთვის მადლობა ჩვენს ბენდს. მათ ხარისხიანი მუსიკა შექმნეს და ჩაწერეს. ამ მუსიკის შექმნაში ილიკოს დიდი დახმარება გაუწიეს. მუსიკა ყოველთვის სპეციალურად ცეკვისთვის იქმნება. ეს ერთობლივი ნამუშევარია, როგორც მუსიკოსის, ასევე მოცეკვავის. მადლობა „ბრავო რექორდს“-ს ასეთი მუსიკის ჩაწერაში დახმარების გაწევისთვის. მადლობა „სილქნეტს“ პროექტის დაფინანსებისთვის. და „თელიან ველს“, რომელიც ღვინით გაგვიმასპინძლდება კონცერტზე.

ეს პროექტი საკმაოდ ახალი და ნოვატორული იყო ჩვენთვისაც. მუშაობა სპონტანურად დავიწყეთ და არ ვიცოდით, რა გამოგვივიდოდა. საკმაოდ ცოტა დროში გაკეთდა. პროექტი პრემიერის შემდეგ ერთი წელი მუშავდებოდა. ის გადიდდა, ორი კომპოზიცია დაემატა, რომლის პრემიერა 19 დეკემბერს საპრეზენტაციო კონცერტზე შედგება. ერთ კომპოზიციას „ფსიქოდელია“ ჰქვია, მეორეს „შვიდი-რვა“, რომელიც თვლაზეა აწყობილი.

ეს მუსიკა პირადად ჩემთვის იშ-

ნინო სუხიშვილი: „ეს პროექტი საკმაოდ ახალი და ნოვატორული იყო ჩვენთვისაც. მუშაობა სპონტანურად დავიწყეთ და არ ვიცოდით, რა გამოგვივიდოდა. საკმაოდ ცოტა დროში გაკეთდა“

ვიათი და მოსაწონია. იმედი მაქვს, მეოთხე ალბომიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც წინა სამი. ალბომში სულ 11 კომპოზიცია შედის და საცეკვაო კომპოზიციების სახელები ჰქვია: „მეტრონომი“, „მიზანი“, „ფანკიჩაკვრა“, „ფსიქოდელია“, „სნაიპერი“, „ბალადა“, „ტანგო“. მე „მეტრონომი“ მომწონს, ილიკოს – „ტანგო“. „მეტრ-

ონომი“ პირველი კომპოზიციაა, რომელიც დაიდგა. ასევე მომწონს „ჯეირანი“, რითიც კონცერტი იხსნება და რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს კლასიკურ „ჯეირანთან“. სამუშაო სახელი „ბაღდადი“ ჰქონდა. ბაღდადი გოგონების ქვედაბოლოებად არის გამოყენებული. მუსიკაში გაიჟღერებს „ჯეირანის“ ფრაზა.

– როგორ თვლით, სად, რა გარეგოში ისმინება „რამიშვილები“?

– ყველგან – კლუბშიც, შეიძლება ლაუნჯ მუსიკად იყოს გამოყენებული, ტრანსულადაც. ისე მომწონს, სულ ჩართული მაქვს. ილიკოს გოგოს, დაშას ერთი კომპოზიცია ტელეფონზეც აქვს დაყენებული.

ილიკო სუხიშვილი, „სუხიშვილების“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი: მსგავსი მიდგომით მუშაობა პირველად მომიხდა. იყო თემები, რომელიც დათო ეზურაშვილმა გამზადებული მოიტანა, უბრალოდ, ტრანსფორმაცია გაიარა და ცეკვაზე მოჯდა. დადგმის პროცესი ჩემთვის საინტერესო იმით იყო, რომ მოძრაობის გაკეთებისას ორკესტრი მუშაობდა და ერთმანეთს ავსებდა. ყველამ – როგორც მუსიკოსებმა, ასევე მოცეკვავეებმა თავისი ინდივიდუალური ნაწილი ჩადო ამ პროექტში. პირველი შემთხვევაა, როდესაც პროექტზე მთელი დასი ერთად მუშაობდა. იშვიათია საცეკვაო მუსიკა მხოლოდ მოსასმენად, ვიზუალის გარეშე აარსებო. ჩვენ მუსიკაში თავიდანვე ჩავდეთ, რომ ის მოსასმენი ყოფილიყო. ყურისთვის მოსაბეზრებელი არ უნდა იყოს. მაყურებლის გარდა მსმენელი გაგვიჩნდა, რაც პირველი „ასას“ დისკმა წამოიწყო. ასევე გამოვეცით „ზეკარი“ და „ქართული საცეკვაო მუსიკა“.

ბალეტის კოსტიუმები ნინო სუხიშვილს ეკუთვნის.

ნინო სუხიშვილი: კოსტიუმების წითელი ფერი ბევრ რამეს აღნიშნავს, ხან აგრესიაა, ხან ვნება, ხან სისხლის წვეთია. გააჩნია ეს სამი წითელი გოგო რა კომპოზიციაში შემოდის. ილიკო თემატურად არ დგამს ცეკვებს. კოსტიუმს შინაარსობრივად მივუსადაგებთ ცეკვას.

ილია ენუქაშვილი, პროექტის გენერალური სპონსორის კომპანია „სილქნეტის“ სტრატეგიული განვითარების განყოფილების უფროსი: „სილქნეტი“ მოხარულია, რომ ასეთი პროექტის პარტნიორია. ამ პროექტს ქართულ კულტურაზე დიდი გავლენა აქვს. ჩვენს კომპანიას ქართველ მომხმარებელთან მიაქვს ცოდნა. ინტერნეტთან წვდომა, რომელიც ჩვენი მთავარი პროდუქტია, ინოვაციური მიდგომებით გვინდა გავაღრმავოთ.

ნუცა ავალიშვილი, კომპანია „თელიანი ველის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: ინოვაცია და შეუზღუდავი ფანტაზია ქმნის იმ პროდუქტს, რომელიც შემდგომში აღფრთოვანებას იწვევს. ჩვენთვის, „თელიანი ველისთვის“ „რამიშვილები“ მნიშვნელოვანი პროექტია, დიდი პატივია ჩართულობა. ღვინის შექმნაც ხელოვნებაა, რომელიც ტრადიციებს ეფუძნება. ტრადიციებს სიახლეები და იმპროვიზაცია სჭირდება.

CD ალბომის დიზაინის შემქმნელი ბაჩა მალაზონია გახლავთ. ის მალე დაიბეჭდება, ჯერ ჟურნალისტები მოვისმენთ და 19 დეკემბრიდან უკვე ყველა მსურველის ხელში აღმოჩნდება.

ზაზა შენგელია: „გარდა იმისა, რომ სუხიშვილები მკაცრად მიყვებიან ტრადიციული ქართული ცეკვების შენარჩუნების და თვითმყოფადობის გაღრმავების გზას, ამასთანავე ექსპერიმენტებს არ ერიდებიან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირველად საქართველოში - „თბილისი 2015“-მა მოხალისეს დღეს აღნიშნა

ირინა ქვილითაია

„ჯინო ფერედაისში“ 5 დეკემბერს მოხალისეს საერთაშორისო დღე აღინიშნა. ღონისძიება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის და პროექტის ოფიციალური სპონსორის „ჯინო ფერედაისის“ ორგანიზებით გაიმართა.

მსოფლიო მოხალისეს საერთაშორისო დღე 1985 წლიდან მთელ მსოფლიოში აღინიშნება. წელს საერთაშორისო ღონისძიებას საქართველოც შეუერთდა. ივლისის თვეში ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“ ინყება და მანამდე საორგანიზაციო კომიტეტი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ამ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების ღირსეული მასპინძელი გახდეს, ამაში კი მოხალისეთა როლი ძალიან დიდია.

მოხალისეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ეკატერინე ცვარიანი:

„მოხალისეები ფესტივალის წარმატებით ორგანიზებაში ძალიან დიდ როლს შეასრულებენ. ფესტივალის ოფიციალური სპონსორი „ჯინო ფერედაისი“ გახლავთ, სადაც ჩვენ მოხალისეებს დღეს დაუვიწყარი დღე ვაჩუქეთ. ღონისძიების მიზანი გახლდათ ის, რომ მოხალისეებს ჩვენი საორგანიზაციო ჯგუფის წევრები არაფორმალურ გარემოში გაეცნოთ, ვფიქრობ, გამოგვივიდა. საქართველოში ჩამოსულები არიან უცხოელი მოხალისეები, რომლებიც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობენ და თავიანთ გამოცდილებას ქართველებს უზიარებენ. ადამიანებს, რომლებსაც მოხალისედ გაწევრიანების სურვილი აქვთ, შეუძლიათ პირველ მარტამდე დარეგისტრირდნენ და უდუდესი საერთაშორისო ღონისძიების განხორციელებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ. საქართველო მსგავსი ტიპის ღონისძიებას პირველად მასპინძლობს და იმედი გვაქვს, რომ წარმატებულად. ახალგაზრდები ევროპის 49 ქვეყნიდან ჩამოვლენ და ჯამში ათი ათასამდე სტუმარს ველოდებით. ღონისძიება ივლისის ბოლოსთვის გაიმართება“.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე, გიორგი ბერიძე:

„თბილისი 2015“-ისთვის მოხალისეთა საერთაშორისო დღე ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც, აღნიშნული ღონისძიება მოხალისეთათვის დიდი სიამოვნებით მოვაწყვეთ. ისინი ჩვენი ფესტივალის უმნიშვნელოვანეს ბირთვს წარმოადგენენ. მოხალისეობა მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული მიმართულებაა. ეს არის პატრიოტიზმის და საკუთარი ქვეყნის სიყვარულის ძალიან კარგი გამოხატვის საშუალება. მოვუწოდებ ყველას, რომ დარეგისტრირდნენ და მოხალისეთა პროგრამაში მონაწილეობა მიიღონ“.

ანნა გიუნტერი (ევროპის ახალგზარდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015-ის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური):

„მოხალისეობა უანგარო, მაგრამ შეუფასებელ შრომას გულისხმობს. მოხალისეები ის ადამიანები არიან, რომლებიც ფესტივალისთვის საყრდენ ძალას წარმოადგენენ. გვყავს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მოხალისეები. ჩვენ დღეს მათ სხვადასხვა გასართობი შეჯიბრებები მოვუწყვეთ და სპეციალური პრიზებით დავაჯილდოეთ. მოხალისეობა ისევე გადამდებია, როგორ კარგი ხასიათი. ის სხვადასხვა ქვეყნის, ასაკის, აღმსარებლობის და ინტერესის მქონე ადამიანებს აერთიანებს. მათ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. მოხალისეები არიან ის ადამიანები, რომლებიც აეროპორტში უცხოურ დელეგაციას ერთ-ერთი პირველნი ხვდებიან“.

„მოხალისეობა მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული მიმართულებაა. ეს არის პატრიოტიზმის და საკუთარი ქვეყნის სიყვარულის ძალიან კარგი გამოხატვის საშუალება“



„პრაიმტაიმი“, „ჯინო ფერედაისში“ მყოფ მოხალისეებსაც გაესაუბრა:

მოხალისე ჩეხეთის რესპუბლიკიდან, რატისლავ კრატოხვილი:

„ძალიან მოხარული ვარ, რომ მსგავს ღონისძიებაში ვმონაწილეობ. ეს ძალიან დიდი გამოწვევაა, რაც ჩემთვის უდიდესი გამოცდილების მომტანი იქნება. ქართველ ახალგაზრდებს სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების ჩატარებაში დიდი სიამოვნებით დავეხმარები. საქართველოში ძალიან თბილი და კარგი ხალხი დამხვდა. მათთან თანამშრომლობა განსაკუთრებით სასიამოვნოა. ერთმანეთთან განსაკუთრებული ურთიერთობები აქვთ და მიხარია, რომ მათი სახით ძალიან ძვირფას მეგობრებს შევიძენ“.

„მიხარული ვარ, რომ მსგავს ღონისძიებაში ვმონაწილეობ. ეს ძალიან დიდი გამოწვევაა, რაც ჩემთვის უდიდესი გამოცდილების მომტანი იქნება“

მოხალისე ქალაქ ბათუმიდან, ნინო კილაძე:

„ამ ღონისძიებას მხარს დიდი სიამოვნებით ვუჭერ და ვაპირებ, რომ ივლისის ფესტივალში მონაწილეობა მივიღო. ძალიან დიდი მადლობა „თბილისი 2015“-ს, რომელმაც ამ ყველაფერს ორგანიზატორობა გაუწია. ერთად გადავდგათ ნაბიჯი მომავლისკენ“.

„ჯინო ფერედაისში“ ღონისძიების დასასრულს GDS-ს პროექტის „ერთი ერთშის“ მონაწილეები გამოჩნდნენ, რომლებსაც იქ მყოფი მოხალისეები განსაკუთრებული ოვაციებით შეხვდნენ. მათ სპეციალური მიმართვა გააკეთეს და მოსახლეობას აქციაში ჩართვისკენ მოუწოდეს.

„პრაიმტაიმი“, უკვე მოხალისედ დარეგისტრირებულ მომღერალ, გიორგი სუხიტაშვილს გაესაუბრა.

გიორგი სუხიტაშვილი:

„მისასალმებელი წამოწყებაა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სხვადასხვა მოხალისეობრივ ღონისძიებებში ხშირად ვმონაწილეობ და ვფიქრობ, რომ მსგავსი სპორტული შეჯიბრებები, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესს, ასევე ქვეყნის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს“.

მომღერალი, გოგა მესხი:

„მოხარული ვარ, რომ მსგავსი ღონისძიების ერთ-ერთი მოხალისე გავხდი. მე აქ მოტივირებულ ახალგაზრდა თაობას ვხედავ, რომლებიც სპორტული აქტივობებით სიამოვნებით არიან დაკავებულნი. ყოველთვის მზად ვარ, მსგავს აქციებში მონაწილეობა დაუზარებლად მივიღო“.

ოლიმპიური ფესტივალის წარმატება 2 000-მდე მოხალისემ უნდა უზრუნველყოს და თქვენ შეიძლება იყოთ ერთ-ერთი მათგანი!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბრავოში“ გამარჯვებული ოთო

my View

ეკა ჩიკვაიძე

„ბევრ უკრაინულ ჟურნალში დაინერეს, ოთო ნემსაძის საიდუმლო ქორწინებაზე, გეგონება მლვიმეში ვიქორწინე“

„ამერიკიდან გაგიცანი, თბილისში შეგხვდი, ბათუმში სიყვარული ამიხსენი, ლვოვში ცოლად მოგიყვანე, გორში მაცხოვრე და ახლა თბილისში მაცხოვრებ, მართლა შურდეს მარკო პოლოს“

სანამ ოთო ნემსაძის **LoveStory**-ზე გიამბობთ, მანამდე გეტყვით, რომ გასულ კვირას ოთო პროექტ „ბრავო“-ს გამარჯვებული გახდა. მასთან ინტერვიუ პროექტში გამარჯვებამდე ჩავწერე, თავიდანვე მიზანდასახული და საკუთარ თავში დარწმუნებული იყო - „დიდი იმედი მაქვს, რომ „ბრავო“-ს მოვიგებ და ჩემს სახლს როგორც მინდა ისე მოვაწყობ. იმედი კი არ მაქვს, უნდა მოვიგო! წუწუნი არ მიყვარს და არც სევდიანი ტიპი ვარ, მაგრამ ახლა მჭირდება. არა მარტო სახლის გამო, მინდა კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, რომ ამ ქვეყანაში საჭირო ვარ. თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში უფრო დიდი პოპულარობა უკრაინულმა „ახალმა ხმამ“ მომიტანა, ვიდრე „ჯეოსტარმა“. მინდა ჩემი ქვეყნის პროექტებით ვიყო პოპულარული“, - აი ასე ლაპარაკობდა ოთო პროექტში გამარჯვებამდე ორი კვირით ადრე, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ოთო საქართველოსთვის ნამდვილად საჭიროა და ეს მისმა გამარჯვებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. **პროექტის სუპერ-ფინალში შემოსული 48 ათასი ზარიდან, 42 პროცენტი სწორედ ოთოს ეკუთვნოდა.**

ოთო და მისი ცოლი თათა აქამდე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. თბილისში ბინის უქონლობის გამო, დროებით გორშიც მოუწიათ ცხოვრება. ამიტომ იყო ოთოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამ პროექტში გამარჯვება. „ჯეოსტარი“-ს შემდეგ ეს მეორე პროექტია, რაშიც ოთომ გაიმარჯვა. როგორც თვითონ ამბობს, ეს მისი შემაჯამებელი პროექტი იყო და მსგავს კონკურსებში მონაწილეობას აღარასდროს მიიღებს. PrimeTime ოთოს გამარჯვებას ულოცავს. ჩვენ კი, პირადს დავუბრუნდეთ.

ოთო ნემსაძის სიყვარულზე ჯერ კიდევ ზაფხულიდან მოყოლებული ვწერდით, ჯერ შეყვარებულობის პერიოდში, მერე ცოლის მოყვანის ამბავიც გავახმაურეთ, მაგრამ თვითონ მომღერალს აქამდე ვერაფერი დავაცდენინეთ. თურმე ნუ იტყვით და კარიერის ასაწყობად უკრაინაში წასულმა ოთომ პირადი ცხოვრება აიწყო. არა, უკრაინელი ცოლი არ მოუყვანია, როგორც ოთო ამბობს, ამერიკელია, მაგრამ არც ამერიკელი არ არის, ქართველია. ცოტა ჩახლართული ისტორიაა და რამდენიმე ქვეყანას აერთიანებს. 23 წლის თათა კუპრავა წლების განმავლობაში ამერიკაში ცხოვრობდა, საქართველოში დარჩენას არც გეგმავდა, თუმცა სიყვარულმა ყველაფერი ამოატრიალა. მათი სიყვარულის ისტორია სოციალური ქსელიდან დაიწყო. „ფეისბუქში“ მეგობრობა მალე სიყვარულში გადაიზარდა და 25 წლის მომღერალიც დაოჯახდა. ჯვარი ზაფხულში ანჩისხატში დაიწერეს და ორიგინალური ქორწილი ბეთანიაში, ღიაცის ქვეშ აღნიშნეს. ცოტა ხანი გორში ცხოვრობდნენ, ახლა თბილისში არიან და პატარა, მყუდრო ბინაში ცხოვრობენ. ოჯახში კიდევ ერთი წევრი ჰყავთ - „სანი“, იგივე მზექალა, რომელიც თათასთვის ოთოს საჩუქარია.

ოთო ნემსაძე: როცა გიყვარს, ოჯახური ცხოვრება ძალიან მარტივია. ახლა ქირით ვცხოვრობთ და სახლში როლები თანაბრად გვაქვს გადანაწილებული. ვინც პირველი დაინახავს, ის აკეთებს.

თათა: დასწრებაზე ვართ. ჯერჯერობით ასეა და მერე არ ვიცი. აწყობილი რეჟიმი ჯერ არ გვაქვს. ხან ორი დღე სახლში საერთოდ არ ვართ, ხან სულ სახლში ვართ და გვძინავს. ძალის საჭმელს მე ვაკეთებ და იმას, რაც გემრიელი გამომდის. სხვათა შორის ბევრი რამე ოთოსგან ვისწავლე. ხორცებს რომ ჩაყრის ხოლმე, იცის კარგი საჭმელების გაკეთება.

ოთო: რაც მაქვს ხოლმე ყველაფერს ვყრი. კარგი გორული კატლეტი ვიცი, მსუქანი.

„ოთო ჩემი გიდი იყო“

ამერიკიდან თბილისში დროებით ჩამოსულ თათას, დახმარების ხელი ოთომ გაუწოდა. თათამ არც თბილისის გზები იცოდა და არც საქართველოს კუთხეებში იყო ნამყოფი. ოთომ გიდობა თავის თავზე აიღო და თათას სხვადასხვა ადგილები მოატარა. მერე თათა ამერიკაში დაბრუნდა, ოთო კიევში წავიდა. დროებითმა განშორებამ ორივე გრძნობებში დაარწმუნა და დაქორწინება გადააწყვეტინა.

თათა: ოთო სულ თავიდან „ჯეოსტარით“ გავიცანი. იქ უყურებდნენ ჩემი მეგობრები და მეც ჩავერთე. დამესიჯება არ შეიძლებოდა ამერიკიდან, თორემ დავუმესიჯებდი. „ჯეოსტარიდან“ რამდენიმე წლის მერე მე თვითონ დავიმატე „ფეისბუქზე“, როგორც ხდება ხოლმე, მეგობრების მეგობრებში გადამეყარა და დავიმეგობრე. ჩვეულებრივი მიწერ-მოწერა გვქონდა. ისეთი არაფერი, მაგრამ შარმან ზაფხულში ჩამოვედი თუ არა, მეორე დღესვე ვნახე. „ფეისბუქზე“ დავწერე, ჩამოვედი და დამირეკეთ-მეთქი და მირეკავს ოთო. ჯერ ვერ მივხვდი ვინ იყო, სხვა მეგონა და თავიდან მოვიშორე, მერე მივხვდი და გადავურეკე. წლების განმავლობაში არ ვყოფილვარ საქართველოში და არც მახსოვდა ქუჩები. თუ სადმე წასვლა მინდოდა, იქ როგორ მოვხვდე-მეთქი, ვეკითხებოდი. ოთო, მთელი ზაფხული, ჩემი გიდი იყო.

ოთო: საქართველოს ფარგლებს გარეთაც დამყავდა. ბევრგან ვიყავით, მაგრამ კიდევ ბევრი გვაქვს სანახავი.

- თავიდანვე მოგწონდა, თუ რატომ დაურეკე?

ოთო: ამდენი ხანი ვმეგობრობდით და მინდოდა, რომ მენახა. არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე მაინც გავიცნობდით ერთმანეთს. ვერ ვიფიქრებდი, რომ ერთად ვიქნებოდით, რადგან ის ასე შორს იყო და მე აქ ვიყავი. სხვადასხვა გეგმები გვქონდა და ა.შ. თან შემთხვევით წავიკითხე სტატუსი საქართველოში ვარო. თათამ თავიდანვე იმით მომხიბლა, რომ გაცილებით სხვანაირად აზროვნებდა, ვიდრე აქამდე ვიცნობდი და ვიცნობ. გაცილებით ჭკვიანია, ლამაზია და „ქარქლია“, იცით რა არის ქარქლი? აი ეს არის, თათა. ასე ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა.

თათა: მე ვიტყვი, რომ თავიდანვე მომწონდა. თავიდანვე მომეწონა მისი სიმღერა, ძალიან მამაკაცურია. მეცინება ხოლმე, როცა ამბობენ, ჩვენ „ფეისბუქზე“ გავიცანით ერთმანეთიო, მაგრამ ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. იუმორის გრძნობა აქვს ისეთი, რომ არ მოგაწყენს. ბიჭისთვის მთავარი ეგ არის. კაცი მაიმუნზე ოდნავ ლამაზი უნდა იყოს და იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს.



- სიყვარული როდის აგიხსნა?

თათა: ბათუმში ვისვენებდი ჩემს მეგობრებთან ერთად და ისე ჩამოვიდა, რომ მე არ ვიცოდი. ერთ-ერთ ბარში ვიყავი და ჩამომაკითხა. მანამდე სადაც კი ვინმე ხუჭუჭა ბიჭი გაივლიდა ბათუმში ყველაში ოთოს ვხედავდი, არ ვიცოდი თუ ჩამოსვლას აპირებდა და მართლა რომ ჩამოვიდა და დავინახე, აღარ გამიმახვილებია ყურადღება, ვიფიქრე მეჩვენება-მეთქი. თურმე ოთოა, მოვიდა და მიყვარხარო მითხრა და ისე დავიბენი, რომ ერთი 5 წუთი პასუხი დავუგვიანე.

ამერიკიდან - ლვოვში

ოთო: ჩვენი გაცნობის შემდეგ იყო პერიოდი, როცა თათა უკან, ამერიკაში წავიდა. მე კიდევ 3 თვე ლვოვში ვიყავი, ალბომზე ვმუშაობდი და ენას ვსწავლობდი. მანამდეც მქონდა ნაფიქრი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მაშინ მივიღე. „სკაიპში“ ვუთხარი ჩამოდი, ცოლად უნდა მოგიყვანო-მეთქი და ლვოვში ჩამოვიდა. ასე მოვიყვანე ცოლი ლვოვში. სანამ ქორწილი გვექნებოდა ყველამ არ იცოდა, რომ ცოლი მოვიყვანე, ყველა მეკითხებოდა, ვა, ცოლი მოიყვანე? უკრაინელი გოგოაო? არა, ამერიკელია-მეთქი, ვპასუხობდი და გიჟდებოდნენ. ორთვენახევარი ლვოვში ვიცხოვრეთ მე და თათამ. მერე აქციების გამო წამოვედი, უსაფრთხო აღარ იყო იქ ცხოვრება. სახლში მარტო ხომ არ დავტოვებდი, გარეთაც ვერ გავიყვანდი და წამოვედით. დიდი იმედი მაქვს, რომ დალაგდება ყველაფერი და ისევ წავალ. მერე გორში ვიცხოვრეთ და ახლა თბილისში ჩამოვედით.

თათა: მთელი ცხოვრება ამერიკაში გავატარე, იქ მქონდა ყველაფერი, დედაც იქ მყავს. აქ ზაფხულში გასართობად ჩამოვედი და ვერ წარმოვიდგენდი თუ აქ დავრჩებოდი. უცბად მოხდა ყველაფერი. დედაჩემს ძალიან გაუხარდა. ოთოს მარტო საქართველოში არ იცნობენ, იქაც იციან, ახლა მით უმეტეს, ჩვენი სიძეაო ამბობენ. იქაურობის ნოსტალგია მაქვს, ჩემი მეგობრები მენატრებიან და ჩემი ძაღლი, რომელიც დედაჩემთან დავტოვე. საერთოდ, ნიუ-იორკში ერთხელ თუ მოხვდი, ყოველთვის მოგენატრება, ალბათ, მაგრამ აქ ბედნიერი ვარ. იქაც ბედნიერი ვიყავი, მაგრამ პირადი ბედნიერება სულ სხვაა.

- შენ მღერი?

ოთო: კი, მღერის, მაგრამ არ აღიარებს. მოყვარულის დონეზე ძალიან კარგია, რადგან ხმებშიც გადასარევად მღერის, უბრალოდ, ცოტა ხმის დამუშავება სჭირდება.

თათა: ოთოს ნამღერიდან ყველაზე ძალიან მიყვარს ოთარ რამიშვილის სიმღერა „კოცნით ამოგიშრობ მაგ სევდიან თვალებს“. ისე მიმღერის ხოლმე, იგონებს რაღაც სიმღერებს.

ოთო: „ვერ ვიფიქრებდი, რომ ერთად ვიქნებოდით, რადგან ის ასე შორს იყო და მე აქ ვიყავი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ასე ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა“

EXCLUSIVE

თათა:

„კაცი მაიმუნზე ოდნავ ლამაზი უნდა იყოს და იუმორის გრძნობა ჰქონდეს“

ოთო: სიმღერა ხომ დაგიწერე რას მერჩი? მალე გამოვა ჩვენი კლიპი და ერთ-ერთ შოუში იქნება პრეზენტაცია. ჩემი პირველი სიმღერა და კლიპია, რომელიც ჩემს სიყვარულს ეძღვნება. უფრო წყნარი და მშვიდი ოთო ვარ, როცა ვწერ, მაგრამ კომპოზიტორობის ამბიცია არ მაქვს. ჩემი რაღაცები მაქვს, რომელიც მინდა, რომ დროთა განმავლობაში სიმღერებად ვაქციო.

„გრუზინობა“ ძალიან კარგია

თათა: მთლად ისეთი არ არის, მაგრამ ხანდახან აქვს ხოლმე გაჭედვები. აკრძალვით არაფერს მიკრძალავს, არც მე ვითხოვ ისეთს არაფერს. ეჭვიანი არ არის, უფრო დომინანტის თვისებები აქვს, რომ აი, ჩემი ჩემია და მორჩა. „გრუზინობა“ ცუდი არ არის, „გრუზინობა“ ძალიან კარგი რაღაცაა.

ოთო: „გრუზინობა“ რატომღაც სალანძღავი სიტყვა გახდა. „გრუზინობას“ ვურევთ დეგენერატობაში. არასდროს ვეტყვი ჩემს ცოლს, მოდი ნასკი გამხადე-მეთქი. ეს არის უზრდელობა და დეგენერატობა. ისეთი ეჭვიანი არ ვარ, რომ ვიღაცას მივუვარდე. ბევრს რომ მოსწონს თათა მაგაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ისე თუ მოეწონა, რომ შეიმჩნია, ძალიან არ მესიამოვნება და მოხვდება.

თათა: ოთოს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, მაგრამ დადებითები არიან. ოთოც თვითონ დადებითია და ყველას უყვარს. „ფეისბუქში“ წერენ გოგოებიც და ქალბატონებიც, მაგრამ ერთად „ვლადაობთ“ ხოლმე ამ თემაზე. ერთხელ ერთმა ქალბატონმა მოსწერა, ჩემი 5 წლის შვილს შენი სახელი დავარქვიო, არადა 4 წლის წინ გახდა ოთო ცნობილი. მერე თუ გადაარქვა არ ვიცი. რა მაქვს სასაყვედურო, დიდი მადლობა, თუ ვინმეს ჩემი ქმარი და მისი სიმღერა მოსწონს.

„ქორწილში გავრეპეთ“

ლვოვიდან საქართველოში დაბრუნებულებმა ჯვარი ანჩისხატში დაიწერეს. ორიგინალური ქორწილი ჰქონდათ, სიძე-პატარძალმა მეგობრებთან ერთად გარეპა. ერთი სიტყვით, ღია ცის ქვეშ კარგად გაერთნენ.

ოთო: ძალიან ბევრ უკრაინულ ჟურნალში დაწერეს, ოთო ნემსაძის საიდუმლო ქორწინებაო, გეგონება მღვიმეში ვიქორწინე. მართლა ვმალავდი, საჯაროდ არ ვამბობდი. ასეთ დროს, გინდა თუ არ გინდა, ძალიან ბევრი თავი ჩნდება ხოლმე ურთიერთობაში და არ მინდოდა. ძალიან ბედნიერები ვიყავით და ვართ, ჩუმად ჩვენთვის, წყნარად და ალბათ, ასე ვიქნებით ცხოვრების ბოლომდე. ძალიან ლამაზი და უცხო ქორწილი გვქონდა. ჩემმა მეგობარმა ალექსანდრე ლორთქიფანიძემ დაწერა ტექსტი და მებოსთან სახლის სტუდიაში ჩავწერეთ. ქორწილში ყველამ გავრეპეთ. ყველა თავის მინუსებზე რეპავდა და ძალიან სასაცილო იყო. მე „ბურნუთას“, „კოკოითს“ და „გორელ ოთარას“ რომ მეძახიან, იმასზე გავრეპე. „შევეჭიდე „ჯეოსტარს“ და უკრაინის „გოლოსს“, უკვე იმდენგან ვიცხოვრე შურდეს მარკო პოლოს... ხისთავიანს მეძახიან „ბურნუთას“ და „კოკოითს“, კარგით ახლა ამ ხუმრობებს ვერ გადმოგცემთ

„ჩემს სახლს როგორც მინდა ისე მოვაწყობ!“

„ახალი ტენდენციაა, რუსული ენა უნდა იცოდე“

ამერიკაში თათამ სამხატვრო აკადემია დაამთავრა, პარალელურად სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობდა. ცოტა ხანი გორშიც იმუშავა, ახლა თბილისში ეძებს სამსახურს.

თათა: გორში კეთილდღეობის და განვითარების ცენტრში ვმუშაობდი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩვეულებრივი სკოლაა. სხვადასხვა პროექტები იყო საელჩოების მიერ დაფინანსებული და ვეხმარებოდი, საბუთებს ვუწესრიგები და ა.შ. ბედნიერი ვარ და მეამაყება, რომ იქ ვიმუშავე.

ოთო: რატომღაც ძალიან გაუჭირდა თათას საქართველოში სამსახურის შოვნა. ახალი ტენდენციაა, რომ რუსული ენა უნდა იცოდე. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ დაიწყებს მუშაობას, რადგან არ მინდა სახლში იჯდეს.

თათა: ვაკანსიების საიტზე რომ ვაკანსიას ვნახულობ და ინგლისურს ითხოვენ, მივდივარ და რუსულ ენას მთხოვენ. მე რომ მიჩვეული ვარ იქაურ რეჟიმს, რომ შენ თვითონ უნდა გააკეთო თუ რამის გაკეთება გინდა, რატომ უნდა დამჭირდეს აქ, რომ ოთოს სახელი ვახსენო და ვიღაცის ნაცნობობით დავიწყო სამსახური? ძალიან ბევრს იცნობს ოთო და ვნახავდი რამეს, მაგრამ ჩემით მინდა გავაკეთო. შეიძლება ძალიან დიდი რაღაცა მინდა, მაგრამ მინდა, მოყოლით...“ კიდევ იყო სიურპრიზები, მოკლემეტრაჟიანი ფილმი გვაჩუქა მეგობარმა და ა.შ.

თათა: ამერიკიდან გაგიცანი, თბილისში შეგხვდი, ბათუმში სიყვარული ამიხსენი, ლვოვში ცოლად მომიყვანე, გორში მაცხოვრე და ახლა თბილისში მაცხოვრებ, მართლა შურდეს მარკო პოლოს.

„რატომ უნდა დამჭირდეს აქ, რომ ოთოს სახელი ვახსენო და ვიღაცის ნაცნობობით დავიწყო სამსახური?“

რომ ასე ხდებოდეს. ამერიკაში წასვლაზე ჯერ არ გვიფიქრია. აქ გვინდა, რომ ბევრი რაღაც გავაკეთოთ. მინდა, რომ კარგი საქმე გავაკეთო და მარტო იმისთვის არ ვიმუშაო, რომ თვის ბოლოს ხელფასი ავიღო.

ოთო: ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, არც მე დავრჩები ამ ქვეყანაში და არც კიდევ ბევრი სხვა. არ ვთვლი ბეჩავად თავს და ვთვლი, რომ ჩემი მომავალი ჩემს ხელშია და არ მინდა, რომ ის ქვეყანა, რომელიც ჩემი სიცოცხლის ფასადაც კი მიყვარს, ასეთ დღეში იყოს.

თათა: ახლა ოთოს სიტყვებს გავიმეორებ: როდესაც ხელოვან ადამიანს იმაზე უწევს ფიქრი, რომ დღეს ცოლს რა აჭამოს და ხვალ ბავშვს რა აჭამოს, ის თავის პროფესიაში ვეღარ ვითარდება და შესაბამისად, არც მაგარი მომღერალი და მუსიკოსი ეყოლება საქართველოს, მაგრამ გასაქანი არ არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნიჭიერი“ ია უძილაური ეფრ

my View
თამარ გონგაძე

ია უძილაური ქართველი ფიტნეს მოდელის სახელთან ასოცირდება. თავისი ჰაბიტუსით ჯანსაღი ცხოვრების წესის ნიმუშს ეს გოგონა ნათლად წარმოაჩენს. იყო პერიოდი, როდესაც ცნობილი სახე ნიკა გრიგოლიას ცოლობით გახდა. მერე „კომედი შოუს“ მსახიობობაში სინჯა თავი. შარშან ვარჯიში დაიწყო და წარმატებაც მალე მოვიდა, დასაწყისშივე. ესპანეთში ბოდიბილდინგის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა. თასმა, ტიტულმა და წარმატებამ ახალი შემოთავაზებები მოუტანა, თუმცა შეჯიბრებებზე გასამგზავრებლად დაფინანსებას რომ ვერ იღებდა, ლამის ფარხმალი დაყარა. ვარჯიშისთვის თავი არ დაუნებებია. წელიწადზე მეტია ინსტრუქტორია. გასულ ზაფხულს საზოგადოება იას ხელოვნურად გაზრდილ მკერდზე ალაპარაკდა. ახლა ხვდება, რატომ არ უკეთებენ აფიშირებას პლასტიკურ ოპერაციებს და სხეულის ხელოვნურ ნაწილებს „ფეისები“ და რომ არც ასეთი გახსნილობა ვარგა. და „ნიჭიერი“! იას მეგაშოუში მონაწილეობის თავისი მოტივაცია აქვს.

არა ბოდიბილდერი, არამედ ფიტნეს მოდელი

ია უძილაური: ახალ ექსპერიმენტებსა და შესაძლებლობებზე ყოველთვის თანახმა ვარ. თუ ვთვლი, რომ ეს რაიმეს მომცემს და საინტერესო იქნება, რატომაც არა? მე და ჩემი გუნდი მივიჩნევთ, რომ სპორტის ამ სახეობას ჯერ კიდევ სჭირდება პიარი. ჩვენი „ნიჭიერში“ გამოსვლით გვინდოდა ის არასწორი შეხედულება შეგვეცვალა და ფართო მასებისთვის ამ ნომრით გვემცნო, თუ რა არის ფიტნესი. ეს იყო გამოსვლის მთავარი მოტივი.

ნეგატიურ გამოხმაურებასაც მოველოდი და პოზიტივიც მახარებს. საქართველოა და აქ კრიტიკა უფრო ადვილია, ვიდრე დადებითის დანახვა. მე რაც არ მომწონს, იმაზე დროს არ ვკარგავ. გადაცემა რომ ეთერში გავიდა გერმანიაში ვიყავი. ნეგატიურ გამოხმაურებას რომ ვკითხულობდი ჩემი ქვეყნიდან შორს მყოფს გულდაწყვეტა მქონდა, ნუთუ ასეთი გაუგებარია ამ ხალხისთვის რისთვის გამოვედით?

„მთავარია ბედნიერი იყო, რაც გჭირდება გქონდეს და არც რაოდენობას აქვს მნიშვნელობა, არც ხარისხს“

ნეგატივი რატომ წამოვიდა, ჩემთვის გაუგებარია. მე მიყვარს პოზიტივი, სიახლეები. ცხოვრებაში ისედაც იმდენი ცუდია, რომ კიდევ ზედმეტი ძალისხმევა იმაზე, რაც არ მომწონს, მართებულად არ მიმაჩნია. შეიძლება ვილაცისთვის მაინც გაუგებარი დარჩა, ვინ ვიყავით და რას ვაკეთებდით. მთავარია ნახეს. შეიძლება იკითხონ, რა შუაშია აქ ნიჭიერ? სწორი შენიშვნა იქნება. მთავარი ხაზგასასმელია, რომ მონდომების და სურვილის შემთხვევაში შეგვიძლია რაღაც შევქმნათ იმისგან, რა შესაძლებლობებიც გვაქვს. მეორე გამოსვლისას მინდა სხვანაირი მივიდე, ვერ მიცნონ. კიდევ ერთი – „ნიჭიერში“ მივედი იმიტომ, რომ ყველას ბოდიბილდერად არ დავესახელებინე, მაგრამ არც მას შემდეგ ამბობენ სწორად. მე ფიტნეს სპორტსმენი იგივე ფიტნეს მოდელი ვარ. იგივე ჯანსაღი ცხოვრების წესის მაგალითი.

„ზუსტად ვიცი, შემდეგი ერთი წელი ჩემი საქმე ბიბლიოთეკაში ჯდომა იქნება“

„ნეგატიურ გამოხმაურებას რომ ვკითხულობდი ჩემი ქვეყნიდან შორს მყოფს გულდაწყვეტა მქონდა, ნუთუ ასეთი გაუგებარია ამ ხალხისთვის რისთვის გამოვედით? შეიძლება იკითხონ, რა შუაშია აქ ნიჭიერ? სწორი შენიშვნა იქნება“

წარმატებები

- ია, ყველაზე დიდ დროსა და ენერგიას რაში ხარჯავთ?

- ოჯახში და საქმეში. ენერგიას ვხარჯავ იმაში, რომ ვიყო უკეთესი. უკეთესი ნიშნავს გავიზარდო, მეტი სიახლე იყოს ჩემს ცხოვრებაში. იმიტომ წავედი „ნიჭიერში“, რომ სულ ვეძებ რაღაც ახალს. ვფიქრობ, ადამიანი მრავალმხრივი უნდა იყო. საქართველოში ქალი მაინც ჩაკეტილია. ეს კიდევ უფრო მეტ სტიმულს მაძლევს, რომ ამ მხრივ განსხვავებული ვიყო.

- რა არის თქვენი საქმე?

- სხვადასხვა დროს სხვადასხვა საქმეა ჩემთვის პრიორიტეტული. თუ ნინ შეჯიბრი მაქვს, მაშინ ჩემი საქმე ფიტნესია, თუ სადოქტორო უნდა დავიცვა, მაშინ – კითხვაა. ზუსტად ვიცი, შემდეგი ერთი წელი ჩემი საქმე ბიბლიოთეკაში ჯდომა იქნება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა არაფერი საქმე მექნება. ბოლო დროს დიდ დროს, ენერგიას და დღეში 12 სამუშაო საათს ვუთმობდი ფიტნესს. როცა გავლილ ერთ წელს გადავხედავ და ვამჩნევ, რომ ჩადებული შრომა მიფასდება, ძალიან მიხარია. შარშან დავიწყე ვარჯიში. ჯგუფში ესპანურმა გუნდმა ამიყვანა, რაც ძალიან დიდი მიღწევა იყო. ამაში ჩემი ქართველი მწვრთნელი ალექს ბარდაძე დამეხმარა. ჩვენ ეს ერთად შევძელით. იყო კონკრეტული შეჯიბრებები. საქართველოში მხოლოდ საჩვენებელზე ვიყავი გამოსული. მაშინ შეჯიბრი აქ არ ტარდებოდა. არ ვიცოდი სცენაზე დგომა, ელემენტარული რამ. და ბარსელონაში ბევრ გამოცდილ სპორტსმენს შორის აღმოვჩნდი. მშიოდა, მწყუროდა, დაღლილი ვიყავი, თვალს ვერ ვახელდი, მაგრამ უნდა გამეღიმა, დაჭიმული, ლამაზად მდგომი უნდა გამოვსულყავი. მოკლედ, პირველ ადგილას გავედი, თასი ავიღე. გავედი თუ არა სცენიდან, თასი მწვრთნელს მივაწოდე და მე მწვანე ვაშლს ვეცი, რომელსაც მთელი დღე ვუყურებდი. სამი თვე არ მქონდა ხილი ნაჭამი. სხვა შეჯიბრზეც დამიშვეს, მაგრამ ფინანსური პრობლემის გამო ვერ გავედი. იმის გამო, რომ ქართველი ქალი პირველად გავედი ამ სპორტის ამ სახეობის შეჯიბრზე, არ იყო დაინტერესება და ფინანსურად არავინ დამხმარებია. რამდენიმე შეჯიბრზე წასვლა ვერ მოვახერხე. ერთი პერიოდი თითქოს მორალურად დავეცი კიდეც. თუ ვერ გავაგრძელე, რა აზრი აქვს-მეთქი. ვარჯიშითაც ძალიან გადავიტვირთე. ეს ჩემთვის დასაწყისი იყო, მერე რა რომ გამარჯვებით დაიწყო? მხარდაჭერა მინდოდა. მე კიდევ ფულზეც უნდა მერბინა, რისი არც დრო მქონდა და არც მეხერხება. როგორც იქნა გადავლახე ფარ-ხმლის დაყრის მომენტი და კიდევ უფრო მეტად მოვინდომე. დაიწყო ნიუსების ბუმი, რომელიც შეიძლება სულაც არ მომწონდა და ჩემთვის მისაღები არ იყო. „მკერდი გაიდიდა“ და „ბოდიბილდერი ია პლასტიკურ ოპერაციას არ მალავს“ და ასე შემდეგ. ამაზე გაუთავებლად დაწერა რომ დაიწყეს, რაღაც მომენტში ვიფიქრე, რომ ის, ვინც არ ახმაურებდა ოპერაციებს, მართლები ყოფილან. ამასობაში წინ ნორვეგიის სპორტის ღია ფესტივალი იყო. მე დაშვება მქონდა, მინდოდა კიდეც გასვლა. პირველად თუ ინდივიდუალური სპორტსმენის სახელით გავედი, აქ უკვე საქართველოს სახელით უნდა გამოვსულიყავი. აქაც უსახსრობის გამო ვერ მივდიოდი. ამ დროს საიტზე ჩემი სახელი და გვარი ეწერა, რომ მე საქართველოს სახელით გამოვდიოდი. ბოლოს, მეგობრების, სამსახურის და საყვარელი ადამიანის წყალობით წავედი. უცებ მოვემზადე, ერთ თვეში მკერდის ოპერაციის გამო კონკრეტული ვარჯიშების გაკეთება არც მაშინ შეიძლებოდა და არც ახლა. სექტემბერში ნორვეგიაში ბოდიბილდინგის და ფიტნესის ფედერაციის ნებართვით უდელაგიოდ წავედი. ვიცოდი იქ რამხელა გამოცდილებას მივიღებდი. მაღალი დონის შეჯიბრი იყო. მარტო ყოფნა იმდენად გამიჭირდა ასეთ წამოსვლას საერთოდ არ წამოვსულიყავი-მეთქი, ვფიქრობდი. იქაც ნახევარფინალში მოვხვდი. თუმცა ბევრად მეტი შემეძლო. მაინც ბევრი რამ მომცა. კონტაქტები დავამყარე. საჩუქრები მივიღე.



დედა, ლექტორი, ინსტრუქტორი

წელიწადზე მეტია ინსტრუქტორია. დროის უქონლობის გამო ინდივიდუალური მოსნავლე აღარ ჰყავს, მაგრამ როცა ვატყობ, რომ ადამიანი მოტივირებულია, დროს ვუთმობო, ამბობს. გარდა ამისა აქტიური ია ლექტორია - ლექციებს კულტურის კვლევებში კითხულობს. ახლა დოქტორანტია.

„სამაგისტრო ნაშრომიც ამ თემაზე მაქვს დაცული. თანამედროვე საზოგადოებაზე და ცვლილებებზე, კულტურის პოლიტიკაზე. საკვლევი თემა კი საქართველოში კრიმინალური სუბკულტურისადმი დამოკიდებულებაა, როგორც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ასევე დღევანდელ საქართველოში“.

ნიკას და იას ვაჟი, ნიკო ჰყავთ. ია შვილს აქებს. „სკოლაში ნიკოზე ბევრი კარგი რომ მითხრეს, გამიხარდა. მოძრავი ბავშვია, ლამაზია, ყველასგან კარგი რამ წაიღო. მგულშემატკივრობს. ვარცხნილობას მიქებს, ჩემი თმის ეს ფერები მოეწონა. ნიკოც და ჩემი დისშვილიც ისეთ კომპლიმენტებს მეუბნებოდნენ, ვერ დაიჯერებდით, რომ პატარა ბავშვები იყვნენ. თმაზე არც ვარცხნილობის არც ფერების გარისკვა არ მიჭირს, ია, ჩემი სტილისტი სტიმულს მაძლევს და ექსპერიმენტებს ვატარებთ. თმის დავარცხნას სულ ვასწრებ. მუშაობას ღამის 11 საათზე

„ნიჭიერში“ იმიტომ მივედი, რომ ყველას ბოდიბილდერად არ დავესახელებინე, მაგრამ არც მას შემდეგ ამბობენ სწორად. მე ფიტნეს სპორტსმენი იგივე ფიტნეს მოდელი ვარ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოს ხელოვანზეა შეყვარებული

„ჩემს საყვარელ ადამიანზე მოვყვები მაშინ, როცა ჩემდამი არ იქნება ასეთი ინტერესი. მე დისკომფორტს არ შემიქმნიან და ჩემს მკერდსა და კუნთებს აღარ განიხილავენ“

რომ ვამთავრებ, მეგობარი სტილისტი მელოდება და დილის 5 საათამდე ვექსპერიმენტობთ“.

შეყვარებული

იას ცხოვრებაში სხვა სიახლეც არსებობს. ის შეყვარებულია, თუმცა ამაზე დაკონკრეტებას ჯერ თავს არიდებს. ამის დროც მოვაო, ამბობს. ამხელს იმას, რომ მისი რჩეული მასზე უფროსი და ხელოვანია. თანაც საზოგადოებისთვის საინტერესო სახეც არის. მოკლედ, ინტრიგა არის.

– საყვარელი ადამიანი ნორვეგიაში გამგზავრებაში დამეხმარაო, ამბობთ. ვინ არის ის?

- გამომიჭირეთ. ჭკუა ვისწავლე და ჩემი პირდაპირობის მიუხედავად, ვთვლი, რომ ამაზე ლაპარაკის დრო ჯერჯერობით არ არის.

– რამდენი ხანია ეს საყვარელი ადამიანი არსებობს?

- საკმაო დრო იმისთვის, რომ იყოს საყვარელი ადამიანი. ჩვენ ისეთი ურთიერთობა არ გვქონია, რომ მოვყვე – ამ დროს დაიწყო ეს ურთიერთობა-მეთქი. ჩვენ არსებული კლიშეები არ გვაინტერესებს.

– რითი შეგცვალათ ამ გრძნობამ?

- ადამიანს სიყვარული, დადებითი ემოციები გცვლის კარგისკენ. რაც უფრო კარგად ხარ, გარე სამყაროსაც კარგად ექცევი. მხიარული ხალისიანი, ენერგიული ხარ. მე ეს ენერგია ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე, ძალიან მჭირდება, თავი რომ ემოციურად კარგად ვიგრძნო, მჭირდება გრძნობა. ურთიერთობა ყველას სჭირდება, ქალს კაცი, კაცს ქალები, ან ქალებს კაცები. მთავარია, ბედნიერი იყო, რაც გჭირდება გქონდეს და არც რაოდენობას აქვს მნიშვნელობა, არც ხარისხს.

– ფიტნეს მოდელი სანამ გახდებოდი მანამდე შეგიყვარდა?

- სპორტზე რომ დავიწყე სიარული, იმ დროს შემიყვარდა.

„იმის გამო, რომ ქართველი ქალი პირველად გავედი ამ სპორტის ამ სახეობის შეჯიბრზე, არ იყო დაინტერესება და ფინანსურად არავინ დამხმარებია. მორალურად დავეცი. ეს ჩემთვის დასაწყისი იყო, მერე რა რომ გამარჯვებით დაიწყო? მხარდაჭერა მინდოდა. მე კიდევ ფულზეც უნდა მერბინა“

„მისი ასაკი არ მიკითხავს. ჩვენ ასეთ რაღაცებზე საუბარში დროს ვერ ვხარჯავთ. ის ჩემი ასაკისაა – სულით, ბუნებით. კარგად ვეწყობით ერთმანეთს“

EXCLUSIVE

– როდის ილაპარაკებთ, ან რას ელოდებით?

- ველოდები იმას, რისი დამალვაც შეუძლებელი გახდება. მე არც ახლა ვმალავ, მაგრამ მაინც. ჩემს საყვარელ ადამიანზე მოვყვები მაშინ, როცა ჩემდამი არ იქნება ასეთი ინტერესი. მე დისკომფორტს არ შემიქმნიან და ჩემს მკერდსა და კუნთებს აღარ განიხილავენ, როცა ასე არ დაიწყებენ ამ ყველაფრის განხილვას, მაშინ უფრო თმამად ვილაპარაკებ. საყვარელი ადამიანიც და მეგობრებიც მეუბნებიან, რაღაცები დაიკიდეო, მაგრამ ზედმეტად ახლოს მიმაქვს გულთან და ვერ ვიკიდებ.

– ისიც საინტერესო ადამიანიაო, ამბობენ.

- უდავოდ საინტერესო ადამიანია. ხელოვანია.

– იაზე ბევრად უფროსიაო.

- მისი ასაკი არ მიკითხავს. ჩვენ ასეთ რაღაცებზე საუბარში დროს ვერ ვხარჯავთ. ის ჩემი ასაკისაა – სულით, ბუნებით. კარგად ვეწყობით ერთმანეთს.

– „ნიჭიერში“ გამოსვლამდე რა რჩევა მოგცათ?

- ცუდისთვისაც მოემზადეო, მაფრთხილებდა.

– მისგან რა ისწავლეთ?

- მოთმინება. კარგი თვისებები გააღვიძა ჩემში. ვისწავლე მანქანის ტარება. გავხდი ყურადღებიანი. ვისწავლე, რომ შეიძლება ჩაკეტილ ოთახშიც იყო ბედნიერი. ერთმანეთს ვანიჭებთ თავისუფლებას. ორივე ისეთი ბუნების ადამიანები ვართ, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს, ჩვენშია ეს თავისუფლება. თუ ადამიანი გიყვარს, არაბუნებრივი შეზღუდვების დაწესება არ მესმის. როცა ადამიანი თავისუფლებით არის ბედნიერი, ამის ბედნიერება არ უნდა მოაკლო.

– რა ეტაპია თქვენს ცხოვრებაში?

- ფიტნესში რაც გავაკეთე, საკმარისად მივიჩნევ. იმ „ფუების“ ფონზე, რაც სპორტის ამ სახეობაში ჩემს გამოჩენას მოჰყვა, ექვსი ფიტნეს მოდელი რომ გამოჩნდა და შეჯიბრი პირველად შედგა, ამას მე ჩემს პირად მიღწევად ვთვლი და კმაყოფილი ვარ. ტიტულები მაქვს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონი რომ გავხდი, ეს ყველაზე ემოციური მომენტი იყო. მაქვს სხვა პრიორიტეტებიც. დოქტორის ხარისხი მინდა და მინდა ცოტა უფრო აქტიურად ვიყო განათლებაში. ვიქნები შეუმჩნევლად, ჩრდილში, თუმცა ეს უკვე ძნელია.

„დოქტორის ხარისხი მინდა და მინდა ცოტა უფრო აქტიურად ვიყო განათლებაში. ვიქნები შეუმჩნევლად, ჩრდილში, თუმცა ეს უკვე ძნელია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზაქარია ქუცნაშვი

my View

თამარ გონგაძე

ზაქარია ქუცნაშვილის მეორე ნახევარი საქმიანი ქალია. თეა სანიკიძე კომპანია Nita Procurement Group-ის დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ. ადრე, ერთ სატელევიზიო შოუში ნანახი ინტერვიუდან მახსოვს, მე ვიაქტიურე ზაქროსთან მიმართებაშიო, თქვა და ეს კარგად დამამახსოვრდა. პოლიტიკოსების მეორე ნახევრებს და ზოგადად ქალბატონებს, თავის გამოცდილებას უზიარებს და ამას ინტერვიუდან გაიგებთ. თეას და ზაქროს სიყვარულის ისტორია აფხაზეთიდან იღებს სათავეს, ეს ერთ დაძაბულ ზაფხულს დაიწყო, ომის დროს, სტრესულ სიტუაციაში. მას შემდეგ ერთად არიან. როგორც თეა ამბობს, დღეს იმაზე მეტად უყვარს ქმარი, ვიდრე ოდესმე... და ეს შვილებმაც კარგად იციან. 17 წლის თათულის დედისთვის მიწერილ მესიჯში ეჭვიანობა იკითხება - „მამა, შენი „number one“ ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, არა?“ :) რუბრიკა „მეორე ნახევრის“ სტუმარი თეა სანიკიძეა.

„ვარცხნილობასთან დაკავშირებულ ხუმრობას იუმორით უყურებდა. მე ვუთხარი, მელოტი კაცები შენზე შურიანობენ და ყურადღებას ნუ მიაქცევ-მეთქი და ბევრი იცინა. ვანო ჯავახიშვილს ეტყობა თმის ცვენისკენ მიდრეკილება აქვს და ამიტომ ახსენებდა ზაქროს თმას“

საქმიანი ქალი

თეა სანიკიძე: განათლებით ეკონომ-გეოგრაფი ვარ. ყველაფერს გეოგრაფიულ ჭრილში ვუყურებ. პრაქტიკაში სხვა კუთხით დავნერგე ჩემი პროფესია. ხუთი წლის წინ დავაფუძნე კომპანია, რომელიც პროექტებს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო სფეროს საქონლით ამარაგებს. კარგად ვიცით, რომელ ქვეყანაში რა იწარმოება, რა სჭირდება. სამშენებლო საქონლის იმპორტით ვართ დაკავებული. ასევე ვახდენთ სამშენებლო კუთხით პროექტების ტექნიკურად გამართვას, შესნავლასა და პროექტის სრულყოფილად მომარაგებას. როდესაც თვითონ იწყებ ყველაფერს, რთული არ არის. ნულიდან დავიწყე. კომპანია ხუთი წელი თუ ძლებს ბაზარზე, ეს ნიშნავს, რომ მენეჯმენტში ხარვეზი არ არის. ჩვენი ჯგუფი ინტელექტუალური ადამიანებითაა დაკომპლექტებული. ჩვენი ნიშა გვიჭირავს. ჩვენ კლიენტებს კი ის იზიდავს, რომ ტექნიკურად გამართულ წინადადებას ვთავაზობთ.

– მეუღლეს, ალბათ, მოსწონს გვერდით საქმიანი ქალი, ამ მხრივ კომპლიმენტს იღებთ?

– ზაქროს გვერდით არ შეიძლება სხვა ტიპის ქალი იყო. მაქსიმალურად მომთხოვნი ადამიანია. მე ჩემი საქმე მაქვს. ხანდახან დროში შეზღუდული ვარ. სამსახურის გარდა ორი შვილი მყავს, რომელთანაც ყოველწუთიერი კონტაქტი მაქვს. ჩვენ მეგობრული ოჯახი გვაქვს. სულ გვინდა, რომ ერთად ვიყოთ.

ეს იყო ბიჭვინთაში...

- მახსოვს, თქვით, რომ ურთიერთობაში თქვენ იაქტიურეთ...

- არც ეგეთი კომპლექსი მაწუხებს, რომ ვთქვა, რომ არ მიაქტიურია-მეთქი. ასე იყო. ერთმანეთი აფხაზეთში გავიცანით. უნივერსიტეტში სწავლისას ჯგუფი წავედით ბიჭვინთაში. მანამდე მე და ზაქროს შეხების წერტილი არ გვქონია, მე ეკონომ-გეოგრაფი ვარ, ზაქრო იურისტი, სხვადასხვა კორპუსებში ვსწავლობდით, მოკლედ, ერთმანეთს უნივერსიტეტიდან არ ვიცნობდით. არც გზაში გაგვიცვნია ერთმანეთი. ზღვაზე დავმეგობრდით. ერთად ვსადილობდით, ერთად გავდიოდით პლაჟზე. გაჩნდა სიმპათია... ზაქრო ძალიან ჯენტლმენური იყო თავიდანვე. 19-20 წლისები ვიყავით და ბიჭვინთაში ყველას პატრონობდა. 1992 წელი იყო და ომი დაიწყო, დაიძაბა სიტუაცია. ბიჭვინთის აღება რომ დაიწყო, ღამით პატარა ხომალდით გავიყვანეს სტუდენტები და ფოთში ჩამოგვსვეს. მეგობრების ნაწილი სოჭში იყო, ნაწილი გაგრაში და მათი ჩანთები ჩვენთან დარჩა, უკან ვერ ბრუნდებოდნენ. ასე დავიფანტეთ. სტრესი იყო. ერთმანეთს ვერ ვუკავშირდებოდით, ვერც მშობლებს ვანდიდით ხმას. ბიჭებიდან ჩვენთან ზაქრო და მისი სამი მეგობარი ბიჭი დარჩა და გოგონებს გვიპატრონეს. „მხედრიონი“ დათარეშობდა. რამაც მაშინ მომხიბლა, მისი უშიშარი ხასიათი იყო. აფხაზები ღია კონფლიქტზე მოდიოდნენ. ჩვენი ბიჭები კი ყველაფერს აგვარებდნენ. ამ მეგობრობაში და მსუბუქ ფლირტში გავიდა ხუთი წელი. ზაქრო მუშაობდა და უკვე, დამოუკიდებელი იყო. ერთად დავდიოდით ყველგან. ერთხელ ერთ პოლიტიკოსს საარჩევნო კამპანიაში ეხმარებოდა და თიანეთში წავიდა. უცებ მივხვდი, რომ ზაქრო რომ გვერდით არ მყავდა, დამაკლდა და თავს გამოვუტყდი, რომ ძალიან მიყვარდა. ავდექი და თიანეთის რაიონის ტელეფონზე შტაბში დავურეკე – ძალიან მიყვარხარ, შენ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია და ჩამოდი-მეთქი. გაჩუმდა და ორ საათში თბილისში იყო. ზაქროს სერენადები არ უმღერია, საქციელში ეტყობოდა, რომ ვუყვარდი. იმ დროს თბილისში არ იყო ტრანსპორტი, არც ტაქსი იყო, მანქანაში ჩაჯდომის გეშინოდა. სახლამდე ფეხით მიმაცილებდა და მერე ფეხით ბრუნდებოდა. არ არსებობდა სიტუაცია, ზაქროს გოგონები მიეტოვებინოს ქუჩაში და წასულიყო. ყურადღებიანი იყო, ყველას მიაცილებდა და მერე მიდიოდა. ბევრს არ ლაპარაკობდა, მისი საქციელი ლაპარაკზე მეტი იყო. გადავწყვიტეთ, რომ ერთად გვეცხოვრა. ჯერ ნიშნობა გვქონდა, მერე - 2 ნოემბერს ქორწილი. სვეტიცხოველში დავიწერეთ ჯვარი. მოკრძალებული ქორწილი გვქონდა, ახლობლების გარემოცვაში.

„გვიხარია, როდესაც შეგვთავაზებს, მოდი მწვადი შევწვათო. მართლა გემრიელია. საფირმო მწვადი აქვს“

„არ მინდა იმ ადამიანის გვერდით ვიდგე, ვინც ხალხს ატყუებს და მათზე არ ზრუნავს. პოლიტიკოსები ხალხის რჩეულები არიან და პირველ რიგში, ის ტვირთი, რაც აიღეს, ბოლომდე უნდა ზიდონ. ამაში, მათ გვერდში ოჯახები უნდა ედგნენ. ეს ყველა პოლიტიკოსის ცოლმა უნდა გაითვალისწინოს“

პოლიტიკოსის ცოლი

„18 წელია ზაქროს ცოლი ვარ და დღემდე რომანტიკულ ფერებში ვხედავ ყველაფერს. შეიძლება გამოუსწორებელი რომანტიკოსიც ვარ. ახლა უფრო მეტად მიყვარს... სხვადასხვა ეტაპები გავიარეთ. სტაბილურობის ეტაპის მერე თითქოს თავიდან იწყებ, ხელახლა გიყვარდება და კიდევ უფრო მძაფრად. ვფიქრობ, მე ახლა უფრო ძალიან მიყვარს ზაქრო, ვაფასებ მასზე და ეს ყველამ იცის, სამეგობრომ, ოჯახის წევრებმა. ჩემთვის ეს ადამიანი ყველაფერია. ეს შვილებმაც იციან და ეჭვიანობენ. ქალიშვილი, თათული მწერს – შენი „number one“, მამა ჩამოვიდა?“

– ეს პირველობა მაგრად სიამოვნებს, ალბათ.

– ჩუმად სიამოვნებს. არ უყვარს ლაპარაკი. მთიულია, არ გამოხატავს. თუმცა საქციელში ჩანს.

– რას აკეთებს ისეთს საყვარელი ქალისთვის, რომ დღემდე თავბრუს გახვევთ მისი სიყვარული?

– ქალებს აქვთ ასეთი შეხედულება, კაცმა სიყვარულის ნიშნად აუცილებლად საჩუქარი უნდა გაჩუქოს. გაგიკვირდებათ და ჩემთვის საჩუქრის ჩუქება დამოკიდებულების გამოხატვა არ არის. ნივთები ჩემთვის ღირებულება ნამდვილად არ არის. შეიძლება ქმარმა ბევრი საჩუქარი გაჩუქოს და ამ საჩუქრით მოგიშოროს. ასეთებიც მინახავს, ცოლი საჩუქრით კმაყოფილია და მორჩა. ეგეთი საჩუქარი არ მინდა. ადამიანის სითბო და ყურადღება, თუნდაც ერთ მესიჯში გამოხატული, უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის. დამირეკავს, კინოში ან თეატრში ხომ არ ნავიდეთ? მე მიყვარს წიგნები. შეიძლება მიხვდეს იმ მომენტში რა წიგნის წაკითხვა მინდა და ის მაჩუქოს. ეს ჩემთვის ყველაფერია. მისი ჩემდამი დამოკიდებულებაა მთავარი. ადამიანებში ყველაზე დიდი ღირებულება ერთმანეთთან ურთიერთობაა - ზაქროს დამოკიდებულება ჩემთან და შვილებთან. ჩემთვის ეს არის ყველაზე დიდი საჩუქარი. ჯამში ამ დამოკიდებულებებით ვიღებ იმას, რასაც ვერანაირი საჩუქარი ვერ შემიცვლის. მომთხოვნიც არ ვარ. მას, როგორც ხალხის წარმომადგენელს, დიდი პასუხისმგებლობა აქვს აღებული. მირჩევნია დრო ხალხის გასაჭირის ბოლომდე გააზრებაში დახარჯოს. ჩემთვის ის დროც საკმარისია, რასაც მისი რეჟიმიდან გამომდინარე გამოყოფს. თიანეთის მაჟორიტარობა რთული საქმეა. ეს რაიონი გაპარტახებული იყო. მან ხალხს დაპირება მისცა და უნდა შეასრულოს. მაქსიმალურად ვცდილობთ ზედმეტი დრო არ წავართვათ. არ მინდა იმ ადამიანის გვერდით ვიდგე, ვინც ხალხს ატყუებს და მათზე არ ზრუნავს. პოლიტიკოსები ხალხის რჩეულები არიან და პირველ რიგში, ის ტვირთი, რაც აიღეს, ბოლომდე უნდა ზიდონ. ამაში, მათ გვერდში ოჯახები უნდა ედგნენ. ეს ყველა პოლიტიკოსის ცოლმა უნდა გაითვალისწინოს. იმ გაჭირვებულ ქვეყანაში, სადაც ვცხოვრობთ, ზოგჯერ ვფიქრობ, რაღაცების მორალური უფლება გვერთმევა ადამიანებს, რომ პრეტენზიები გვქონდეს.

– რთულია პოლიტიკოსის ცოლობა?

– პოლიტიკოსს გააჩნია :) პოლიტიკის იქითაც არ არის მსუბუქი ზაქროს ცოლობა. მაქსიმალისტია, რომელიც მაქსიმალურად ყველაფერში წესრიგში ითხოვს, ყველა დეტალით, ყველაფერი უზადოდ უნდა იყოს შესრულებული.

– კომპლიმენტი, რომელსაც ხშირად გეუბნებათ.

– კომპლიმენტებით არავის ანებივრებს. როდესაც საქმესთან დაკავშირებით ვეკითხები, თუ მეტყვის, ჭკვიანური გადაწყვეტილებააო, ეს ჩემთვის ძალიან დიდი კომპლიმენტია.

- შოფინგი უყვარს?

- ზაქრო და შოფინგი სხვადასხვა რამეა. მე თვითონ ვურჩევ სამოსს, ამ საკითხზე ვერც დაელაპარაკები. ჩაცმაში არ არის პრეტენზიული, ბრენდებზე ფიქრში დროს არც დაკარგავს. იცის, რომ მისი სტილის შესაფერისს მოვუტან.

- მის გვერდით ყურადღების ცენტრში რომ ექცევით არ გიქმნით დისკომფორტს?

- ეს არ არის დისკომფორტის მომტანი. ვინც ამას ამბობს, პირდაპირ გეტყვით, ან იპრანჭება, ან იტყუება. ადამიანს პატივისცემით დამოკიდებულება და ყურადღება გსიამოვნებს.

- ვარცხნილობაზე ხუმრობას ხომ არ გაუნაწყენებია?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლის მეორე ნახევარი

თეა სანიკიძე: „მე ახლა უფრო ძალიან მიყვარს ზაქრო, ვაფანატებ მასზე და ეს ყველამ იცის, სამეგობრომ, ოჯახის წევრებმა. ჩემთვის ეს ადამიანი ყველაფერია. ამაზე შვილები ეჭვიანობენ. ქალიშვილი მწერს -„მამა, შენი „number one“ ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან?“

„რამაც მაშინ მომხიბლა, მისი უშიშარი ხასიათი იყო. აფხაზები ღია კონფლიქტზე მოდიოდნენ. ჩვენი ბიჭები კი ყველაფერს აგვარებდნენ. ზაქრო თავიდანვე ჯენტლმენი იყო“

EXCLUSIVE

„მივხვდი, რომ ზაქრო რომ გვერდით არ მყავდა, დამაკლდა და თავს გამოვუტყდი, რომ ძალიან მიყვარდა. ავდექი და თიანეთის რაიონის ტელეფონზე შტაბში დავურეკე – ძალიან მიყვარხარ, შენ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია და ჩამოდი-მეთქი. გაჩუმდა და ორ საათში თბილისში იყო“

- არა, ვარცხნილობასთან დაკავშირებულ ხუმრობას იუმორით უყურებდა. მე ვუთხარი, მელოტი კაცები შენზე შურიანობენ და ყურადღებას ნუ მიაქცევ-მეთქი და ბევრი იცინა. მართალი ხარ, ჩემი შურთო. ზაქროს გამელოტება არ ემუქრება. და ვანო ჯავახიშვილს ეტყობა თმის ცვენისკენ მიდრეკილება აქვს და ამიტომ ახსენებდა ზაქროს თმას. ზაქრო თავისი სტილისტის ერთგულია, ათი წელია მასთან დადის.

- რაიმეს მომზადება ეხერხება?

- მწვადის შეწვა კარგად გამოსდის. მწვადის შეწვა მისთვის რიტუალურია. ჩვენ ვუჭრით და მერე მაყალზე როგორ უნდა შეწვას და რა დროით, თვითონ იცის. გვიხარია, როდესაც შეგვთავაზებს, მოდი მწვადი შევწვათო. მართლა გემრიელია. საფირმო მწვადი აქვს.

შვილები

ზაქროს უფროსი ქალიშვილი თათული 17 წლისაა, თორნიკე 12 წლის. შვილებს ანებივრებს და მკაცრი მიდგომაც დედის საქმეა.

„26 წლისები ვიყავით თათული რომ გაჩნდა. მაგრამ ვერ აღვიქვით შვილი. ბებიებმა გაზარდეს. ვაღიარებ, თათულისთვის ვერ ვიყავით ნამდვილი მშობლები. ხუთი წლის მერე თორნიკე გაჩნდა და უკვე ნამდვილი მშობლები „გავხდით“. უკვე გააზრებულად დავიწყეთ მისი აღზრდა. თათულისთან მეგობრულად ვიყავით. დედა რომ ხდები, შენი შეხედულებების გადაფასება ხდება. დედის პოზიციიდან სხვანაირად უყურებ ყველაფერს. მე ვარ ძალიან მკაცრი, მომთხოვნი. ტელეფონით აუცილებლად უნდა მკითხონ აზრი და შემდეგ იმოქმედონ. ეს კარგად იციან. დამოუკიდებელი ბავშვები არიან, მაგრამ საქმის კურსში რომ უნდა ჩამაყენონ, ეს იციან. სწავლის მხრივ ვარ განსაკუთრებით მომთხოვნი. იციან, რომ სწავლა ჩვენთან პრიორიტეტულია. მაგალითიც აქვთ - ბებია წიგნით დადის, პედაგოგია, პაპა წიგნით დადის, აკადემიკოსია, მე წიგნის გარეშე არ შემიძლია. მამა დღე და ღამე კითხულობს. შვილს რომ პირად მაგალითს აძლევ, მნიშვნელოვანია. თორნიკეს ძალიან უყვარს კითხვა. წიგნს რომ დაამთავრებს, დე, წიგნი დავამთავრე და თუ არ მომიტან, ხომ იცი ვერ დავიძინებო, მირეკავს. „ჰარი პოტერის“ ყველა ტომი შვიდ დღეში წაიკითხა. ენებისკენ მიდრეკილი ბავშვია. თათული ნიჭიერთა ათწლედში სწავლობს, კონსერვატორიაში აბარებს. როგორც პიანისტი საკმაოდ წარმატებული ბავშვია. ვეუბნები, როცა კარგი ხარ, თვითონ დაიმკვიდრებ თავს და ხელოვნური პიარი არ გჭირდება-მეთქი. ევროპის სხვადასხვა კონკურსებზე 11 პირველი ადგილი აქვს აღებული. კონცერტები უცხოეთში აქვს ხოლმე. აქ სამი კონცერტი ჰქონდა. იმედი მაქვს, საქართველოს თათულის სახელით სახელოვან შვილს გავუზრდი. სკოლას ოქროს მედალზე ამთავრებს.

ზაქრო ბავშვებს ძალიან ანებივრებს. გახსნილი ურთიერთობა აქვთ - მამიკო, მამიკო და მამიკო. ზაქროს და მთელ ოჯახს კლასიკური მუსიკა გვიყვარს. ქალიშვილს აქეზებს, რომ მეტი იშრომოს. თათული ამბობს, როდესაც გაიგებენ ვისი შვილი ვარ, დიდ ყურადღებას მაქცევენ და ეს ძალიან გამაღიზიანებელიაო. დისკომფორტს უქმნის“.

რჩევა ქალბატონებს

- იმისთვის, რომ ქალბატონებს ამდენი წლის შემდეგ ისევ მძაფრად უყვარდეთ ქმრები, რას ურჩევდით?

- ყველა ქალს ვურჩევ, თავის ქმარში დაინახოს ის, ვინც უნდა, რომ დაინახოს. როცა ადამიანი გიყვარს, მასში სიკეთეს უფრო მეტს დაინახავ. უნაკლო არავინ ვართ, მაგრამ როდესაც ურთიერთობაში ნაკლს ხედავ, ნელ-ნელა მითითებით უნდა ეცადო გამოსწორებას და კონსენსუსამდე მისვლას. ქალის როლი ძალიან დიდია. კაცებს დათმობები არ ახასიათებთ. მათ პირდაპირ სრულყოფილება უნდათ. ქალს მოთმინება უნდა ეყოს, რომ ეს ყველაფერი დაარეგულიროს. როცა გიყვარს, ამის ძალა გეძლევა. ყოველთვის უნდა ეცადო, კაცთან საერთო ინტერესი გქონდეს. ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ამის მერე უკვე დამოკიდებულებაც სხვანაირი ჩნდება.

„ყველა ქალს ვურჩევ, თავის ქმარში დაინახოს ის, ვინც უნდა, რომ დაინახოს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალში გივი კვარაცხელი

მაგდა კლდიაშვილი

ტოტალიზატორი „ევროპაბეთი“, გაზეთ „პრაიმტაიმთან“ ერთად, კვლავ ანებივრებს საკუთარ მომხმარებელს და ზაფხულში დაწყებულ აქციას - „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“, რომელიც ქართველი ფეხბურთელების გულშემატკივართან დაახლოებასა და გაცნობას ისახავს მიზნად. შეხვედრის შემდეგი ადგილი „ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალი იყო, სადაც ეროვნული ნაკრების ყოფილი და მოქმედი ფეხბურთელები, გივი კვარაცხელია და გიორგი ფოფხაძე სტუმრობდნენ.

შეხვედრა საკმაოდ ხალხმრავალი გამოდგა. აქციაზე, ზაფხულისგან განსხვავებით, ბურთები და ეროვნული ნაკრების მაისური ერთგვარი ლატარეით თამაშდება. ის იღბლიანი, რომელსაც ბილეთი შეხვდება სპეციალური ნიშნით ბურთს იგებს. შესაბამისად, მსურველი ბევრი იყო, საჩუქარი კი მხოლოდ იღბლიანებს შეხვდათ. მათ შორის გაუმართლათ ისეთებსაც, რომლებიც პროექტს ზაფხულშიც სტუმრობდნენ და არც მაშინ დარჩენილან ხელცარიელნი.

ბურთებსა და ეროვნული ნაკრების მაისურზე, რომელიც პროექტს საჩუქრად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადასცა, ტოტალიზატორში მოწვეული სტუმარი ფეხბურთელები სპეციალურ ავტოგრაფებს ტოვებდნენ.

ვარკეთილი, სხვა ფილიალებისგან განსხვავებით, იმითაც გამოირჩევა, რომ აქ აქციაში მონაწილეობას ქალბატონებიც აქტიურად იღებენ და ამჯერად, იმ ცოტა იღბლიანს შორის, რომელსაც ბურთი და მაისური ხვდა წილად, მდედრობითი სქესის წარმომადგენელიც იყო, რომელმაც გივი კვარაცხელიასა და გიორგი ფოფხაძესთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო. სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს სხვა მონაწილეებმაც. წამოწყების შესახებ კი აზრი ერთსულოვანი ხდება. ქართულ ფეხბურთსა და ქართველ გულშემატკივარს აკლია მსგავსი შეხვედრები ქართველ ფეხბურთელებთან და ტოტალიზატორის მომხმარებლებიც და სტუმარი ფეხბურთელებიც ერთხმად თანხმდებიან იმას, რომ აქცია უნდა გაგრძელდეს და მასშტაბები მიიღოს.

ზაფხულიდან მოყოლებული, ტოტალიზატორი „ევროპაბეთი“ საკუთარ სტუმრებს სპეციალურ სიმბოლურ ბილეთს უმზადებს, სადაც ფეხბურთელი საკუთარ ფავორიტს ასახელებს. ეს თუ ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატის სავარაუდო გამარჯვებული იყო, ახლა პროექტის სტუმრებს ჩემპიონთა ლიგის ფავორიტის დასახელება უხდებათ. თუკი მანამდე, ბათუმში, ქუთაისსა და „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალში ხმათა უმრავლესობა მადრიდის „რეალმა“ და მიუნხენის „ბაიერნმა“ მიიღო, ვარკეთილში სხვა კლუბებიც დასახელდა.

„მიხარია, რომ პირველად მომიწია ქართველ გულშემატკივართან შეხვედრა და ვთვლი, რომ უნდა ჩატარდეს ასეთი აქციები, ფეხბურთელები უნდა ხვდებოდნენ ქართველ გულშემატკივარს“

როგორც გივი კვარაცხელიამ გვითხრა, ის ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარია, თუმცა მისი გუნდი ახლა ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მიღმაა და გათამაშების ფავორიტად ლონდონის „ჩელსის“ მიიჩნევს, რომელიც ამ სეზონში საკმაოდ კარგ სეზონს ატარებს.

გივი კვარაცხელია:

„ჩემი ფავორიტი „მანჩესტერ იუნაიტედია“, მაგრამ წელს ვერაფერს მოიგებენ, ამიტომ „ჩელსის“ ვგულშემატკივრობ. მაურინიომ იცის, როგორ მოიგოს“.

შესაბამისად, „ევროპაბეთის“ მიერ, სპეციალურად მისთვის დამზადებულ ბილეთზე, გივი კვარაცხელიამ საკუთარად ფავორიტად „ჩელსი“ დაასახელა.

გიორგი ფოფხაძეს ესპანური „ბარსელონას“ სტარტი და თამაშის ხარისხი ჯერ არ აკმაყოფილებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ მისი ფავორიტი გუნდი მალე შევა სასურველ ფორმაში და ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც აუცილებლად შეძლებს.

გიორგი ფოფხაძე: „ჩემი ფავორიტი ბარსელონაა, რომ გითხრათ სიმართლე, კარგად ვერ დაიწყეს და ისეთ ფეხბურთს ვერ თამაშობენ, რომელზეც მიჩვეულები ვართ, მაგრამ, დარწ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ამ და გიორგი ფოფხაძემ საკუთარი ფავორიტი დაასახელეს

„ძალიან კარგია ასეთი შეხვედრები, პოპულარიზაციას უკეთებს ქართულ ფეხბურთს. საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ და რაც უფრო ხშირად იქნება, მით უფრო უკეთესი. მე პირველად ვარ ასეთ აქციაზე და ძალიან სასიამოვნოა, ასეთი რაღაც რომ მოხდა“

EXCLUSIVE

europe-bet.com

მუნებული ვარ, მოუმატებენ და თავიანთ სიტყვას იტყვიან“.

ვნახოთ, „ბარსელონა“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას თუ „ჩელსი“, ვარკეთილში სტუმრობა კი იღბლიანი აღმოჩნდა თავის დროზე დავით მუჯირისთვის, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის მოგება ივარაუდა.

რაც შეეხება აქციას, გივი კვარაცხელიაც და გიორგი ფოფხაძეს, კარიერის განმავლობაში პირველად იყვნენ მსგავსი პროექტის მონაწილეები და პირველად შეხვდნენ საქართველოში საკუთარ გულშემატკივარს.

გივი კვარაცხელია: „ძალიან კარგია ასეთი შეხვედრები, პოპულარიზაციას უკეთებს ქართულ ფეხბურთს. საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ და რაც უფრო ხშირად იქნება, მით უფრო უკეთესი. მე პირველად

„რამდენიმე ქართველ ფეხბურთელს ვიცნობ, თუმცა პირველად მომეცა საშუალება, რომ მონაწილეობა მიმეღო მსგავს შეხვედრაში. მაისური მოვიგე და კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ევროპაბეთს“ და წარმატებები ვუსურვო ჩვენს საფეხბურთო ნაკრებს“

ვარ ასეთ აქციაზე და ძალიან სასიამოვნოა, ასეთი რაღაც რომ მოხდა“.

გიორგი ფოფხაძე ამბობს, რომ ბევრ ქვეყანაში უთამაშია და ყველგან პრიორიტეტი გულშემატკივართან ურთიერთობაა, რაც საქართველოში არ ხდება, ამასთან, დასძინა, რომ საქართველოში, მის კარიერაში ეს პირველდ მოხდა და აუცილებლად თვლის, ქართველი ფეხბურთელების შეხვედრას საკუთარ ქომაგთან.

გიორგი ფოფხაძე:

„ჩემს პრაქტიკაში, საქართველოში პირველად ხდება ეს. ბევრ ქვეყანაში მითამაშია და ვიცი, როგორი დამოკიდებულებაა ამასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ამ ფაქტს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, გულშემატკივართან ურთიერთობას, რათა ისინი დააბრუნონ სტადიონზე, მიუხედავად ყველაფრისა. მიხარია, რომ პირველად მომიწია ქართველ გულშემატკივართან

შეხვედრა და ვთვლი, რომ უნდა ჩატარდეს ასეთი აქციები, ფეხბურთელები უნდა ხვდებოდნენ ქართველ გულშემატკივარს“.

გიორგი მარღიშვილი იმ იღბლიანთაგანია, რომელსაც წილისყრამ ეროვნული ნაკრების მაისური არგუნა. როგორც „ევროპაბეთის“ ხშირი სტუმარი ამბობს, რამდენიმე ქართველ ფეხბურთელს იცნობს, თუმცა ასეთი ტიპის აქციაში პირველად მოუწია მონაწილეობა.

გიორგი მარღიშვილი, გულშემატკივარი:

„რამდენიმე ქართველ ფეხბურთელს ვიცნობ, თუმცა პირველად მომეცა საშუალება, რომ მონაწილეობა მიმეღო მსგავს შეხვედრაში. მაისური მოვიგე და კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ევროპაბეთს“ და წარმატებები ვუსურვო ჩვენს საფეხბურთო ნაკრებს“.

ასე, ემოციებით სავსე დასრულდა შეხვედრა ვარკეთილში, სადაც ყველა მხარე კმაყოფილი დარჩა, იმ მოთამაშეებს კი, რომლებსაც არ გაუმართლად და ბურთი და მაისური არ შეხვდათ, ვურჩევდით, „ევროპაბეთში“ ითამაშონ, რადგან ტოტალიზატორი ბევრ სიურპრიზს და საჩუქარს სთავაზობს საკუთარ მომხმარებელს და განებივრებული ჰყავს ამით.

ეროვნული ნაკრების მაისურებისთვის კი განსაკუთრებული მადლობა გვინდა, გადავუხადოთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ზვიად სიჭინავას. რაც შეეხება შემდეგ შეხვედრებს, მორიგი აქცია 9 და 10 დეკემბერს შედგება, „ევროპაბეთისა“ კოსტავასა და „თბილისი ცენტრალის“ ფილიალებში. მომავალი სტუმრების შესახებ „პრაიმტაიმის“ „ფეისბუქგვერდის“ მეშვეობით შეიტყობთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბრავოს“ გამარჯვებულმა ოთო



„წარმოვიდგინე, როგორ ვეფიცხები ბათუმის მზეს. მიყვარს ეს ქალაქი. გორის მერე ეს ქალაქი ყველაზე საყვარელი ქალაქია ჩემთვის. უკვე ჩემი ბუდეც მაქვს და იმედია, მალე ბათუმში ფესვებსაც გავიდგამ“

my View
თამარ გონგაძე

ეს იყო მაღალი დონის კონცერტი, რომელიც „ბრავომ“ საფინალოდ შემოგვთავაზა. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მომღერლების კორიდა, დოღი, ფოიერვერკი, საოცარი სიამოვნების მომნიჭებელი საღამო შედგა. შეუდარებელმა რვიანმა ერთმანეთს ტოლი არ დაუდო. საოცრად იმღერეს. კიდევ ვიმეორებ - ძალიან მაგარი დონის კონცერტზე აღმოვჩნდი. ამ შემსრულებლებს კონკურსანტების რანგში ვეღარ მოიხსენიებ. ისინი მომღერლები არიან.

შემოსული 48 ათას 884 ხმიდან 42 მთელი 17 მეასედი მიიღო ოთო ნემსაძემ. ოთო „რუსთავი 2“-ის კონკურსის გამარჯვებული მეორედ გახდა. პირველად გამარჯვების სიხარული „ჯეოსტარში“ იგემა. ოთო ნემსაძე „რუსთავი 2“-ის შექმნილია. ამას აღიარებს და ამბობს, რომ ამ ტელევიზიის მადლიერი ცხოვრების ბოლომდე იქნება. წელს ოთომ იქორწინა კიდეც. ეს წელი მისთვის ძალიან ბედნიერი აღმოჩნდა. ოთოს, როგორც „ბრავოს“ გამარჯვებულს „ორბი ჯგუფისგან“ საჩუქრად გადაეცა ბინა ბათუმში. შოუში კონკურსის რამდენიმე წევრიც დასაჩუქრდა. „ალმა მატერმა“ სალომე ტეტიაშვილს 5 ათასი ლარი გადასცა. „ელიტელექტრონიქსმა“ საბა ჩაჩუას და მის ლობისტ შორენა ბეგაშვილს ტელეფონები გადასცა. თიბისი ბანკმა ნიკა კიკნაძეს 5 ათასი ლარი გადასცა.

„იმედი მაქვს „ბრავო“ ბოლო საკონკურსო შოუა, სადაც მონაწილეობა მივიღე. მინდა ჩემი მუსიკა ვაკეთო“

„ორბი ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ირაკლი კვერღელიძე: ბედნიერი ვარ, უკვე მერამდენედ მიწევს ასეთ კვარცხლბეკზე დგომა და იმ საუკეთესო აპარტამენტის გადაცემა, რომელიც ბათუმში, ახალ ბულვარშია და მფლობელს ელოდება. ეს მფლობელი ოთოა. ოთო, გილოცავ. ამ ბიჭის გულშემატკივარი ვიყავი სულ. ასეთი განცდით ნამღერი მე არ მინახავს. ეს პრიზი ამ ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების ლოგიკური შედეგია. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ თაუერში კიდევ ერთმა ვარსკვლავმა დაიდო ბინა. ზღვიდან 50 მეტრშია, ყველაზე ახლოს ზღვასთან.

- როდის გადასცემთ პრიზს?

- უახლოეს მომავალში დავასრულებთ ამ აპარტამენტის მშენებლობას და დასრულებისთანავე გადავცემთ.

ოთომ ჯეიმს ბრაუნის This is mans world საოცრად შეასრულა. შეუდარებელი ემოციურობით. დარბაზი აღტაცებაში მოვიდა. შედეგიც სახეზეა - ის გამარჯვებულია. ეს ადამიანი გულწრფელია სიმღერის დროსაც და სხვა დანარჩენი ემოციების გამოხატვისას.

ოთო ნემსაძე: ძალიან მაგარი განცდაა მოგება. დაცლილი ვარ ემოციისგან. ვერაფერს გეტყვით. გაოცებული ვარ. „რუსთავი 2“ ყველაზე მაგარი არხია. ჩემი არხია და თქვენი არხია. ამ არხზე სასწაულები ხდება. ჩემი ცხოვრების ბოლომდე მისგან ვერსად წავალ. მადლობა ტელევიზიას, მუსიკოსებს და ყველას, ვინც მე დამირეკა.

- რა გაიფიქრე საკუთარი სახელისა და გვარის გაგებისას?

- არ მახსოვს. ალბათ, ყველაფერი ერთად. როგორ ვეფიცხები ბათუმის მზეს. მიყვარს ეს ქალაქი. გორის მერე ეს ქალაქი ყველაზე საყვარელი ქალაქია ჩემთვის. უკვე ჩემი ბუდეც მაქვს და იმედია, მალე ბათუმში ფესვებსაც გავიდგამ.

თათა კუპრავა, ოთოს ცოლი: ძალიან მიხარია. ბედნიერი ვარ. ოთომ დამსახურებულად მოიგო.

ოთო ნემსაძემ თქვა, რომ არც ერთი კონკურსი კონკურსად არ აღუქვია. ყველა მათგანისგან გამოცდილება წამოიღო.

„ჯეოსტარი“ ჩემთვის ყველაზე დიდი სკოლა იყო. მე იქ რაც მიიღე, მსგავსი არსად არაფერი მიმიღია. საუკეთესო პროექტი იყო საქართველოში. დიდი იმედი მაქვს, რომ „ბრავო“ ბოლო საკონკურსო შოუა, სადაც მონაწილეობა მივიღე. მინდა ჩემი მუსიკა ვაკეთო.

ორკესტრთან პირველად იმღერა. პირველად იმღერა ჯეიმს ბრაუნის ეს დაუვიწყარი სიმღერაც. ორ დღეში მოამზადა.

„ამ სიმღერის მთელი ჩემი ცხოვრება მეშინოდა. მისი გამღერება რთულია. სულ მეშინოდა, რომ სადმე შემხვდებოდა. ბრაუნმა მხოლოდ რეჩიტატივი რომ წაიკითხოს, ძალიან მაგარი იქნება“.

- ამ სიმღერის შესრულებას დამატებითი სტიმული სჭირდება?

- თუ მართალი არ ხარ, ამ სიმღერას ვერ შეასრულებ. იმ ემოციას და ტექსტს, რაც ამ სიმღერას აქვს, გააზრება უნდა. თუ თამაშობ, ამ ემოციას მსმენელამდე ვერ მიიტან. მე სცენაზე არასდროს ვიტყუები. ეს ის „ფიშკაა“, რაც მაქვს.

ირაკლი კვერღელიძე: „ასეთი განცდით ნამღერი მე არ მინახავს. ეს პრიზი ამ ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების ლოგიკური შედეგია. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ თაუერში კიდევ ერთმა ვარსკვლავმა დაიდო ბინა“

- კიევს უბრუნდები?

- დიდი იმედი მაქვს, დეკემბერში დავბრუნდები. ამ ქვეყანას სიმშვიდეს ვუსურვებ. ენა ვისწავლე. მინდა ალბომის ჩაწერა. მიზანია სტადიონის გავსება.

ნიკა კიკნაძე: ძალიან გახარებული ვარ. ფინალი შედგა. ოთოს ვულოცავ. ნამდვილად იმსახურებდა გამარჯვებას. გახარებული ვარ მიღებული პრიზით. ამ თანხას ტექნიკურ მხარეს მოვახმარ.

გიორგი მოსიძე, ექსპერტი: ვისაც არ უნდა გაემარჯვა, მაგარი იქნებოდა. ყველამ კარგად შეასრულა ფინალში. სერიოზული მომღერლები არიან. მსოფლიოს ყველაზე სერიოზულ შოუებს დაამშვენებენ. და ყველაზე ღირსეულმა გაიმარჯვა. ნიჭი ფასდება.

აჩიკო სოლოღაშვილი, ქორეოგრაფი: ღირსეული ფინალი იყო და მიხარია, რომ ქართლელმა ოთომ გაიმარჯვა. ცოტა მეშინოდა, როგორ მივიღებდი ბრაუნის სიმღერას, მაგრამ განსხვავებულად იმღერა და მიმახვედრა, რომ ყველაფრის ახლებურად გაკეთება შეიძლება. ქავერი ახლებურად შემოგვთავაზა.

გიორგი ხაბურზანია, პროდიუსერი: „ბრავო“ რომ დამთავრდა, სინანულის გრძნობა მაქვს. ვინც ამ შოუში მონაწილეობს, ყველა გვიყვარს. გახარებული ვარ. კარგი პრიზები გადანაწილდა. გვიხარია, ოთოს მოგება. ის ღირსეულია. ის იმსახურებდა. მეორედ გაიმარჯვა. კარგი კონცერტი იყო, პროფესიონალთა შოუ. ეს კონკურსანტები სხვადასხვა პროექტებში გავიცანით და ჩვენი მეშვეობით წარსდგნენ დიდ სცენაზე. ყოველი პარასკევი მიხაროდა მათი ნახვის გამო. „ბრავოს“ მიზანი ის იყო, რომ მათთვის, როგორც უკვე ჩამოყალიბებული მომღერლებისთვის,

ოთო ნემსაძე: „ძალიან მაგარი განცდაა მოგება. დაცლილი ვარ ემოციისგან. გაოცებული ვარ. „რუსთავი 2“ ყველაზე მაგარი არხია. ჩემი არხია და თქვენი არხია. ამ არხზე სასწაულები ხდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნემსაძემ ბათუმში ბინა მოიგო

გიორგი ხაბურზანია: „ბრავო“ რომ დამთავრდა, სინანულის გრძნობა მაქვს. ვინც ამ შოუში მონაწილეობს, ყველა გვიყვარს. გვიხარია, ოთოს მოგება. ის ღირსეულია“

EXCLUSIVE

მაყურებლის წინ გამოსვლის კიდევ ერთი შანსი მიგვეცა. მათ კონკურსებში თავიანთი სიტყვა თქვეს, ახლა უკვე მომღერლის სტატუსით წარსდგნენ. ბევრ მათგანს უკვე წარმატებული კარიერა აქვს. მადლობა მათ, რომ დაგვთანხმდნენ შოუში მონაწილეობაზე, რაც პრიზის გამო კი არ იყო, არამედ „რუსთავი 2“-ის და მაყურებლის სიყვარულით გააკეთეს. ასევე მადლობელი ვარ ცნობილი ადამიანების, რომლებიც ალტრუისტულად მოიქცნენ. არანაირი მატერიალური დაინტერესება არ ჰქონიათ და იმისთვის, რომ ხელი შეეწყოთ კონკურსანტთათვის, ზოგმა ტკივილიც გადაიტანა, რისი ვალდებულიც სულ არ იყო. დრო და ენერგია დაგვითმეს და მადლიერები ვართ.

- რვა ფინალისტი ბევრი არ იყო?

- ბევრია, თუმცა გავარდნილ რვაზეც გვწყდება გული. საბოლოო ჯამში ჩვენი მიზანი - მაყურებელი კარგ განწყობაზე მოგვეყვანა - შესრულებულია. მონაწილეებიც კარგი განწყობით ტოვებდნენ აქაურობას. აქცენტი გავარდნაზე არ ყოფილა.

- თქვენ შოუებს ვარსკვლავები „შემოეჩვივნენ“, ბეტ ჰარტმაც ჩაატარა მასტერკლასი.

- აჩიკო გულედანის და სოფო ებრალიძის მადლობელი ვარ. მასტერკლასის გარდა მან გაცილებით მეტი დრო დაგვითმო. კარგი ადამიანი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მუსიკის სიყვარული ყველას აერთიანებს. ჩვენ „დიფ ფარფლი“ გვყავდა, რაც ბრიტანელებსაც გაუკვირდათ, სტივ უანდერმა, საიმონ ქოუელმა დარეკა ჩვენ შოუებში. ქეთი მელუა ჩვენთან იყო.

- როგორც პროდიუსერი, კმაყოფილი ხართ „ბრავოს“ ამ სეზონით?

- „ბრავოს“ კომერციული და რეიტინგული წარმატება ჰქონდა. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი ჩვენთვის მაინც ის სიყვარულია, რაც კონკურსანტებში ინვესტიციასავით გვაქვს ჩადებული.

„ყოველი პარასკევი მიხაროდა მათი ნახვის გამო. „ბრავოს“ მიზანი ის იყო, რომ მათთვის, როგორც უკვე ჩამოყალიბებული მომღერლებისთვის, მაყურებლის წინ წარსდგომის კიდევ ერთი შანსი მიგვეცა. მათ კონკურსებში თავიანთი სიტყვა თქვეს, ახლა უკვე მომღერლის სტატუსით წარსდგნენ“

- კონცერტს ხომ არ გეგმავთ?

- საახალწლო პროექტს ვაკეთებთ, დიდ მომღერლებთან ერთად კონკურსების მონაწილეებიც მიიღებენ მონაწილეობას. მუსიკალური მხარე ნიკოლოზ რაჭველისაა, ჩვენი ფროდაქშენი, კონცეფცია და შეფუთვაა. რამდენიმე ლოკაციაში ვიღებთ. „იქსფაქტორის“ კასტინგიც დავიწყეთ.

- წარმატება.

- მადლობა თქვენ, ასეთი მხარდაჭერისთვის.

წელიწად-ნახევარია მეგი გოგიტიძე კიევშია. კორპორატიულ საღამოებზე მღერის, კლუბებში გამოდის. ამბობს, რომ კიევში ძალიან თბილად მიიღეს. ესიყვარულებიან. შვილი რომ გააჩინა, მისი სახლის წინ მანქანები ჩერდებოდნენ, გააჩინე შვილიო? ეკითხებოდნენ.

მეგი გოგიტიძე: მე ამ პროექტის გამო კიევიდან ჩემს ქვეყანაში ჩამოსვლის შესაძლებლობა მეძლევა. შვილიც ჩამომყავს. კარგი დონის პროექტია. მე ჩემი მსმენელი მყავს, რომელმაც ყოველთვის იცის ჩემი ახალი სიმღერები. „ბრავოს“ მეშვეობით მთელი ქვეყანა მისმენდა. ორივეჯერ ჩემი სიმღერები შევასრულე. კარგია, რომ მომეცა ჩემი შემოქმედების წარმოჩენის საშუალება.

ნიკა გრიგოლია: მეგიმ მაგრად იმღერა. ყველაზე ემოციურად. მე და გიორგი ყიფშიძე გაოცებული ვუყურებდით ერთმანეთს. თავისი სიმღერა იმღერა, გულიდან წამოსული.

მარიტა როხვაძე საინტერესო ნომრით წარსდგა. ალექსანდრე ახალკაციშვილის კოსტიუმით სექსუალური იმიჯი მოირგო. 21 კილო დაუკლია. იმისთვის ვიბრძოდი, რომ ასეთი სამოსი ჩამეცვაო.

მარიტა როხვაძე: დაიწყებენ ახლა - ის გამოუჩნდა, ეს გამოუჩნდაო. არა, ეს პერსონაჟია, რომელიც მოვირგე, მე არ ვყოფილვარ. მაგარი შოუ გამოვიდა. აქ კონკურსის განწყობა მე არ მქონია. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ მაგარი დადგმები მქონოდა. მაგარი, ცხელი, სექსუალური პერსონაჟი წარმოვაჩინე. მიზანს მივაღწიე.

- დაირას გამეტებით ირტყამდი საჯდომზე.

- ცოტა ვიტკინე. შოუ მაგარი უნდა მოსულიყო და დაირას ამიტომ ვირტყამდი ასე გამეტებით.

თამუნა შავერდაშვილი: გაიმარჯვა იმან, ვისაც უნდა გაემარჯვა. მთელი გულით ვულოცავ.

- მასტერკლასზე ბეტ ჰარტმა გამოგარჩია. ამან გაგაოგნა?

- ბეტ ჰარტმა ენით გამოუთქმელი ემოცია მომიტანა. ამ მუსიკოსს დიდი ხანია ვუსმენ. ის ჩემთვის ნომერ პირველი ქალი ვოკალისტია. ძალიან მიყვარს, დიდ ემოციებს აღძრავს. „Am I The One“-ის შესრულება ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. ამ სიმღერით ვმშვიდდები, ცუდად რომ

გიორგი ხაბურზანია: „ბრავოს“ კომერციული და რეიტინგული წარმატება ჰქონდა. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი ჩვენთვის მაინც ის სიყვარულია, რაც კონკურსანტებში ინვესტიციასავით გვაქვს ჩადებული“

ვარ, ამ სიმღერას ვუსმენ... სულ მას ვუსმენ. დიდი პასუხისმგებლობა იყო ბეტის წინ ამის შესრულება. მასთან კონტაქტის მერე ცრემლებად დავიღვარე, ძალიან მეუხერხულებოდა ის, რომ ვტიროდი. ნეტავ ერთხელ მის კონცერტზე მოვხვდე, ცოცხლად მოვუსმინო-მეთქი, ვნატრობდი და ამ ქალს მოულოდნელად პირისპირ შევხვდი. და მასთან ერთად ვიმღერე. ამ ქალის მიმართ ადამიანური სიყვარული მაქვს. მას ამის შესახებ ვუთხარი. სელფის დროს ყურში ჩამჩურჩულა - დიდებული ხარო. ეს შეფასება უდიდესი სტიმულია ჩემს ცხოვრებაში. პიკი და დიდი ბედნიერებაა.

- „ბრავოს“ ფინალში სიმღერისას რატომ იტირე?

- დიდი პაუხისმგებლობა მქონდა. ღირსეულად უნდა მემღერა. ეს ის სიმღერაა, რომლის ქავერი სხვამ არ უნდა გააკეთოს.

ვლადიმერ ბოისა: მე ამ შოუმ პირდაპირ ეთერში ცეკვის გამოცდილება მომცა. არა მგონია სხვა შოუს დავთანხმდე. აი, მსახიობობაში კი ვცდიდი ბედს.

მაია ასათიანია: „ბრავოს“ მადლიერი ვარ. ჩემს მძიმე რეჟიმში რამდენიმე სასიამოვნო საათი მაჩუქა. ძალიან გავხალისდი. რაღაც თემებზე დამაფიქრა. თუ დრო მექნა, აუცილებლად ვიცეკვებ. ბევრი პოზიტივი მომიტანა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N48 (298) ორშაბათი, 8 დეკემბერი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„ასე ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა“

exclusive

„ბრავოში“ გამარჯვებული ოთო ნემსაძის „საერთაშორისო“ LoveStory

„ნიჭიერი“ ია უძილაური უფროს ხელოვანზეა შეყვარებული

exclusive

ელენე კალანდაძე ქმარ-შვილზე პირველად ალაპარაკდა

exclusive

„ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალში გივი კვარაცხელიამ და გიორგი ფოფხაძემ საკუთარი ფავორიტი დაასახელეს

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

ზაქარია ქუცნაშვილის exclusive მეორე ნახევარი

თეა სანიკიძე: „მე ახლა უფრო ძალიან მიყვარს ზაქრო, ვაფანატებ მასზე და ეს ყველამ იცის, სამეგობრომ, ოჯახის წევრებმა. ჩემთვის ეს ადამიანი ყველაფერია. ამაზე შვილები ეჭვიანობენ. ქალიშვილი მწერს -„მამა, შენი „number one“ ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება